


# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ - 2025

აბსტრაქტების კრებული

# INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE "GLOBAL CHALLENGES AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF ECONOMICS AND BUSINESS" - 2025

BOOK OF PROCEEDINGS

ბათუმი/BATUMI 2026

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ - 2025

**აბსტრაქტების კრებული**

# INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE "GLOBAL CHALLENGES AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF ECONOMICS AND BUSINESS" - 2025

**Book Of Proceedings**

ბსუ
BSU
გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2026

UDC(უაკ) 338.22(100)(479.22)(063)
ე-491

აბსტრაქტების კრებულში წარმოდგენილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ – 2025 წარმოდგენილი აბსტრაქტები.

კონფერენცია დაფინანსებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის - „კონფერენციის მოწყობა“ - ფარგლებში.

აბსტრაქტები იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

ISBN 978-9941-519-15-4
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2026

**საორგანიზაციო კომიტეტი**

**პროფ., ნათია წიკლაშვილი** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**პროფ., ბადრი გეჩბაია** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ასოც. პროფ., ნატო ჯაბნიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ასისტ. პროფ., გიორგი ქათამაძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი
**გვანცა ზოიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ORGANIZING COMMITTEE**

**Prof. Natia Tsiklashvili** Batumi Shota Rustaveli State University
**Prof. Badri Gechbaia** Batumi Shota Rustaveli State University
**Assoc. Prof. Nato Jabnidze** Batumi Shota Rustaveli State University
**Assist. Prof. Giorgi Katamadze** Batumi Shota Rustaveli State University
**Gvantsa Zoidze** Batumi Shota Rustaveli State University

**სამეცნიერო საბჭო**

**ტიტე აროშიძე** ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
**პროფ., ნათია წიკლაშვილი** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
**აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
**აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
**პროფ., ვლადიმერ ღლონტი** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**პროფ., ასიე ცინცაძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**პროფ., ვაჟა ვერულიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**პროფ., რეზო მანველიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**პროფ., გელა მამულაძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**პროფ., გიორგი აბუსელიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ასოც., პროფ. რამინ ცინარიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**SCIENTIFIC COMMITTEE**

**Tite Aroshidze** Doctor of Economics, Rector of Batumi Shota Rustaveli State University
**Prof. Natia Tsiklashvili** Batumi Shota Rustaveli State University
**Academician Vladimer Papava** Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academician of the Georgian National Academy of Sciences
**Academician Avtandil Silagadze** Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academician of the Georgian National Academy of Sciences
**Academician Mikheil Jibuti** Academician of the Georgian National Academy of Sciences
**Prof. Vladimer Glonti** Batumi Shota Rustaveli State University
**Prof. Asie Tsintsadze** Batumi Shota Rustaveli State University
**Prof. Vazha Verulidze** Batumi Shota Rustaveli State University
**Prof. Rezo Manvelidze** Batumi Shota Rustaveli State University
**Prof. Gela Mamuladze** Batumi Shota Rustaveli State Universi
**Prof. George Abuselidze** Batumi Shota Rustaveli State University

| | |
|---|---|
| **ასოც. პროფ., ეკატერინე ბახტაძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | **Assoc. Prof. Ekaterine Bakhtadze** Batumi Shota Rustaveli State University |
| **პროფ., ეთერ ხარაიშვილი** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | **Prof. Eter Kharaishvili** Ivane Javakhishvili Tbilisi State University |
| **პროფ., რამაზ აბესაძე** თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი | **Prof. Ramaz Abesadze** TSU, Paata Gugushvili Institute of Economics |
| **ასოც. პროფ., გულნაზ ერქომაიშვილი** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | **Assoc. Prof. Gulnaz Erkomaishvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University |
| **პროფ., ნანა შონია** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | **Prof. Nana Shonia** akaki tsereteli state university |
| **პროფ., გიორგი ღავთაძე** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ | **Prof., Giorgi Gavtadze** Georgian National University SEU |
| **პროფ., ჯეიმს რედელშეიმერი** მინესოტას უნივერსიტეტი | **Prof. James Riddelsheimer** University of Minnesota |
| **პროფ., ჯონ ბროკი** გლობალური ეკონომიკის განათლების ალიანსის პრეზიდენტი, აშშ | **Prof. John Brock** President of the Global Economy Education Alliance, USA |
| **პროფ., კრისტოფ ვოჩ** კრაკოვის ეკონომიკური უნივერსიტეტი | **Prof. Krzysztof Wach** Krakow University of Economics |
| **პროფ., ჟანეტა სიმანავიციენე** მიკოლას რომერიოს უნივერსიტეტი, ლიეტუვა | **Prof. Zaneta Simanaviciene** Mykolas Romerios University, Lithuania |
| **პროფ., ირინა პილვერი** ლატვიის სიცოცხლის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი | **Prof. Irina Pilvere** Latvia University of Life Sciences and Technologies |
| **პროფ., მარიანა პეტროვა** წმინდა კირილესა და წმინდა მეტოდიას უნივერსიტეტი | **Prof. Mariana Petrova** St. Cyril and St. Methodius University |
| **პროფ., ტადეუშ ტროჩიკოვსკი** ლუკაზევსკის უნივერსიტეტის პროფესორი, ვარშავა | **Prof. Tadeusz Trocikowski** Lukaszewski University, Warsaw |

## სარჩევი/Contents

**ვლადიმერ პაპავა**
გლობალური სავაჭრო ომი, გლობალიზაციის ტრანსფორმაცია და საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები 10

**James Redelsheimer**
The real american dream: how the u.s. Still builds, grows, and innovates 11

**მიხეილ თოქმაზიშვილი**
ტექნოლოგიური განვითარების პარადიგმა და მდგრადი ეკონომიკის გამოწვევები საქართველოში 12

**ბადრი გეჩბაია**
რეგიონების მდგრადი და თანაბარზომიერი განვითარების გამოწვევები: საქართველოს რეალობა 13

**ელგუჯა მექვაბიშვილი**
ეკონომიკის გლობალიზაცია, ფრაგმენტაცია, ლოკალიზაცია და საქართველო სწრაფად ცვალებად მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში 14

**მურმან ცეცხლაძე**
ქართველური ტომების ეკონომიკა ქრისტესშობამდე XI-VII საუკუნეებში 16

**Alina Oliinyk, Volodymyr Tiutiunnyk, Roman Odynets**
Development of competencies of personnel of agri-food enterprises as a strategic tool of innovative management in wartime conditions 18

**Olexandr Pomaz, Ruslan Kornet, Artem Alekseienko**
Management of integration processes of innovation-oriented enterprises in conditions of military challenges 20

**ანა კვაჭაძე**
გლობალიზაციის გავლენა დასაქმებაზე: დისბალანსი და მისი მართვის მექანიზმები 22

**მარინე ნაცვალაძე**
ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გიგ-ეკონომიკის პირობებში 23

**ლელა ჯახაია**
სოფლის ტურიზმის პოტენციალი და მისი გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები აჭარაში 25

**Olexandr Pomaz, Oleksandr Fesenko, Oleh Khukhra**
Socio-Economic tools for enterprise management in wartime: ensuring resilience, adaptability and food security 27

**რუსუდან სირბილაძე**
საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საგარეო ვალი, გლობალური ეკონომიკის თანმდევი პრობლემები 29

**Iryna Kyryliuk , Gianluca Vagnarelli, Liudmyla Chvertko**
Grant funding as a tool for ensuring the sustainability of higher education institutions in ukraine in the context of war 31

**Olexandr Pomaz, Oleksandr Nikonenko, Roman Demchenko**
Stimulating personnel in wartime as a factor in effective innovative management of an enterprise 33

**თამთა ვარშანიძე**
ხელოვნური ინტელექტის გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და ბიზნეს პროცესებზე 35

**იამზე სურმანიძე**
R&D ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტები: საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების გამოცდილება 37

**თამარ ფოლადაშვილი, ლაშა თანდილავა**
საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები და მენეჯერული სტრატეგიების მნიშვნელობა 38

**ანა რუხაია, თათია ნაგერვაძე**
მიგრაციული ნაკადების ეკონომიკური შედეგები: შრომის ბაზარი და ანაზღაურების ტენდენციები საქართველოში 39

**ნათელა წიკლაშვილი, თამილა თურმანიძე**
სოფლად მცხოვრები ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები საქართველოში 41
**Alina Oliinyk, Yevhenii Bilokiz, Veronika Levchenko**
Innovation and investment potential of an enterprise as a factor of stability and adaptability in war conditions 42
**Tetiana Voronko-Nevidnycha, Rostyslav Kozub, Ruslan Alimov**
Integration of corporate social responsibility and innovation management in times of crisis challenges 44
**Tetiana Voronko-Nevidnycha, Oleksii Kapustin, Igor Ovsiannikov**
Management of the production potential of an innovation-oriented enterprise in wartime conditions: strategic approaches and adaptive mechanisms 46
**ნატო ჯაბნიძე, ზანდა მესხიძე**
აგროსასურსათო უსაფრთხოება: შეფასება და პერსპექტივები საქართველოში 48
**ირმა მოლაშხია**
„მწვანე “ ეკონომიკის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში 50
**ნატალია რობიტაშვილი, ნინო აბესაძე, რუსუდან ქინქლაძე**
შრომის ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში 51
**Mykola Zos-Kior, Bohdan Chernykh, Mykyta Zaitsev**
Increasing the resilience of enterprises through the development of personnel self-management in wartime conditions 53
**გელა ცაავა**
დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები ოკუპირებულ აფხაზეთში 55
**დალი სეხნიაშვილი**
ქალთა როლი ციფრულ ეკონომიკაში: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში 57
**Mykola Zos-Kior, Serhii Holovach, Vyacheslav Bubko**
Managing the socio-economic potential of an enterprise in conditions of military and security challenges 58
**ნაზი ჭიკაიძე**
ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების მიზნების სრულყოფაში 60
**Gia Zoidze, Alina Badulescu, Giorgi Abuselidze, Daniel Badulescu**
Economic strategies in developing countries: transformation pathways and global challenges 62
**Nino Kontselidze**
Effect of education on economic growth and income inequality 64
**რამაზ ფუტკარაძე**
გლობალური კონტექსტის ანალიზი და საერთაშორისო რეგიონალური ინტეგრაცია 65
**Tetiana Voronko-Nevidnycha, Dmytro Pylypenko, Olexandr Lytvynenko**
Strategic management of enterprise competitiveness in the context of digitalization 67
**გულნაზ ერქომაიშვილი**
სტაბილური ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელების სტრატეგია საქართველოში 69
**ნინო მიქიაშვილი**
მცირე ღია ეკონომიკისთვის ინკლუზიური შრომის ბაზრის შექმნის გამოწვევები 71
**Mykola Zos-Kior, Vitalii Saienko, Volodymyr Kirichenko**
Development of human resource potential of agri-food enterprises in wartime: a strategic tool for ensuring sustainability and food security 73
**მედეა ქავთარაძე, ნათია ბეჟანიძე**
ინოვაციების როლი მეწარმეობის განვითარებაში 75
**ასიე ცინცაძე, თამარ ღოღობერიძე, სალომე ქოქოლაძე**
სოციალური რისკები და სახელმწიფო ხარჯი: შესაძლებლობების შეფასება და პროგნოზი (ფინანსურ-სტატისტიკური ანალიზი) 76

**Bekhzod Rozikov**
Trends in the development of financial banking services in the republic of uzbekistan, opportunities for its effective use and conceptual aspects 78
**Zumrat Talatovna Gaibnazarova, Tuychiyeva Madina Gafarovna**
Global economic challenges, esg, and the risk management role of banks 79
**Zumrat Talatovna Gaibnazarova, Jonibek Musayev**
Using artificial intelligence technologies to improve the financial efficiency of universities 81
**რამინ ცინარიძე, Zinaida Smutchak, ნინო ჯაფარიძე**
რეფინანსირების განაკვეთი, როგორც მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობის ინსტრუმენტი 82
**თამილა ნუცუბიძე**
კორპორაციული მმართველობა საქართველოში: რეფორმების სტრატეგიები კერძო და სახელმწიფო კორპორაციებისთვის 84
**თამილა ნუცუბიძე**
კორპორაციული მმართველობა, ESG-ს ინტეგრირება და მწვანე დაფინანსების განვითარება საქართველოში 86
**გურამ ფუტკარაძე**
მდგრადი დაფინანსების ჩარჩოები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში 88
**ირინე თავაძე, ირინა ვაშაყმაძე**
ფასიანი ქაღალდების ბაზრის წინაშე მდგარი პრობლემები საქრთველოში და მათი გადაჭრის გზები 90
**დარეჯან ჩხუბაძე**
სოციალური დახმარების პროგრამების როლი სიღარიბის შემცირებაში 91
**გიორგი აბუსელიძე, ალეკო მელაძე**
სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების დაფინანსების მექანიზმების ეფექტიანობა სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონტექსტში 93
**გიული გიგუაშვილი, დავით ბიძინაშვილი**
თანამედროვე საპენსიო სისტემების განვითარების ტენდენციები: საქართველოს გამოცდილება 94
**ვერა ძველაია**
ხელოვნური ინტელექტის გავლენა საბანკო სექტორზე 96
**რეზო მანველიძე, ლეილა ცეცხლაძე**
ტრანსფორმაციული პროცესების თავისებურებები სასურსათო მეურნეობაში 98
**Agita Smitina**
From vision to impact: vidzeme university of applied sciences' transformation towards an entrepreneurial university 101
**Jarosław Tomaszewski**
Educating future business leaders for sustainable development: lessons from a polish-german-czech summer school 102
**გიორგი ქათამაძე**
დესტრუქციული ინოვაცია-თანამედროვე მენეჯმენტის გამოწვევა 103
**დავით ქათამაძე, გულიკო ქათამაძე, თამილა ქარცივაძე**
ქართული კომპანიების სტრატეგიული მენეჯმენტის გამოწვევები ციფრულ ეკონომიკაში 105
**პაატა აროშიძე, მაია თოიძე**
მაღალი რისკის პირობებში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების ხერხები 107
**გურანდა შამილიშვილი, ინგა შამილიშვილი**
თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ტრადიციული მედიის ბიზნეს მოდელებზე 108

**ლევან კიკილაშვილი**
ბიზნესის ეკოლოგიური ტრანსფორმაციის სტრატეგიული ასპექტები კონკურენტუნარიანობის პერსპექტივაში 110
**ლია ბერიძე-ზანაქიძე**
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეკოლოგიური ასპექტები და მათი გამოწვევები მდგრად ბიზნესში 112
**თეონა გოგიაშვილი**
სტრესის მართვა სამუშაო ადგილზე: პრაქტიკული მეთოდები და ინსტრუმენტები 114
**ირმა ჩხაიძე, ნაზი ბარათაშვილი**
კომპანიებში Agile მეთოდის დანერგვის აუცილებლობა და საბაზრო გამოწვევების შესაბამისად ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება 116
**თეა მუნჯიშვილი, ირაკლი გაზდელიანი, ლუკა გაზდელიანი**
ციფრული მენეჯმენტის სტრატეგიული მოდელები და მათი გავლენა ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე 118
**ნუნუ ქიქოძე, დიანა ბიბილეიშვილი**
ტალანტების მართვის თანამედროვე მიდგომები და მათი გავლენა ორგანიზაციულ წარმატებაზე 120
**Halyna Fyliuk, Ihor Prytula**
Classification of digital tools for enhancing the efficiency of consulting services 122
**გელა მამულაძე, ნინო მამულაძე**
8 წამის ეფექტი: TikTok მარკეტინგის ახალი წესები 124
**თამთა ბერიძე, ბექა სხირტლაძე**
გადაწყვეტილების მიღების ემოციური კომპონენტი დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებში: მარკეტინგული სტრატეგიების ზეგავლენა მომხმარებელზე და მისი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე 126
**სალომე მჟავანაძე**
მომსახურების ხარისხის შეფასების მექანიზმები 127
**ნანული მახარაძე, გვანცა თურმანიძე**
არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგი და მისი როლი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში 129
**ვაჟა ვერულიძე, ეკატერინე შაინიძე**
საშემოსავლო გადასახადი, როგორც ფისკალური ინსტრუმენტი და მისი გავლენა სოციალურ გარემოზე 131
**Oksana Vinnytska, Liudmyla Chvertko**
Digital transformation of tax relations in the context of global challenges 132
**ბესიკ ბაუჩაძე**
ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბუღალტრული პროფესიის მომავალზე 134
**გურამ უფლისაშვილი**
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების ზოგიერთ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით 136
**Svetlana Drobyazko, Besik Bauchadze**
The impact of digitisation on ifrs: approaches to accounting for stablecoins as digital assets 138
**პაატა ბოლქვაძე**
ბარტერული გარიგების დღგ-ს გადასახადით დაბეგვრის თავისებურებები სამშენებლო ბიზნესში 139
**ია მესხიძე, ნაზი ბარათაშვილი**
კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში აუდიტორული შემოწმების ჩატარების თავისებურებები 141

**მელანო აბაშიძე**
სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახაზინო მომსახურებაზე გადასვლის დადებითი და უარყოფითი მხარეები: საერთაშორისო გამოცდილების და საქართველოს კონტექსტის ანალიზი 143
**Kanash Abilpeissov**
Digital transformation and tax policy challenges for business management in kazakhstan 145
**ნინო წივწივაძე**
გაკოტრების პროგნოზირების მეთოდების ადაპტაციისა და შეფასების თავისებურებები საქართველოს სამშენებლო სექტორში 147
**ეკატერინე ბახტაძე, ნატალია რობიტაშვილი, ნარგიზ ფალავანდიშვილი**
მომსახურების ხარისხის შეფასება სასტუმროებში (ქ. ბათუმის სასტუმროების მაგალითზე) 148
**მაია აზმაიფარაშვილი**
მწვანე ტრანსფორმაცია ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში: გლობალური ტენდენციები და გამოწვევები 149
**მადონა გელაშვილი**
„მდგრადი ტურიზმის“ განვითარება მწვანე ეკონომიკის პირობებში 151
**გოდერძი შანიძე**
ტურისტული ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში 152
**Iryna Kyryliuk, Oksana Lytvyn, Natalia Kyrychenko**
The role of responsible tourism in tourism destination management 154
**გიული გიგუაშვილი, მარიამ სადაღაშვილი**
ხელოვნური ინტელექტის როლი ჭკვიანი ტურიზმის განვითარებაში 156
**ანზორ დევაძე, ლელა დევაძე**
აგრარული ტურიზმი საქართველოში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები 158
**თამარ ბერიძე**
ქალები ტურიზმის ინდისტრიაში 160
**Gaibnazarova Zumrat Talatovna, Saydalieva Mubina Golib kizi**
Problems and prospects of sustainable development of the tourism industry: global and uzbek context 161

# გლობალური სავაჭრო ომი, გლობალიზაციის ტრანსფორმაცია და საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები

**ვლადიმერ პაპავა**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიერ დაწყებულმა გლობალურმა სავაჭრო ომმა დღის წესრიგში არაერთი საკამათო საკითხი დააყენა. მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის გლობალიზაციის, როგორც ასეთის, მომავალი. ჯერ კიდევ COVID-19ის პანდემიამ, შემდგომ რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ფართომასშტაბიანმა ეკონომიკურმა სანქციებმა არსებითი ზეგავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე. გლობალური სავაჭრო ომის პირობებში ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ გლობალიზაცია დასრულდა, რომ ის ჩაანაცვლა დეგლობალიზაციამ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას იზოლაციონიზმამდე მიიყვანს. ჩვენ მიერ დასაბუთებულია, რომ გლობალიზაციის დასრულება პრინციპულად შეუძლებელია. ამის საფუძველს ქმნის გლობალური ბაზრები, გლობალური ფინანსები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გლობალური სატრანსპორტო კავშირები და თანამედროვე ტელეკომუნიკაციების სისტემები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს გლობალიზაციის ტრანსფომაციის პროცესთან, როცა ჰიპერგლობალიზაცია ჩაანაცვლა ტურბულენტურმა გლობალიზაციამ, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილი კი კონფორნტაციულმა გლობალიზაციამ დაიკავა. გლობალური სავაჭრო ომის პირობებში გლობალიზაციის კონფრონტაციული ხასიათი კიდევ უფრო გაღრმავდება. ცალკე შესწავლილია გლოკალიზაციის მიმართება გლობალიზაციასთან. გლობალიზაციის ხსენებული მოდელების ჩანაცვლების საფუძველზე შეფასებულია, ის გამოწვევები და პერსპექტივები, რომლებიც გლობალიზაციის მოდელების ცვლილების შედეგად ექმნება საქართველოს ეკონომიკას.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, სავაჭრო ომი, გლობალიზაციის ტრანსფორმაცია

# THE REAL AMERICAN DREAM: HOW THE U.S. STILL BUILDS, GROWS, AND INNOVATES

**James Redelsheimer**
Professor, University of Minnesota, USA

**Abstract**

Despite frequent claims of decline, The United States remains a global powerhouse of innovation, manufacturing, and growth. This presentation will explore the industries driving the future — from cutting-edge technology and AI to space exploration, advanced manufacturing, and energy production. It will also debunk the myth that "America doesn't make anything anymore," highlighting the strength of U.S. manufacturing and innovation across key sectors. Discover how America's drive to build, innovate, and lead is shaping the future of the global economy.

**Keywords:** American Dream, Innovates, Global

# ტექნოლოგიური განვითარების პარადიგმა და მდგრადი ეკონომიკის გამოწვევები საქართველოში

**მიხეილ თოქმაზიშვილი**
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ალტეს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიური განვითარება იქცა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად, არამედ გლობალურ პარადიგმად, რომელიც გარდაქმნის წარმოებას, რესურსების გამოყენების გზებსა და ცხოვრების წესს. საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების შერწყმა აუცილებელია ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის და სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობას. ამ კონტექსტში, მდგრადი ეკონომიკის პარადიგმა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის, სოციალური თანასწორობისა და ეკოლოგიური დაბალანსებულობის სინთეზს, თანდათან ხდება უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანი საქართველოშიც.

საქართველოს რეალური პოტენციალის მიუხედავად, ტექნოლოგიური განვითარება და მდგრადი ეკონომიკის იდეის პრაქტიკული დანერგვა ჯერჯერობით შეზღუდულია სხვადასხვა სისტემური და ინსტიტუციური ბარიერის გამო. ტექნოლოგიური ინოვაციისა და ცირკულარული/მდგრადი ეკონომიკური მოდელის განვითარებას აკლიათ ინსტიტუციური მხარდაჭერა, ინტეგრირებული ხედვა და სისტემური პოლიტიკა. ტექნოლოგიური განვითარების პარადიგმა მოითხოვს არა მხოლოდ ცალკეულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, არამედ მთლიანად აზროვნების და მმართველობის მოდელის შეცვლას, სადაც ეკონომიკური საქმიანობა ეფუძნება რესურსების ეფექტიან, სოციალურად პასუხისმგებლიან მიდგომებსა და დაბალანსებულ მართვას.

კვლევაში განხილულია ტექნოლოგიური განვითარების პარადიგმის არსი თანამედროვე პოლიტეკონომიურ კონტექსტში. დადგენილია, რამდენად შეესაბამება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა აღნიშნულ პარადიგმას და რომელი ტექნოლოგიური მიმართულებები შეიძლება გახდეს მდგრადი ეკონომიკის განვითარების ძირითადი საყრდენი ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების ინტეგრაციას საქართველოში, იკვლევა ტექნოლოგიური ინოვაციების როლი ამ მოდელის დამკვიდრებაში, ასევე აღინიშნება ის სისტემური გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლის ტექნოლოგიური განვითარების და მდგრადობის მიზნების სინქრონიზაციას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი კი არის სისტემური და პოლიტეკონომიური ბარიერები, რომლებიც აბრკოლებენ ამ პროცესების წარმატებულ რეალიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** ტექნოლოგია, საქართველო, მდგრადი განვითარება, ცირკულარული ეკონომიკა

# რეგიონების მდგრადი და თანაბარზომიერი განვითარების გამოწვევები: საქართველოს რეალობა

**ბადრი გეჩბაია**

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ნაშრომში გაანალიზებულია მოსაზრებები რეგიონების მდგრადი განვითარების ინსტრუმენტებისა და უთანასწორობის შემცირების გზებზე. შეფასებულია რეგიონული განვითარების პროგრამებისა და სტრატეგიების მნიშვნელობა ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, დასაბუთებულია მათი როლი ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

რეგიონების თანაბარზომიერი განვითარების შესაფასებლად განაწილების კოეფიციენტის საშუალებით განსაზღვრულია ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაციის დონე რეგიონების მიხედვით. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს არცერთი რეგიონი არ არის გამორჩეულად სპეციალიზებული. ბიზნეს სექტორების კონცენტრაციის დონე რეგიონებში დასაბუთებულია განაწილების მრუდებით. განაწილების მრუდების აგებისას გათვალისწინებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობის განაწილების, როგორც იდეალურ განაწილებასთან ძალიან მიახლოებული მაგალითი. მრუდების განაწილების ანალიზით დადასტურებულია, რომ საქართველოს რეგიონებში ბიზნეს სექტორების კონცენტრაციის დონე საკმაოდ არათანაბარზომიერია და დარგობრივი სპეციალიზაციით არც ერთი რეგიონი არ გამოირჩევა.

გამოვლენილია რეგიონების მდგრადი და თანაბარზომიერი განვითარების პრობლემები, მათი შეფასების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია ამ პრობლემების დაძლევის რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონი, მდგრადი განვითარება, თანაბარზომიერი განვითარება, განაწილების კოეფიციენტი, განაწილების მრუდი.

# ეკონომიკის გლობალიზაცია, ფრაგმენტაცია, ლოკალიზაცია და საქართველო სწრაფად ცვალებად მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში

**ელგუჯა მექვაბიშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

გლობალიზაცია თანამედროვე ეკონომიკის მაგისტრალური მიმართულებაა, რომელიც საკუთარი კანონზომიერებით ვითარდება და საფეხურებს (ეტაპებს) გადის. ეკონომიკის გლობალიზაცია 1980-იანი-1990-იანი წლების მიჯნიდან დაიწყო, თუმცა იგი მომზადებული იყო წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესით და მისი განვითარება არ იყო სწორხაზოვანი. განსაკუთრებული შეფერხება ეკონომიკის გლობალიზაციამ განიცადა 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად. ამ გავლენის გამოხატულება იყო „წარმოების ლოკალიზაციის" ცნების გაჩენა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილებოდა გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეული უმუშევრობის პრობლემის კონტექსტით. ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების შექმნისა და შრომის გლობალური ბაზრებიდან ეროვნულ ბაზრებზე სამუშაო ძალის გადინების აუცილებლობაზე (მექვაბიშვილი, 2025).

XXI საუკუნის პირველ მეოთხედში განვითარებულმა ორმა გლობალურმა კრიზისმა წარმოშვა მოსაზრება გლობალიზაციის შეჩერების და უფრო მეტიც-დეგლობალიზაციის დაწყების შესახებ (Nye, 2023), რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი.

კონფრონტაციულმა გლობალიზაციამ (პაპავა, 2022), გეოპოლიტიკური დაძაბულობის ზრდამ, პროტექციონისტული პოლიტიკის გაძლიერებამ, როგორც სამართლიანადაა შენიშნული ქართველი მკვლევარების მიერ (ხარაიშვილი, გაგნიძე, ნაცვლიშვილი და სხვ. 2025), დააჩქარა „გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის" პროცესი და პრობლემები შექმნა გლობალურ ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რამდენიმე მიმართულება შეიძლება იქნეს განხილული. პირველი არის ე.წ. friend shoring-ი, როცა სახელმწიფოები საკუთარი გეოპოლიტიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ცვლიან თავიანთი საერთაშორისო ეკონომიკური აქტიურობის მიმართულებებს. მაგალითად, აშშ-სა და ჩინეთის შორის გლობალური სტრატეგიული პაექრობის გამწვავებამ განაპირობა აშშ-ის იმპორტში ჩინეთის ხვედრითი წილის 21%-დან (2018წ) 17%-მდე (2022წ) შემცირება. სამაგიეროდ, იმავე პერიოდში კანადიდან იმპორტი 30%-ზე მეტად გაიზარდა (Nye,2023). მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციის მეორე მიმართულებად ჩვენ მივიჩნიეთ ე.წ. on shoring-ს, ანუ წარმოების გადატანას სხვა ქვეყნებიდან საკუთარ ქვეყანაში, რომელიც ასევე გამოხატავს ლოკალიზაციის ფენომენს.

მესამე, ფრაგმენტაცია გამოიხატება მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ორ დაპირისპირებულ ჯგუფად-(G7 და BRICS)-ი დაყოფით. BRICS-ის ქვეყნებში ამჟამად ცხოვრობს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 40% და იქმნება გლობალური მსპ-ს 31,5%. აღსანიშნავია ბოლო წლებში ამ

მაჩვენებლის სწრაფი და რეგულარული ზრდა, რის შედეგადაც, „ბლუმბერგის“ პროგნოზის თანახმად, 2028 წლისთვის BRICS-ის ხვედრითი წილი გლობალურ მსპ-ში 35%-მდე გაიზრდება და გაუსწრებს დიდი შვიდეულის წილს რომელიც 27,8% იქნება. (JDD, 2023).

მეოთხე, მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციის თვალსაზრისით, ყურადსაღებია გეოპოლიტიკური დაპირისპირების ნიადაგზე ორი ძირითადი გლობალური კონკურენტის - აშშ-ჩინეთის ირგვლივ სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ალიანსის ჩამოყალიბება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის, ფრაგმენტაციის, ლოკალიზაციის წინააღმდეგობრივი ერთიანობის პირობებში ყალიბდება ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, რომელიც, ერთი მხრივ, საფრთხეების და გამოწვევების შემცველია ისეთი მცირე და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მეორე მხრივ კი- ახალი შესაძლებლობების შემქმნელია.

საქართველოს საშუალება ეძლევა ჩაერთოს მსოფლიოს ახალი „ეკონომიკური წესრიგის“ ფორმირებაში, პირველ რიგში, „შუა დერეფნის“ მეგაპროექტში აქტიური მონაწილეობით. ამ შესაძლებლობის რეალიზებისთვის, ჩვენი აზრით, სულ მცირე ორი პირობაა საჭირო. პირველი ეხება ჩართვისთვის საქართელოს მზადყოფნას პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციურ-სამართლებრივი და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. ამ კუთხით, ამჟამად ბევრი სერიოზული პრობლემაა, რომლებიც სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტას საჭიროებს.

პირობათა მეორე ჯგუფი საგარეო ურთიერთობებს მოიცავს, რომლებსაც გლობალური და რეგიონული მოთამაშეების ინტერესთა დიალექტიკა განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საქართველო, როგორც მისი საკვანძო რგოლი, გადაიქცეს არა გლობალური და რეგიონული აქტორების ინტერესთა დაპირისპირების, არამედ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სივრცედ. ამ თვალსაზრისით აქტუალურია მოხერხდეს:

პირველი, ევროატლანტიკური სივრცის ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან დაკავშირება არა მხოლოდ საზღვაო, არამედ სახმელეთო გზითაც და შესაბამისად, შუა დერეფნის გამოყენება, რაც გამოიწვევს აშშ-ის დაინტერესებას საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის მიმართ. მეორე, უნდა იქნეს აქტუალიზებული არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის, არამედ სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანსპორტო მიმართულება, რომელიც რუსეთის და ირანის ინტერესებში შედის. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ეძლევა შანსი წარმოადგენდეს არა მხოლოდ „დერეფნის“ ნაწილს, არამედ სტრატეგიულ გზაჯვარედინს და უნივერსალურ სატრანსპორტო ჰაბს, აქედან გამომდინარე ეკონომიკური სარგებლით და უსაფრთხოების გარანტიებით.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, ახალი „ეკონომიკური წესრიგი“

# ქართველური ტომების ეკონომიკა ქრისტესშობამდე XI-VII საუკუნეებში

**მურმან ცეცხლაძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

მესხების, იბერიელებისა და კოლხების წინაპარი ტომები - მუსკები (მოსინიკები), თაბალები (თუბალები, თობალები) და კასკები, პოლიტიკურ ასპარეზზე ქრისტეშობამდე XI საუკუნიდან ჩანან ასურულ წყაროებში. ამ პერიოდამდე მათ იმდენად ძლიერი პოზიციები ჰქონდათ, რომ ასურეთის დაპყრობასაც კი ბედავდნენ. XI საუკუნიდან ამ ბრძოლებში ასურელები იმარჯვებენ.

ამის შემდეგაც მუსკებს, თაბალებსა და კასკებს არაერთხელ უცდიათ ასურელებისაგან გათავისუფლება, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ ამ ბრძოლას VII საუკუნეში კიმერიელთა მცირე აზიაში შესევამ მოუღო ბოლო: დაამხო მაშინდელი მბრძანებლებიც და ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღაც ჩრდილოეთისაკენ წასწია. ამ დროიდან მოყოლებული მუსკების, თაბალების და კასკების სახელი მცირე აზიაში ქრება და ქართველთა მოსახლეობის ასპარეზი განისაზღვრება მხოლოდ · შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროთი და ამერკავკასიით.

კავკასიაში ქვის ხანას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მისი მოსახლეობის მთავარი კულტურული ხანა იწყება ბრინჯაოს ხანით, რომელიც დაწყებისთანავე სწრაფად იზრდება და ფართოვდება და მას რკინის ხანაც სწრაფად მოსდევს. ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა, როგორი იყო ქართველური ტომების ეკონომიკური კულტურა ქრისტესშობამდე XI-VII საუკუნეების ასურული წყაროების მიხედვით.

მუსკების სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა და ქალაქებიც ბლომად ჰქონიათ. ისინი ამ დროს მისდევდნენ ვაზის და მსხვილ და წვრილფეხა საქონლის მოშენებას. სცოდნიათ ღვინის დაყენებაც. გავრცელებული ყოფილა აგრეთვე მრეწველობა და ხელოსნობაც, განსაკუთრებით დახელოვნებულან თითბრის ჭურჭლის წარმოებაში.

თაბალების ქვეყანა მთიანი იყო, ისინი მაღალ და მიუვალ ადგილებში ცხოვრობდნენ. ისინი განთქმულნი იყვნენ საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით, აგრეთვე მადნეულებითაც. ჰქონდათ ვერცხლისა და ძვირფასი ქვების მაღაროები. „ტაბალისა და მუსკის მადნეულობის დახელოვნებულ ნაწარმოების ქებას ებრაელებამდისაც მიუღწევია. დაბადების პირველი წიგნის ავტორი დარწმუნებულია კიდეც, რომ მჭედლობა ტაბალის მოგონილი ხელობაა: თობელი ესე იყო კვერით ხუროჲ, — ნათქვამია შესაქმეში (1V, 22),— მჭედელი რვალისა და რკინისა-ო. ეზეკიელი კიდევ ტვიროსის გოდებაში ამბობს: იავანი, თობალი და მოსოხ «ვაჭრობდეს შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა» (XXVII, 13). ხოლო ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასასყიდად, როგორიც იყო ტვიროსი.“ [3:31]

ისტორიკოსი იური სიხარულიძე მიუთითებს, რომ ივ. ჯავახიშვილის აზრით, კაენელები „იმ ჭანების ნაშთი იქნება, რომელთა წინაპრად დაბადებაში, „ტუბალ-კაინია“ დასახელებული“ [4:31][3:25] „შვა ცილამაც - თუბალ-კაენი, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი.“ [1:დაბ.4,22]

მაშასადამე, მრეწველობასთან ერთად დაწინაურებული ყოფილა აღებ-მიცემობაც. ხალიბებისა და ტიბარენების სპილენძისა და რკინის ნაწარმები საბერძნეთშიც განთქმული იყო, იქ ხმა დადიოდა კიდეც, რომ მოსინიკები რაღაც მიწას ურევენ მადანში და იმიტომ გამოდის ასე კარგიო.

რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადება ბერძნებს, როგორც ეტყობა, ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელიდანაც ჩანს: „ხალგფს, ხალგბდიკოს“ ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს.“[3:32]

საყურადღებოა, რომ „კალის“ გარდა ძველს ქართულში არც ერთი მადნის სახელი არ არის უცხოეთიდან შემოტანილი; პირიქით, შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველი ტომებისაგან შეუთვისებიათ.

ყოველივე აქედან, ჩანს, რომ ქართველ ტომებს მადნეულის დამუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ძველი კაცობრიობის წინაშე.

**საკვანძო სიტყვები:** ქართველური ტომები, მუსკები, თაბალები, კასკები, მადნეული.

# DEVELOPMENT OF COMPETENCIES OF PERSONNEL OF AGRI-FOOD ENTERPRISES AS A STRATEGIC TOOL OF INNOVATIVE MANAGEMENT IN WARTIME CONDITIONS

**Alina Oliinyk**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Volodymyr Tiutiunnyk**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Roman Odynets**
Bohdan Khmelnytsky National University of Cherkasy, Cherkasy, Ukraine

**Abstract**

Development of personnel competencies of agri-food enterprises is a key element of innovative management and strategic support of their competitiveness, especially in conditions of war and economic instability. The article considers the multidimensional process of formation of professional, digital and managerial competencies, as well as socio-psychological skills of personnel as a factor in ensuring the continuity of production processes, adaptability of enterprises and support of food security.

**Introduction**

The ability of employees to quickly adapt to changes, make effective management decisions and use digital and technological tools determines the productivity and resilience of the enterprise to external risks. In the context of Russian aggression against Ukraine, personnel competencies become critically important for ensuring food security, continuity of production and effective use of limited resources.

**Methodology**

To study the development of personnel competencies, an analysis of scientific publications and practical cases of management of agro-food enterprises during the war period was conducted. Methods of system analysis, comparative review and integration of socio-psychological and economic approaches to personnel management were used [1–3].

**Discussion**

Competence development is considered as a multidimensional process. Ivanenko and Petrova [1] emphasize the strategic role of competencies in the formation of an innovative model of the enterprise, where personnel actively implement technological innovations and optimize production processes. Kovalchuk [2] demonstrates that the development of professional, digital and managerial competencies ensures stability and adaptability in crisis conditions, and motivational and socio-psychological programs contribute to the retention of personnel. Sydorenko et al. [3] emphasize the importance of independent decision-making, team interaction and stress management, as well as continuous learning and adaptive training to increase productivity and reduce staff turnover.

**Results**

The integration of strategic management, digitalization, socio-psychological support and professional development of personnel allows agri-food enterprises to increase their resilience to external crisis influences, ensure efficient use of resources and support the continuity of production processes. The military context emphasizes the critical role of competencies in ensuring food security and long-term competetiveness.

**Conclusion**

The development of personnel competencies in the agri-food sector should be considered as an integral component of the innovative management of the enterprise. Investments in professional, digital and socio-psychological competencies during wartime ensure the resilience of the enterprise, increase its adaptability to external crisis influences and contribute to the implementation of innovative approaches in production and management, which is a strategic factor in the competitiveness and food security of the country.

**Keywords:** personnel competencies, innovative management, agri-food enterprises, war, digital competencies, adaptability, socio-psychological support

# MANAGEMENT OF INTEGRATION PROCESSES OF INNOVATION-ORIENTED ENTERPRISES IN CONDITIONS OF MILITARY CHALLENGES

**Olexandr Pomaz**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Ruslan Kornet**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Artem Alekseienko**
Kyiv National University of Technologies and Design, Kyiv, Ukraine

**Abstract**

Management of integration processes in innovation-oriented enterprises becomes crucial under extreme external pressures, such as war, which disrupt logistics, limit access to resources and technologies, and alter market demand. This paper analyzes the mechanisms and approaches to integrating internal processes with external partners, digital platforms, and innovation ecosystems to ensure adaptability, resilience, and competitiveness. Key strategies include system integration of business processes, strategic partnerships, integration of agile management practices, and digital integration. Effective implementation of these strategies enables enterprises to respond rapidly to external shocks and sustain long-term innovative development.

**Introduction**

In modern conditions, when war creates powerful external pressure on the business environment, the ability of enterprises to integrate internal processes with external partners becomes critical. Disruptions to international relations, logistics chains, access to resources and technologies, and shifts in demand and supply necessitate the effective coordination of internal and external resources to support innovative development and competitiveness.

**Methodology**

The study is based on the analysis of scientific literature and methodological approaches to integration processes in enterprise management [1–3]. Systematic, multi-level analysis, strategic planning, and multi-criteria assessment methods were applied to identify key mechanisms that ensure effective integration of technological, organizational, and managerial processes in crisis conditions.

**Discussion**

Yu. Horyashchenko [1] emphasizes integration into broader scientific and production ecosystems, including the European scientific space, as a means to form effective innovation strategies and competence centers that overcome domestic market limitations and external risks. Kuzmin et al. [2] highlight method-logical provisions for managing integration, including systematic multi-level analysis, strategic planning, and multi-criteria evaluation, which help enterprises coordinate resources and adapt to external shocks. N. Nosan [3] notes that integrating flexible management methodologies (Agile, Scrum) into internal organizational structures enhances efficiency, rapid adaptation, and decision-making speed under uncertain conditions.

Integration processes combine technologies, knowledge, organizational structures, and management approaches to create a synergistic environment for innovation. These processes coordinate functional units (R&D, production, marketing, logistics), enhance flexibility in production chains, and enable real-time infor-

mation exchange – particularly crucial during war-induced instability [4].

**Results**

From the analysis, key mechanisms for managing integration processes in innovation-oriented enterprises under war conditions include:

System integration of business processes: combining technological, managerial, and organizational components to form a single adaptive environment;

Strategic partnerships and cooperation: collaboration with suppliers, academic institutions, market platforms, and international partners to expand access to innovation and resources;

Integration of innovation management methods: application of Agile, Scrum, and other methodologies to increase adaptability of organizational structures and decision-making;

Digital integration: use of digital platforms and technologies for real-time data exchange, accelerating decision-making, and optimizing resource flows.

**Conclusion**

Management of integration processes in innovation-oriented enterprises is a multifaceted and dynamic process requiring strategic vision, flexible organizational structures, digital transformation, and effective external cooperation. Implementing these approaches enhances enterprise resilience, adaptability, and long-term competitiveness, even in conditions of war and high uncertainty.

**Keywords:** integration processes, innovation-oriented enterprises, war, resilience, digital transformation, strategic partnerships, agile management, adaptability

# გლობალიზაციის გავლენა დასაქმებაზე: დისბალანსი და მისი მართვის მექანიზმები

**ანა კვაჭაძე**

დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

გლობალიზაციის პროცესმა შრომის ბაზარზე შექმნა როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე მრავალი გამოწვევა. ერთის მხრივ, გაჩნდა ინოვაციური სექტორები, გაიზარდა საერთაშორისო მობილობა და გაძლიერდა კონკურენცია; მეორეს მხრივ, აშკარად გამოვლინდა უნარების დისბალანსი, სამუშაო ძალის გადინება და შრომითი ბაზრის რეგიონული უთანაბრობები. დასაქმების სტრუქტურაში ცვლილებები განსაკუთრებით მწვავედ აისახება განვითარებად ეკონომიკებზე, სადაც ადგილობრივი სამუშაო ძალა ხშირად ვერ პასუხობს გლობალური ბაზრის მოთხოვნებს. შედეგად, წარმოიქმნება დისბალანსი არსებული კადრების უნარებსა და ორგანიზაციების საჭიროებებს შორის. მოცემულ კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დისბალანსის მართვის მექანიზმებს, როგორებიცაა: განათლების სისტემის ადაპტაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (lifelong learning) ხელშეწყობა, მიგრაციული პოლიტიკის ოპტიმიზაცია და კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული უნარების განვითარებაში. კვლევის novelty მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთიანებს გლობალიზაციის გავლენის ეკონომიკურ, სოციალურ და ადამიანური რესურსების მართვის ასპექტებს და წარმოგვიდგენს სტრატეგიულ ხედვას, თუ როგორ შეიძლება შრომის ბაზრის დისბალანსის შემცირება. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი იქნება როგორც აკადემიური წრისთვის, ასევე პრაქტიკოსებისთვის, რათა მოხდეს დასაქმების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვა და შრომის ბაზრის მდგრადი განვითარება.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, სამუშაო ძალა, ეკონომიკა

# ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გიგ-ეკონომიკის პირობებში

**მარინე ნაცვალაძე**

ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

**აბსტრაქტი**

აღნიშნული სტატია უკავშირდება თანამედროვე შრომის ბაზრის დინამიკასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. გიგ-ეკონომიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს ქალებისთვის, მაგრამ თან მოაქვს გარკვეული გამოწვევებიც.

გიგ-ეკონომიკა, როგორც დროებითი, დამოუკიდებელი სამუშაოს სისტემა - მდგრადი განვითარების, დასაქმების დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური მოქნილობის ხელშემწყობი ფაქტორია. ამ ტიპის დასაქმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რომლებიც ხშირად საჭიროებენ მოქნილ სამუშაო გრაფიკს ოჯახური ვალდებულებებისა და სოციალურ გარემოებათა გამო. ქალები ხშირად ჩართული არიან ფრილანსერობასა და დისტანციურ მუშაობაში, რაც შესაძლებლობას აძლევთ, დააბალანსონ პროფესიული და პირადი ცხოვრება.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხრივ ქალებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, ხშირ შემთხვევაში, არის ნაკლები წვდომა ფინანსურ რესურსებზე, რაც ზღუდავს მათ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აქტივობას.

ტექნოლოგიური პროგრესი სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ციფრული პლატფორმები, როგორიცაა Upwork, Fiverr და სხვა, ქალებს საშუალებას აძლევს, მარტივად მოძებნონ სამუშაო და განავითარონ კარიერა.

სტატიაში იდენტიფიცირებულია გიგ-ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. გიგ-ეკონომიკის დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია დამოუკიდებლობა და თვითმართვა, რაც ქალებს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვრონ სამუშაოს შესრულების დრო და ტიპი.

გიგ-ეკონომიკის დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერნეტისა და ციფრული პლატფორმების დახმარებით, ქალები არ არიან შეზღუდულნი გლობალურ ბაზრებთან წვდომაში, რაც მათ საშუალებას აძლევს ჩაერთონ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში.

გიგ-ეკონომიკაში ქალების ჩართულობა იძლევა შემოსავლის დივერსიფიკაციის საშუალებას, რადგან ერთდროულად შესაძლებელი ხდება რამდენიმე დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის გიგ-ეკონომიკაში მონაწილეობა დადებით მხარეებთან ერთად წარმოშობს რიგ გამოწვევებს და ქმნის გარკვეულ საფრთხეებს. მათ შორის აღსანიშნავია დასაქმების სტაბილურობის ნაკლებობა, რადგან გიგ-ეკონომიკაში არ არსებობს გარანტირებული ხელფასი და შესაბამისი სოციალური დაცვა. ასევე, შეზღუდული კარიერული ზრდის შესაძლებლობა მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორად განიხილება. დროებითი სამუშაო და პროექტები არ იძლევა გრძელვადიანი პროფესიული განვითარების საშუალებას. ასევე აღსანიშნავია ინფორმა-

ციული და ტექნოლოგიური ბარიერების არსებობა, რადგან ყველა ქალს არ აქვს სათანადო წვდომა ციფრული უნარების განვითარების შესაბამის სერვისებზე.

სტატიაში ასევე განხილულია ის ძირითადი სამომავლო ნაბიჯები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც სახელმწიფოს მხრიდან უმნიშვნელოვანესია. ესენია: ქალთა განათლების ხელშეწყობა მათი ტექნოლოგიური უნარების განვითარებისთვის; ფინანსური ხელშეწყობა - მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდამჭერი პროგრამების შექმნა ქალებისთვის; სამართლებრივი რეგულაციების გაუმჯობესება - გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

გიგ-ეკონომიკა შეიძლება იყოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, თუ შესაბამისი პოლიტიკა და მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ამ სეგმენტში. აუცილებელია მდგრადი გადაწყვეტილებების შემუშავება, რათა ქალებმა სრულად გამოიყენონ ციფრული ეპოქის შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** გიგ-ეკონომიკა, სახელმწიფო, ტექნოლოგია

# სოფლის ტურიზმის პოტენციალი და მისი გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები აჭარაში

**ლელა ჯახაია**
ეკონომიკის დოქტორი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

საზოგადოებრივი ისტორიიდან გამომდინარე ადამიანი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სულიერი და მატერიალური სიუხვის წარმოების განსხვავებული შესაძლებლობების პირობებში სხვადასხვანაირად უდგება დასვენების ყოფიერებას. სწორედ აქ ეყრება საფუძველი ტურიზმის ახალ სახეებს, კერძოდ სოფლის ტურიზმს.

სოფლის განვითარებისთვის ტურიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. დღეისათვის ყველასთვის ნაცნობი სიტუაცია არის საზღვარგარეთ მოგზაურობა და ამით ვერავის გაკვირვებას ვერ მივიღებთ, მაგრამ ,,სოფლის ტურიზმი" შედარებით ახალი ტერმინია, რომელმაც საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი. ადამიანთა უმრავლესობას ურჩევნია ხმაურზე უარი თქვას და სოფლად სიწყნარესა და ჰარმონიაში გაატაროს დასვენების დღეები, რითაც დიდ სიამოვნებასა და ნეტარებას იღებს. ბევრ ქვეყანაში ტურიზმის ამ სახის ცივილიზაცია საფუძვლად დაედო დასვენების ძირითად მიმართულებასა და ეროვნული სოფლის დაცვას.

დღეს ევროკავშირშიც სოფლის ტურიზმში ხედავენ გამოსავალს, რომელიც გადაარჩენს სოფლის მეურნეობას დასავლეთ ევროპაში. მედიაშიც წერენ: ,,სოფლის ტურიზმი ახლა ზენიტშია. ხალხი წლის ყოველ სეზონზე სარგებლობს. მათთვის ხდება სახლების გადაკეთება. ტურისტები თანახმა არიან ყოველგვარ შეთავაზებულ პირობებს, რაც მათთვისაა განკუთვნილი".

სოფლის ტურიზმის პოტენციალი საქართველოში, მათ შორის აჭარაში უზარმაზარია. ბევრი ტურისტი სტუმრობს სოფლებს ღირსშესანიშნაობების სანახავად, ტრადიციული კერძების დასაგემოვნებლად, ჩვენი კულტურის გასაცნობად, რითაც ისინი უაღრესად კმაყოფილნი და გაოცებულნი არიან. ამ ყველაფერს ხელს უწყობს სტუმართმოყვარე ადგილობრივი მოსახლეობა, მათი თბილი მიღება და სიყვარულის გაცემა სტუმართათვის. თავად ბუნებამ სოფლის ბინადარნი დააჯილდოვა ულამაზესი ბუნებითა და ხედებით, რასაც მოვლა-პატრონობას არ აკლებენ აჭარის მამულიშვილები.

სოფლის ტურიზმს, როგორც მომსახურების სფეროს, უდიდესი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და აჭარა ამ კუთხითაც გამოირჩევა. წლების მანძილზე აჭარაში მაცხოვრებელთა უმეტესობა, სოფლის ტურიზმში ქმნიდა მრავალი სახეობის ცივილიზაციის შესაძლებლობებს. აჭარის შეუფასებელი კულტურა და ტრადიციები, შესანიშნავი ბუნება, სტუმართმოყვარე საზოგადოება ტურიზმის განვითარების შეუდარებელ პირობებს ქმნის.

სოფლის ტურიზმი ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა აჭარისთვის. ყოველწლიურად იზრდება მეწარმეთა რაოდენობა, რომლებიც ცდილობენ საკუთარი წვლილი შეიტანონ ტურიზმის განვითარებაში და ამით სარგებელი მოუტანონ, როგორც საკუთარ სოფელს, ასევე ქვეყანას. სოფლის ტურიზმის უმთავრესი მიზანი არის ტურიზმის დინამიური განვითარება და შესაბამისი ტენდენციების შემუშავება, რომელიც მოიზიდავს ტურისტებს.

მე-20 საუკუნეში სოფლის ტურიზმს მასობრივი ხასიათი, რომ მიეღო ხელი შეუწყო გარკვეულმა გარემოებებმა. პირველი, შეიძლება დავასახელოთ თავისუფალი დროის გაზრდა. საწარმოო ძალთა ახალმა დონემ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, რამაც შემდგომ გამოიწვია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება და დროის ზრდა. მეორე, ეს არის განვითარება ტრანსპორტის სფეროში, რამაც ხელი შეუწყო ადამიანის მოკლე პერიოდში შორ მანძილზე გადაადგილებას და ამით დროის დაზოგვაც მოხდა. ამჟამად, ტურისტებს ემსახურებათ სპეციალურად განკუთვნილი მარშუტი, რომელიც მათთვის ხელსაყრელი და კომფორტულია. რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს ადამიანს კონკრეტული ტურისტული ატრაქციების შესახებ, მით მეტი არჩევანის გაკეთება შეუძლია. ასევე, საინფორმაციო სისტემები უფრო ამარტივებს მომსახურების სფეროს, რადგან სახლიდან გაუსვლელად შესაძლებელია სასტუმროს წინასწარი დაჯავშნა, სამგზავრო, საექსკურსიო თუ სხვადასხვა ღონისძიების ბილეთის შეძენა. ელექტრონული სისტემების გამართულობა ხელს უწყობს ტურიზმის გარკვეული დეტალების პროგრესირებას.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის ტურიზმი, მომსახურების სფერო, ეკონომიკური კეთილდღეობა

# SOCIO-ECONOMIC TOOLS FOR ENTERPRISE MANAGEMENT IN WARTIME: ENSURING RESILIENCE, ADAPTABILITY AND FOOD SECURITY

**Olexandr Pomaz**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Oleksandr Fesenko**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Oleh Khukhra**
Kyiv National University of Technologies and Design, Kyiv, Ukraine

**Abstract**

Socio-economic tools of enterprise management are a key mechanism for ensuring its sustainability, competitiveness and effective functioning, especially in conditions of war and economic instability. The use of such tools allows to optimize resources, ensure personnel motivation, adapt organizational processes to crisis conditions and reduce the risks of losses in the production, financial and social spheres. The article considers a set of socio-economic methods of enterprise management in conditions of Russian aggression against Ukraine and determines their strategic impact on supporting competitiveness and food security.

**Introduction**

In conditions of war and economic instability, socio-economic tools of enterprise management become particularly relevant. They allow enterprises to ensure the continuity of production, maintain food security and effectively use limited material, labor and financial resources. The implementation of such tools becomes critically important for ensuring the sustainability, competitiveness and effective functioning of enterprises.

**Methodology**

Analysis of scientific publications shows that socio-economic tools include a set of management methods aimed at optimizing labor resources, stimulating personnel, and increasing economic efficiency [1]. To study the application of these mechanisms during the war period, methods of system analysis, review of scientific sources, and comparative analysis of socio-economic approaches to personnel management were used.

**Discussion**

Social mechanisms, such as employee support programs, compensation, and training initiatives, are critically important for retaining personnel and ensuring stable operation of the enterprise. Integration of social and economic levers allows adapting the organizational structure to an unstable environment and increases the efficiency of decision-making. Economic management tools, in particular, cost planning, forecasting financial flows, and optimizing resource provision, combined with motivational and socio-psychological measures, allow enterprises to effectively resist crisis phenomena [2]. Digitalization of economic processes and automation of management procedures for controlling production and financial indicators in a situation of limited personnel mobility are of particular importance.

**Results**

Socio-economic approaches to personnel management in crisis conditions include the development of professional competencies, adaptation to stressful conditions, support for the moral and psychological state of employees and the use of economic incentives [3–4]. The combination of socio-psychological support and

economic mechanisms contributes to reducing staff turnover, increasing productivity and ensuring the continuity of production processes.

**Conclusion**

Socio-economic tools for enterprise management should be considered as an integrated system of methods that combines economic, organizational and social mechanisms. In war and crisis periods, their application allows ensuring stability, increasing the adaptability of the enterprise to external influences, effectively using resources and maintaining personnel motivation. The use of comprehensive socio-economic approaches becomes a strategic factor in supporting the competitiveness of the enterprise and ensuring the country's food and economic security.

**Keywords:** socio-economic tools, enterprise management, personnel motivation, crisis conditions, economic efficiency, war, adaptability.

# საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საგარეო ვალი, გლობალური ეკონომიკის თანამდევი პრობლემები

**რუსუდან სირბილაძე**
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

საგარეო ვაჭრობა თავისი არსში მოიაზრებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, ექსპორტს და იმპორტს, საგარეო ვალს, გლობალურ ეკონომიკას, მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, და ყველაფერს რაც ითვალისწინებს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობებს. თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში გამოიყენება მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ მოდელები, დიაგრამები და განტოლებები.

ეკონომიკური მოდელები ეკონომიკური პროცესების გამარტივებული საშუალებაა. მათი მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკური პროცესების მარტივად გამოსახვა, რაც თავის მხრივ აადვილებს სხვადასხვა ეკონომიკური ელემენტების ანალიზს და პროგნოზირებას. პოლიტიკოსები იყენებენ ეკონომიკურ მოდელებს რათა მეტად ინფორმირებულები იყვნენ გადაწყვეტილებების მიღებისას, უკეთესი სამთავრობო პოლიტიკის შემუშავებისას, სასურველი სტრატეგიის განსაზღვრისთვის, პროგნოზირებისთვის და სხვა. ეკონომიკური მოდელების გამოყენებით მარტივდება ეკონომიკის მუშაობა, ურთულესი ეკონომიკური კავშირები იყოფა მარტივ ელემენტებად, რისი მეშვეობით შესაძლებელია ახალი სტრატეგიის შექმნა, ბაზრის განვითარების დინამიკის და ტრანზაქციების ანალიზი. (1)

სტატისტიკურად ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება. 2024 წელს საგარეო ვაჭრობა $23,4 მილიარდამდე გაიზარდა, მაგრამ სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. წინა წლის მაჩვენებელზე 8%-ით მეტია. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ვაჭრობის ექსპრეს მონაცემების მიხედვით 2024 წელს ექსპორტი 7,8 %-ით 6 560 მლნ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 8,1%-ით 16 868 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წელს 10 მლრდ 308 მლნ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 44%-ია.(2)

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლიდან 2025 წლამდე იზრდება, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 3 340,6 მილიონი აშშ დოლარიდან 6 558.7 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ასევე იზრდება საქონლის რეგისტრირებული იმპორტი 8 048,8 მილიონი აშშ დოლარიდან 17 500,5 მილიონ დოლარამდე, რაც შედეგად საგარეო ვაჭრობის სალდოს მნიშვნელოვნად ცვლის უარყოფით კონტექსტში. (3)

2025 წლის 6 თვის მონაცემებით საქართველოს ექსპორტი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით გადანაწილებულია სხვადასხვა დარგებზე. რაც შეეხება იმპორტს ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით ანალოგიურად იგივე დარგებზეა გადანაწილებული. მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა თანხვედრაშია საგადასახდელო ბალანსთან, ის მოიცავს სახელმწიფო სამთავრობო სექტორს, სახელმწიფო საწარმოებს, ეროვნულ ბანკს და კერძო სექტორებს.(4)

2025 წლის მარტში საგარეო ვალი 138 მილიონი დოლარით გაიზარდა. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიდან ირკვევა. სტატისტიკის თანახმად, საგარეო ვალმა 2025 წლის 31 მარტს 8,7 მილიარდ დოლარს მიაღწია. ვალის მატების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ვალის სავალუტო კომპოზიცია. ვალის ორი მესამედი ევროში არის ნომინირებული, ხოლო ევრო ბოლო თვენახევრის განმავლობაში გამყარების მკვეთრ ტენდენციას ინარჩუნებს, ამის გამო დოლარში გამოსახული ვალის მოცულობა იზრდება.

კრედიტორების რეიტინგში, პირველ პოზიციას იკავებს აზიის განვითარების ბანკი, რომლის მიმართაც სახელმწიფოს 2,3 მილიარდი დოლარი მართებს, მეორე ადგილზეა მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2,1 მილიარდი დოლარით, მესამეზე კი ევროპის საინვესტიციო ბანკი 1,1 მილიარდი დოლარით. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2004 წლიდან 2024 წლამდე ყოველ წელს იზრდება. საგარეო ვალის ზრდა უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე, მისი შემცირების შანსი რთულად მოსაძებნია. 2004 წელს საგარეო ვალი 1 მილიარდ 500 მილიონ დოლარს შეადგენდა, 2014 წელს საგარეო ვალის ოდენობა 4 მილიარდს აღწევს და 2024 წლისთვის 9 მილიარდამდე გაიზარდა. პირველ 10 წლეულში საგარეო ვალი მხოლოდ 2.5 მილიარდით იზრდება, მომდევნო 10 წელიწადში 5 მილიარდით. ეს ვფიქრობ საგანგაშო ვითარებაა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს მისი შემცირების მიზნით ღონისძიებების გასატარებლად. (5)

საქართველო მსოფლიო გლობალური სივრცის ნაწილია და ამიტომ აუცილებელი ხდება იმ პრობლემების გადაჭრა რაც მსოფლიო გლობალურ ეკონომიკას თან სდევს. გლობალური პრობლემები ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს ყველა ქვეყანას, საერთოა მთელი მსოფლიოსთვის, ყველა რეგიონისა და ქვეყნისთვის. მისი გადაჭრა მთელი კაცობრიობის ძალისხმევით არის შესაძლებელი.

**საკვანძო სიტყვები:** საგარეო ვაჭრობა, ეკონომიკური მოდელები, კრედიტორთა რეიტინგი

# GRANT FUNDING AS A TOOL FOR ENSURING THE SUSTAINABILITY OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN UKRAINE IN THE CONTEXT OF WAR

**Iryna Kyryliuk**
PhD, Associate Professor
Pavlo Tychyna Uman State Pedagogical University
Uman, Ukraine
**Gianluca Vagnarelli**
PhD, Founder i-strategies
Offida, Italy
**Liudmyla Chvertko**
PhD., Associate Professor
Pavlo Tychyna Uman State Pedagogical University
Uman, Ukraine

**Abstract**

The full-scale war in Ukraine has resulted in unprecedented challenges for the higher education system, significantly affecting its functioning, development, and ability to preserve institutional resilience. Under these conditions, it is particularly important to find alternative sources of funding that will ensure the continuity of educational activities, support scientific research, and promote integration into the international educational space. One of the key instruments that opens up opportunities for infrastructure restoration, academic mobility development, implementation of innovative educational practices, and strengthening the institutional capacity of Ukrainian higher education institutions is grant-based funding.

A successful case of attracting grant funding is the Erasmus+ project "Academies4Ukraine – Strengthen Higher Education Resilience in Ukraine and European Union". The EU has allocated €400,000 for its implementation between 2023 and 2026. The project was initiated by the social enterprise i-strategies (Italy) and developed in partnership with the University of Helsinki (Finland), Riga Technical University (Latvia), Pavlo Tychyna Uman State Pedagogical University (Ukraine), Kherson State University (Ukraine), and Odesa National University of Technology (Ukraine).

The results of the project contribute to maintaining the competitiveness of Ukrainian universities and their integration into the European educational space. In particular, the creation of the documentary film "Academic Resilience Stories from Ukraine Documentary" draws the attention of the international community to the challenges faced by Ukrainian higher education institutions in the context of war. To support higher education institutions working with students affected by war, a handbook entitled "Socio-psychological support for university students: a best practice from Helsinki University" has been developed. This guide contains effective practices of psychosocial support aimed at improving the mental well-being of the student community. Another tool for adaptation, and social integration of students who are in a state of chronic stress due to military action is the digital handbook "Manual for Implementing a University Psychological Help Service for Students".

Compared to other projects, the distinctive feature of this project is determined by:

- a narrative approach – instead of the traditional academic method of disseminating content, academic sustainability in Ukraine is examined through "video essay";

- updating the concept of academic solidarity. The aim of the project is to interpret academic solidarity not only as a means of unilateral support for Ukraine (from Europe to Ukraine), but also as a way to give Ukrainian partners the opportunity to share their experiences and knowledge gained during the war as relevant knowledge useful for strengthening and supporting other universities and students involved in military operations around the world;

- preparing Ukraine for post-war reconstruction and introducing innovations into the higher education system with the participation of public and private actors, in line with a concept that views EU funds not as an end goal, but as a lever for the country's sustainable and autonomous socio-economic development.

At the same time, in an effort to overcome the limitations of many Erasmus+ projects, whose impact is lost once funding ends, the initiators of the "Academis4Ukraine" project have developed "The Academic Recovery Plan Initiative". This initiative, based on the theoretical framework developed during "The Ukraine Recovery Conferences" (URC) held in Lugano (2022), London (2023), Berlin (2024) and Rome (2025), has identified a number of specific measures and outlined a roadmap for a pilot project for the academic recovery of Ukraine.

**Keywords:** Grant-based Funding; Sustainability of Higher Education Institutions; Erasmus+; International Projects; War; Ukraine.

# STIMULATING PERSONNEL IN WARTIME AS A FACTOR IN EFFECTIVE INNOVATIVE MANAGEMENT OF AN ENTERPRISE

**Olexandr Pomaz**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Oleksandr Nikonenko**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Roman Demchenko**
Bohdan Khmelnytsky National University of Cherkasy, Cherkasy, Ukraine

**Abstract**

Incentives in the mode of innovative management of an enterprise in wartime conditions become a critical factor in ensuring adaptability, sustainability and competitiveness. The article examines material and non-material incentives, motivation gap assessment systems and creative approaches to personnel management that contribute to supporting innovative activity and adaptability of an enterprise in wartime conditions.

**Introduction**

Military actions significantly deepen the uncertainty of the business environment: logistical chains are disrupted, access to resources is limited, personnel are mobilized, and personnel are under constant stress. In such conditions, the ability of an enterprise to quickly adapt and activate the innovative behavior of employees becomes a matter of national security and business survival.

**Methodology**

The analysis was conducted based on a review of scientific publications by Ukrainian researchers and practical cases of implementing incentives in the mode of innovative management in wartime conditions [1–4]. The methods of system analysis, assessment of the motivational gap and integration of material and non-material incentives were used to increase innovative activity.

**Discussion**

Staff motivation involves a complex of material and non-material mechanisms. Material incentives are adapted to wartime conditions: bonuses for performance, support for families of mobilized workers, risk compensation. Non-material incentives - professional development, participation in strategic planning, recognition of achievements - are of particular importance for maintaining morale and motivation for creative activity. Gavlovska and Rudnichenko (2023) emphasize the combination of motivational measures with organizational strategies to ensure staff involvement in innovation processes [1]. Ivaschchuk and Danylenko-Kulchytska (2025) develop a model for assessing the motivational gap, which helps to identify unrealized innovative potential and increase innovative culture [2]. Research on staff creativity shows its importance for the adaptability of the enterprise and the implementation of innovations [3]. Innovative culture and support for a creative environment contribute to cross-functional cooperation, knowledge exchange, and increased overall innovation activity [4].

**Results**

Complex incentives include:

material incentives adapted to military realities;

intangible motivation mechanisms to support the creative potential of personnel;

systems for assessing innovative activity and motivational gaps;

creative approaches to personnel management to increase adaptability and competitiveness.

**Conclusion**

Effective incentives in the innovation management mode ensure the ability of enterprises to adapt to military challenges, mobilize internal resources for innovative solutions, and maintain long-term stability in an unstable environment. Integration of material, intangible, and creative incentive mechanisms is a strategic factor in supporting the competitiveness and innovative activity of an enterprise in wartime.

**Keywords:** incentives, innovative management, war, enterprise adaptability, personnel motivation, creativity, innovative activity.

# ხელოვნური ინტელექტის გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და ბიზნეს პროცესებზე

**თამთა ვარშანიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული
უფროსი მასწავლებელი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ტექნოლოგიური პროგრესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკის განვითარებასა და ბიზნეს პროცესების ჩამოყალიბებაზე. ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია კომპანიებმა გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა რასაც თანამედროვე ტექნოლოგიები სთავაზობს მათ. თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება ხელოვნური ინტელექტი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც რესურსი, რაც მსოფლიო მასშტაბით ზრდის ტექნოლოგიურ და საინფორმაციო სფეროში დასაქმების წილს. მეორეს მხრივ ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი შოკი შრომის ბაზარზე, რაც საწყის ეტაპზე გაზრდის ხარჯებს ახალი ტიპის შრომის ბაზარზე გადასაწყობად და მის სამართავად.

ხელოვნური ინტელექტის როლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანად იზრდება უთანასწორობის პრობლემა. Institute for Public Policy Research ანგარიშის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის სარგებელი სავარაუდოდ კონცენტრირებული იქნება მაღალკვალიფიციური მუშაკების მცირე ჯგუფში, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებმა შეიძლება წააწყდნენ ხელფასის კლების პრობლემას ან სამუშაო ადგილების შეცვლა ავტომატიზაციის გზით. [8]

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ხელოვნური ინტელექტის გავლენა მსპ-ს ზრდაზე, რომელიც რთული და მრავალმხრივია. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გაზარდოს წარმოება და პროდუქტიულობა, მან ასევე შეიძლება შეაფერხოს არსებული ინდუსტრიები. Accenture-ის ანგარიშის თანახმად (წყარო: Accenture) ჩინეთი და ჩრდილოეთ ამერიკა ღებულობს ყველაზე მეტ სარგებელს ამ პროცესებისგან. ხელოვნურმა ინტელექტუალმა შესაძლოა 2035 წლისთვის გლობალური მსპ 14 ტრილიონი დოლარით გაზარდოს. გარდა ამისა, PwC-ის ანგარიშში (რომელიც Accenture-ის კვლევას შეესაბამება) შეფასებულია, რომ 2030 წლისთვის ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გლობალური ეკონომიკის 7-15 ტრილიონი დოლარით გაზრდა, საიდანაც ყველაზე მეტად ჩრდილოეთ ამერიკა და ჩინეთი ისარგებლებენ.

კვლევის პროცესში დადგინდა რომ ხელოვნურმა ინტელექტის სწრაფად განვითარება სამომავლო პერსპექტივაში გაზრდის უთანასწორობას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სიმდიდრისა და ძალაუფლების კონცენტრაცია რამდენიმე კომპანიის ან პიროვნების ხელში. რამდენიმე კომპანიას ან ფიზიკურ პირს მიეცემათ შესაძლებლობა აკონტროლოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი, რაც გამოიწვევს ეკონომიკურ უთანასწორობას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა არის აღწერითი ხასიათისაა და ხსნის სპეციფიურ მდგომარეობას საქართველოს ნავსადგურების საკომუნიკაციო სისტემებთან. კვლევის პროცესში შესწავლილი და გამოვლენილ იქნა ის ეკონომიკური შედეგები რაც მოყვება “ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვას”. „ერთი ფანჯრის სისტემა“ უზრუნველყოფს ყველა იმ საჯარო და კერძო უწყების ჩარ-

თულობას, რომელთა ნებართვაც აუცილებელია გემის ნავსადგურში შემოსვლისთვის. სანავსადგურეო პროცესების ციფრული ანალოგები ჩართული მხარეების მოთხოვნებისა და მოლოდინების გათვალისწინებით შეიქმნა.

ბიზნეს პროცესები თანამედროვე სწრაფად განვითარებად გარემოში მოითხოვს მოქნილ და კოორდინირებულ მმართველობით გადაწყვეტილებებს, კომპანიის ძირითადი მიზნებისა და პროცესების შესაბამისობაში მოყვანას, ბიზნეს პროცესების მართვისას ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვნად აიოლებს და შედეგიანს ხდის მმართველობით პროცესს.

სტატისტიკის მიხედვით, კომპანიების ერთი მესამედი ხელოვნური ინტელექტის სისტემებს რამდენიმე ბიზნეს განყოფილებაში იყენებს 83% კი ასეთი სისტემების გამოყენებას თავის სტრატეგიაში მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები პოტენციური მომხმარებლების რაოდენობას 1.5-ჯერ ზრდის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტის მქონე კომპანიების რაოდენობა 300%-ით გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ წელს ხელოვნური ინტელექტის გლობალური ბაზარი ნახევარ ტრილიონ დოლარს მიაღწევს. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მასშტაბირების დასაქმებაზე გავლენის შესახებ.[9]

აღსანიშნავია, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია დაეხმაროს ბიზნესებს გააუმჯობესონ და ოპტიმიზაცია გაუკეთონ თავიანთ პროცესებს, იქნება ეს მმართველობითი პროცესის გაუმჯობესება თუ წარმოების პროდუქტიულობის გაზრდა, თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაზიანებების პრევენცია, უფრო სწრაფი და ჭკვიანური ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღება თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების პრევენციის მიზნით ალტერნატიული გზების ძიებაში დახმარება.

თუმცა, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლო საფრთხეებისა და უარყოფითი შედეგების შესახებ. აუცილებელია ტექნოლოგიის თანმიმდევრული დანერგვა და გაუმჯობესება, ისევე როგორც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისთვის შესაბამისი კანონებისა და ეთიკური სტანდარტების შექმნა.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ტექნოლოგიური პროგრესი, ბიზნეს პროცესები, ეთიკური სტანდარტები

# R&D ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტები: საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების გამოცდილება

**იამზე სურმანიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილი სტატიის კვლევის საგანია კვლევასა და განვითარებაში (R&D) განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტები საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში. ანალიზის მთავარი ფოკუსია, თუ როგორ მოქმედებს R&D ინვესტიციები ეკონომიკურ ზრდაზე, შრომის პროდუქტიულობაზე და ექსპორტის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. სტატიაში განხილულია შესაბამისი საერთაშორისო ლიტერატურა და გაანალიზებულია საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ და ინოვაციაზე ორიენტირებულ ეკონომიკებთან შედარებით რეგიონში R&D ინვესტიციების მასშტაბი ჯერ კიდევ დაბალია, თეორიული და ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ R&D დანახარჯების თანმიმდევრული ზრდა, ინოვაციების ხელშეწყობის პოლიტიკასთან ერთად, წარმოადგენს ღია და მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისთვის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების კრიტიკულ ფაქტორს. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინსტიტუციური ჩარჩოების სრულყოფას, კერძო სექტორის აქტიურ ჩართულობასა და განათლების სისტემასთან თანამშრომლობას, როგორც აუცილებელ წინაპირობებს R&D ინვესტიციების მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მისაღწევად.

**საკვანძო სიტყვები:** კვლევა და განვითარება (R&D), ეკონომიკური ზრდა, კონკურენტუნარიანობა, მაღალტექნოლოგიური ექსპორტი, ინოვაციური პოლიტიკა.

# საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები და მენეჯერული სტრატეგიების მნიშვნელობა

**თამარ ფოლადაშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**ლაშა თანდილავა**
ეკონომიკის მაგისტრი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

კაცობრიობის არარაციონალური ქცევის და მისი ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების ფონზე გაჩნდა საჭიროება შექმნილიყო ისეთი ეკონომიკური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა ოპტიმალურ ბალანსს ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოსისტემის დაცვას შორის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც დღეს უდიდეს როლს ირგებს გლობალური მასშტაბით მდგრადი განვითარების პროცესში. შედეგად საქართველოში, რომელიც განვითარებად ქვეყანას წარმოადგენს, აუცილებელია მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა, რომელიც დაეხმარება ქვეყანას ეკოლოგიური რისკების შემცირებაში და გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევაში.

სტატიის მიზანია მწვანე ეკონომიკის საფუძვლების, მწვანე მენეჯმენტის სტრატეგიების როლისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი.

კვლევა დაფუძნებულია მწვანე ეკონომიკისა და მენეჯმენტის შესახებ არსებული მიდგომებისა და თეორიების კონტენტ-ანალიზზე. გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები, მათ შორის სტრუქტურირებული ინტერვიუ.

შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში მწვანე ეკონომიკა განვითარების ეტაპზე იმყოფება. ქვეყანაში ხორციელდება მრავალი ეკო ინიციატივა და მზარდია საზოგადოების ინტერესი გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დგას ტექნიკური, სამართლებრივი, ინფორმაციული და სხვა სისტემური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მდგრად განვითარებას. შესაბამისად აუცილებელია ღრმა და სისტემური ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც განაპირობებს მწვანე ტრანსფორმაციას ქვეყანაში.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, მწვანე მენეჯმენტი

# მიგრაციული ნაკადების ეკონომიკური შედეგები: შრომის ბაზარი და ანაზღაურების ტენდენციები საქართველოში

**ანა რუხაია**
პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
0009-0004-0578-9466
ana.rukhaia108@sps.tsu.edu.ge
**თათია ნაგერვაძე**
სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის მაგისტრი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
0009-0001-3318-1181
Tatia.nagervadze107@sps.tsu.edu.ge

**აბსტრაქტი**

მიგრაციული პროცესები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საზღვარგარეთ გადინება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საბანკო გზავნილების მაღალი მოცულობით შემოდინებას, ხოლო მეორე მხრივ, შიდა შრომით ბაზარზე, კერძოდ ანაზღაურების დინამიკასა და სტრუქტურაზე ახდენს გავლენას.

მოცემული კვლევა სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალურია, რადგან მიგრაციული პროცესების ეკონომიკური ანალიზი საქართველოში ჯერ კიდევ ფრაგმენტულად და არასისტემურად მიმდინარეობს. ნაკლებად შესწავლილია მიგრაციის გავლენა შრომის ბაზარზე ანაზღაურების დონესთან მიმართებით. კვლევა მიგრაციის სხვადასხვა სექტორზე, რეგიონზე და პროფესიულ ჯგუფებზე გავლენის შესწავლის შესაძლებლობაა. კვლევა მოიცავს მიგრაციული ნაკადების ანაზღაურებაზე გავლენის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს ერთდროულად, რაც ამ თემაზე არსებული კვლევების ფონზე ღრმა და კომპლექსურ ხედვას ქმნის. კვლევის შედეგად გაანალიზდა მიგრაციის ეფექტი რეგიონულ დონეზე, რაც შრომის ბაზრის რეგულირებისთვის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის ანაზღაურების დონესა და დინამიკაზე, შრომითი მიგრაციის გავლენის განსაზღვრა. კვლევის ამოცანებია საქართველოში შრომითი მიგრაციის მოცულობის, მიმართულებებისა და სტრუქტურის შესწავლა და სხვადასხვა სექტორში და რეგიონში ხელფასების დონისა და ცვლილებების განსაზღვრა. ხოლო კვლევის კითხვაზე თუ როგორ უკავშირდება მიგრანტების ფულადი გზავნილების მოცულობა შრომის ბაზარზე ანაზღაურების დინამიკას საქართველოში? კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია შემდეგი ჰიპოთეზა - საქართველოს შრომის ბაზარზე რეგიონისა და სექტორის მიხედვით მიგრანტების ფულადი გზავნილები ხელფასების ცვლილებაზე განსხვავებული ინტენსივობით ახდენს გავლენას. ჰიპოთეზის შემოწმე-

ბის მიზნით, კვლევა დაეყრდნო რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ სტატისტიკურ ანალიზს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება ამ ორი საკითხის ერთმანეთთან მიმართების შესწავლის შეზღუდულობიდან გამომდინარეობს. მიგრაციის კვლევა ხელფასებთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას იძლევა დავინახოთ, როგორ ცვლის შრომითი მიგრაცია შიდა შრომის ბაზრის სტრუქტურას, ანაზღაურების დინამიკას და ზოგადად ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაციული პროცესები, შრომის ბაზარი, შრომის ანაზღაურება

# სოფლად მცხოვრები ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები საქართველოში

**ნათელა წიკლაშვილი**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**თამილა თურმანიძე**
ეკონომიკის დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვითდასაქმებულია და სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობს. სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, რომელშიც დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 50.89% (რომლის 54.13% ქალია).

სოფლად მცხოვრები ქალები სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, თუმცა, მათი პოტენციალი ხშირად შეზღუდულია სტრუქტურული და სისტემური (სტერეოტიპული) ბარიერებით. ერთ-ერთი მიზეზი მიწის არაპროპორციული ფლობაა, შედეგად, ქალებისთვის ფინანსებზე წვდომა შეზღუდულია, ქალებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სესხები და საინვესტიციო შესაძლებლობები. ქალები ძირითადად არაანაზღაურებად შრომას ეწევიან ოჯახებსა და ფერმებში.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების შესწავლა და შეფასება, იმ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის მათ ეკონომიკურ აქტიურობაში.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა გარკვეულწილად მიმართულია ქალთა საჭიროებებზე, თუმცა ამ სფეროში სახელმწიფო, რეგიონულ თუ სასოფლო დონეებზე ამ დრომდე არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი გენდერული მეინსტრიმინგი.

სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებით, საქართველოს შეუძლია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, შეამციროს სიღარიბე რაიონებში და უფრო ახლოს იყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიღწევასთან.

**საკვანძო სიტყვები:** სამუშაო ძალა, ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები, გენდერული თანასწორობა

# INNOVATION AND INVESTMENT POTENTIAL OF AN ENTERPRISE AS A FACTOR OF STABILITY AND ADAPTABILITY IN WAR CONDITIONS

**Alina Oliinyk**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Yevhenii Bilokiz**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Veronika Levchenko**
State Scientific Research Institute for Informatization and Economic Modeling, Kyiv, Ukraine

**Abstract**

Managing the innovative and investment potential of an enterprise in conditions of war and a dynamic business environment becomes a key factor of stability and adaptability. The article considers strategic investment planning, the use of digital tools for risk assessment, stimulating personnel for innovative activity and the development of creativity. It is shown that the integration of investment and innovation strategy ensures the continuity of business processes, increases the adaptability of the enterprise and forms long-term competitiveness.

**Introduction**

Military operations and a dynamic business environment create risks: disruption of logistics chains, limited access to financing, shortage of qualified personnel and constant psychological pressure on personnel. In such conditions, effective management of innovative and investment potential allows enterprises to survive, optimize processes and implement innovative projects with high added value.

**Methodology**

The study is based on the analysis of Ukrainian scientific publications and practical cases of innovation and investment potential management [1–4]. The methods of system analysis, risk assessment, integration of investment and innovation strategy, as well as stimulation of material and intangible motivational mechanisms were used.

**Discussion**

Innovation and investment potential includes financial resources, technological capabilities, human and managerial capital. An integrated approach involves strategic planning of investments in critically important areas and a combination of material and intangible incentives for personnel mobilization [1]. Insufficient motivation of employees hinders the implementation of innovation and investment initiatives, while a systematic approach allows for the effective use of available resources and the formation of an adaptive development strategy [2–3]. Stimulating creativity and personnel participation in making innovative decisions increases the adaptability of the enterprise and supports a high level of innovative activity [4].

**Results**

Key components of effective management of innovation and investment potential in wartime conditions:

strategic planning of investments in critical areas;

combination of material and non-material incentives for personnel mobilization;

use of digital tools for monitoring and forecasting risks;

development of innovation culture and creative potential of employees;

integration of investment and innovation strategy to ensure sustainable development.

**Conclusion**

Effective management of innovation and investment potential allows enterprises to adapt to military challenges, mobilize internal resources for innovative solutions and ensure long-term competitiveness even in crisis conditions. Integration of strategic planning, personnel stimulation and development of innovation culture forms the basis of adaptability and sustainability of the enterprise.

**Keywords:** innovative and investment potential, enterprise, war, strategic planning, personnel stimulation, innovative activity, creativity, adaptability

# INTEGRATION OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY AND INNOVATION MANAGEMENT IN TIMES OF CRISIS CHALLENGES

**Tetiana Voronko-Nevidnycha**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Rostyslav Kozub**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Ruslan Alimov**
Bohdan Khmelnytsky National University of Cherkasy, Cherkasy, Ukraine

**Abstract**

Corporate social responsibility (CSR) in the management system of a modern enterprise is an important tool for ensuring sustainability, stakeholder trust and competitiveness. In wartime, the role of CSR increases, as enterprises fulfill social and humanitarian obligations, support employees, communities and state initiate-ves. The article examines the social, economic, environmental and managerial aspects of CSR, demonstrates its integration with staff motivation and innovation management and emphasizes its importance for adaptability, stability and long-term competitiveness.

**Introduction**

Military actions create additional challenges for enterprises: disruption of logistical chains, limited access to resources, changes in consumer priorities and psychological pressure on personnel. In such con-ditions, corporate social responsibility becomes a strategic element of management and a factor of national stability, contributing to supporting operational activities and strengthening stakeholder trust.

**Methodology**

The study is based on the analysis of Ukrainian scientific publications and practical cases of CSR imp-lementation in crisis conditions [1–4]. The methods of system analysis, comparative analysis of socio-eco-nomic and management practices, as well as the integration of CSR with personnel motivation and innovation management were used.

**Discussion**

CSR includes social, economic, environmental and management areas. During the war period, enterprises focus on:

supporting employees (material assistance, psychological support, flexible schedules);

helping communities and participating in humanitarian initiatives;

ensuring production safety and preserving jobs;

implementing innovations, digital and environmental solutions;

optimizing processes and increasing transparency of activities.

Ukrainian researchers emphasize the strategic nature of CSR in crisis conditions: socially responsible enterprises demonstrate higher adaptability to changes in the external environment, strengthen corporate culture and form long-term trust among employees and customers [1]. Integration of CSR with the personnel motivation system and innovation management allows for a quick response to the challenges of war and maintain the stability of operations [2].

**Results**

Key elements of CSR in wartime:

support and protection of employees and their families;

participation in humanitarian and social initiatives of communities;

transparent management of resources and effective communication with stakeholders;

integration of CSR with innovation and investment management;

development of corporate culture and strengthening of the reputation of the enterprise [3–4].

**Conclusion**

Corporate social responsibility in the management system of a modern enterprise in wartime forms the basis of adaptability, stability and long-term competitiveness. An effective combination of social, economic, environmental and management practices, integrating CSR with staff motivation and innovative management allows enterprises to mobilize resources, support staff and communities, ensuring social and economic sustainability even in crisis conditions.

**Keywords:** corporate social responsibility, war, management, adaptability, staff motivation, innovation, sustainability, corporate culture

# MANAGEMENT OF THE PRODUCTION POTENTIAL OF AN INNOVATION-ORIENTED ENTERPRISE IN WARTIME CONDITIONS: STRATEGIC APPROACHES AND ADAPTIVE MECHANISMS

**Tetiana Voronko-Nevidnycha**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Oleksii Kapustin**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Igor Ovsiannikov**
State Scientific Research Institute for Informatization and Economic Modeling, Kyiv, Ukraine

**Abstract**

Managing the production potential of an innovative enterprise in wartime is of particular importance due to external shocks that create uncertainty and resource constraints. The article considers a comprehensive approach to managing production potential, which includes strategic planning, digital transformation, personnel support, and integration of innovative approaches. Analysis of economic and mathematical models of the interaction of product and process innovation potentials demonstrates the effectiveness of such an approach for increasing the sustainability and competitiveness of the enterprise.

**Introduction**

Military actions create external shocks: disruption of supply, shortage of resources and labor, and increased uncertainty. The production potential of an enterprise is a set of technological, human, organizational, and innovation resources that determine the ability to carry out production, introduce innovations, and adapt to changes in the external environment. Effective management of potential in wartime becomes a critical factor in ensuring the sustainability and competitiveness of the enterprise.

**Methodology**

To study the management of production potential, a review of scientific publications, economic and mathematical models and practical cases of innovation-oriented enterprises was used [1–4]. The methods included a systematic analysis of resources, integration of product and process innovation potentials and assessment of the effectiveness of strategic decisions in conditions of limited resources.

**Discussion**

Studies emphasize the strategic importance of innovations for the development of enterprises in crisis conditions [1]. Labor potential determines productivity and innovative capacity, and flexible personnel policy contributes to increasing the stability of production [2]. The economic and mathematical model of the interaction of product and process innovation potential shows how different types of innovation potential affect production efficiency and resource optimization [3]. Integration of scientific approaches allows us to form a comprehensive approach to the management of production potential, which includes technological flexibility, human capital development and motivation, integration of innovative approaches and strategic risk planning [4].

**Results**

Management of production potential in war conditions includes:

strategic resource planning;

development of technologies and digitalization of production;

support and motivation of personnel;

integration of product and process innovations;

monitoring and assessment of external risks.

**Conclusion**

Effective management of the production potential of an innovation-oriented enterprise in wartime ensures not only the survival of the enterprise, but also increases its resilience, productivity and competitiveness. Integration of strategic planning, technological innovations, human capital and risk assessment allows the enterprise to adapt to external shocks and implement long-term strategic goals even in crisis conditions.

**Keywords:** production potential, innovative enterprise, war, strategic planning, digitalization, human capital, innovation potential

# აგროსასურსათო უსაფრთხოება: შეფასება და პერსპექტივები საქართველოში

**ნატო ჯაბნიძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**ზანდა მესხიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სისტემის კომპლექსური შეფასება 2019-2023 წლების მონაცემების საფუძველზე, თვითუზრუნველყოფის ინდიკატორების ანალიზით. გამოვლინდა ქვეყნის მაღალი იმპორტდამოკიდებულება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე, განსაკუთრებით ისეთ სტრატეგიულ კატეგორიებში, როგორიცაა ხორბალი და რძის პროდუქტები. იმპორტდამოკიდებულების მაღალი დონე, გარდა იმისა, რომ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სერიოზულ რისკებს უქმნის, ასევე იწვევს ფასების მერყეობას და გარე ფაქტორების მიმართ სისტემის მგრძნობელობას.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების დინამიკის დეტალური ანალიზი. ხორბლის სექტორში, მიუხედავად წარმოების ზრდისა (101 ათასი ტონიდან 148 ათას ტონამდე), თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დარჩა კრიტიკულად დაბალ, 15%-დან 23%-მდე მონაცვლეობით. ამასთან, იმპორტი შემცირდა, თუმცა კვლავ მაღალია (597 ათასი ტონიდან 537 ათას ტონამდე). სიმინდის შემთხვევაში მდგომარეობა შედარებით უკეთესია, თვითუზრუნველყოფა 62%-დან 74%-მდე მერყეობს. ბოსტნეულის სექტორში გამოვლინდა უარყოფითი ტენდენციები: თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 62%-დან 52%-მდე შემცირდა, ხოლო კარტოფილის სექტორში იმპორტი თითქმის გაორმაგდა, რაც ინდუსტრიაში არსებული სტრუქტურული პრობლემების შემოწმებას საჭიროებს.

მეცხოველეობის პროდუქტების კატეგორიაში თვითუზრუნველყოფა განსხვავებულია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცში 74%-მდე მერყეობს, ფრინველის ხორცი კი მხოლოდ 32%-ია, რაც მაღალ იმპორტდამოკიდებულებაზე მიუთითებს. რძის პროდუქტების სექტორში ფიქსირდება თვითუზრუნველყოფის შემცირება 81%-დან 75%-მდე და იმპორტის ზრდა 143 ათასი ტონიდან 197 ათას ტონამდე. კვერცხის წარმოების მხრივ თვითუზრუნველყოფა შემცირდა და იმპორტი გაორმაგდა, რაც ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

სასურსათო ფასების დინამიკა 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით აჩვენებს ფასების ზრდას ბოსტნეულსა და ზეთსა და ცხიმში, რაც დაკავშირებულია როგორც საერთაშორისო ბაზრების ცვალებადობასთან, ასევე მაღალი იმპორტდამოკიდებულების შედეგებთან. ფასების მერყეობას აძლიერებს იმპორტის კონცენტრაცია რამდენიმე ქვეყნაზე, რაც ზრდის ეროვნული სასურსათო სისტემის მოწყვლადობას გლობალურ ბაზარზე.

იმპორტის გეოგრაფიულმა სტრუქტურამ 2023 წელს აჩვენა, რომ ხორბლის ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ რუსეთი და ყაზახეთი, რომლებიც საერთო მოცულობის 85%-ს იკავებენ, რძის პროდუქტებში კი უკრაინა და ბელარუსი არიან წამყვანები. ბოსტნეულში მთავარ მიმწოდებლებად თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი მოიხსენიებიან, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმპორტის მაღალ კონცენტრაციას და სენსიტიურობას გეოპოლიტიკურ ფაქტორებთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ხარისხის კონტროლის სფეროში: 2023 წელს სურსათის ეროვნული სააგენტომ მოიპოვა ISO 9001:2015 სერტიფიკატი სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიმართულებით. 2021-2023 წლებში სახელმწიფო კონტროლის აქტივობებმა 46.5%-ით მოიმატა, რაც ასახავს სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას. 2022 წლიდან კი დაიწყო HACCP-ის სისტემის დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასურსათო უსაფრთხოების ხარისხს და სერთიფიცირებას.

შეჯამებით, იმპორტდამოკიდებულების შემცირება, ადგილობრივი წარმოების მასშტაბების გაზრდა და ხარისხის კონტროლის სისტემების გაძლიერება. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და ინტერდისციპლინარული მიდგომა კვლავ რჩება ძირითად გამოწვევად

**საკვანძო სიტყვები:** სასურსათო უსაფრთხოება, თვითუზრუნველყოფის ინდიკატორები, სასურსათო ფასები

# „მწვანე “ ეკონომიკის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**ირმა მოლაშხია**

ეკონომიკის დოქტორი

ასისტენტ პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, საქართველო

irmamolashkhia9@gmail.com

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია საქართველოში “მწვანე” ეკონომიკის ფორმირების პროცესში არსებული გამოწვევები, რომელიც გამოხატულია გლობალური დათბობით, ატმოსფეროს, ნიადაგისა და წყლის დაბინძურებით, ეკოსისტემის ნგრევითა და ა.შ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებისა და რეგულირების მექანიზმების განსაზღვრა. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის აღსანიშნავია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: ენერგოეფექტური სატრანსპორტო სისტემის შექმნა; ალტერნატიული და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების პოტენციალის გაზრდა; ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება; მცირე და უნარჩენო წარმოების დანერგვა და მართვა; რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენება წარმოებაში; წყლის რესურსების ეფექტური მართვა; გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, მაგალითად, ქალებსა და ბავშვებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა და მათზე მავნე ზემოქმედების შემცირება; მეტი მწვანე ქალაქების მშენებლობა, რომელიც 80/20 პრინციპით აიგება. საზოგადოების პასუხისმგებლობის დონის ამაღლება; ამ ღონისძიებების კომპლექსურად განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას და ადამიანთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით საქართველოს მთავრობა 2015 წლიდან დღემდე თანამშომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან, მაგალითად, მწვანე ეკონომიკის დაფინანსების ფონდთან (GEFF), რომლის ფინანსური მხარდაჭერით უამრავი მწვანე საინვესტიციო პროექტი განხორციელდა. ასევე აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო კვლევების დაფინანსება (გრანტების, სუბსიდიების გამოყოფა) ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შექმნაზე და წარმოებაში დანერგვაზე. ამრიგად, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა ეფუძნება მდგრადი განვითარების ტრიადას (ეკონომიკური ეფექტურობა, სოციალური სამართლიანობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება), რომლიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკას და მთელი რიგი ინსტრუმენტების გამოყენებით უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2030 წლისთვის, საქართველოში გაუმჯობესდება ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, ენერგოეფექტურობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, მწვანე ქალაქის კონცეფცია.

# შრომის ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

**ნატალია რობიტაშვილი**
ბიზნესის მართვის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**ნინო აბესაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**რუსუდან ქინქლაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

შრომის ბაზარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში. სწორედ შრომის ბაზარზე უკავშირდება ერთმანეთს შრომისუნარიანი მოსახლეობისა და დამსაქმებლების ინტერესები. შრომის ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის გამოყენებას, მრავალი ფაქტორის გავლენას ექვემდებარება, რომელიც იწვევს მისი ფუნქციონირების არასტაბილურ განვითარებას. საქართველოს შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციები ბოლო ათწლეულების განმავლობაში დინამიურად იცვლებოდა, განსაკუთრებით გლობალური ეკონომიკური კრიზისების, სოციალური ცვლილებების, ტექნოლოგიური პროგრესისა და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფონზე. ამ ცვლილებების შედეგია არა მხოლოდ დასაქმების დონე და უმუშევრობის მაჩვენებელი, არამედ მთელი შრომის ბაზრის სტრუქტურა. საკითხი აქტუალური რჩება როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით, რადგან პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ნაშრომში განხილულია საქართველოს შრომის ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები 2014-2024 წლებში, როგორიცაა უმუშევრობა, დასაქმება, არაფორმალური დასაქმება და გენდერული უთანასწორობა. ყურადღება გამახვილებულია ახალ ეკონომიკურ და სოციალურ პარადიგმებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს შრომის ბაზრის სტრუქტურაზე და მის დინამიკაზე.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების შესაბამისი; სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანა დემოგრაფიული დაბერების აქტიურ ფაზაში იმყოფება. შობადობის დაბალი დონე, გარე მიგრაციის ზრდა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალი მაჩვენებელი ერთობლივად განაპირობებს ხანდაზმული ასაკის ჯგუფების წილის ზრდას და თაობათა ბუნებრივი ჩანაცვლების შემცირებას. ამ პროცესის ფონზე სამუშაო ძალის რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც არსებითად ცვლის

შრომითი რესურსების სტრუქტურას და ქმნის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს. შრომის ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში, რაც მიუთითებს ამ ჯგუფის შრომითი პოტენციალის არასაკმარისად გამოყენებაზე. დასაქმებულთა განაწილებისა და დასაქმების პორტალებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დომინანტია მეორადი შრომის ბაზარი, სადაც დასაქმება უმეტესად ხდება უკვე არსებული სამუშაო ადგილების შიგნით ცირკულაციის გზით და არა ახალი პოზიციების შექმნის ხარჯზე.

თანამედროვე პერიოდში შრომის ბაზარი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც განპირობებულია ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით, ახალ პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციის აუცილებლობითა და გლობალიზაციის მზარდი გავლენით. მიუხედავად ეკონომიკური დინამიკისა, უმუშევრობა და არაფორმალური დასაქმება კვლავ რჩება მწვავე პრობლემად, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მაშინ როცა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება. შრომის ბაზრის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციური და ტექნოლოგიურად ინტენსიური სფეროებისთვის საჭირო კადრების მომზადებაზე. მსგავსი ნაბიჯები აუცილებელია როგორც დემოგრაფიული დაბერების პირობებში შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და ასაკობრივი ბალანსის შენარჩუნებისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი, დემოგრაფიული დაბერება, დასაქმება, უმუშევრობა, არაფორმალური დასაქმება.

# INCREASING THE RESILIENCE OF ENTERPRISES THROUGH THE DEVELOPMENT OF PERSONNEL SELF-MANAGEMENT IN WARTIME CONDITIONS

**Mykola Zos-Kior**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Bohdan Chernykh**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Mykyta Zaitsev**
Bohdan Khmelnytsky National University of Cherkasy, Cherkasy, Ukraine

**Abstract**

The development of self-management in modern enterprises is a key factor in enhancing employee productivity and adaptability, especially during war and economic instability. Self-management encompasses skills in planning, organizing, controlling, and evaluating one's own activities, enabling employees to effectively respond to changes in the external environment and maintain continuity of production processes. In wartime, these skills become critical for enterprise resilience, preserving human capital, and making operational management decisions under high uncertainty. Integrating self-management development strategies into enterprise management systems strengthens the ability to withstand crises and ensures continuous operation.

**Introduction**

The development of self-management at contemporary enterprises is essential for maintaining operational efficiency, particularly under conditions of war and economic instability. Self-management not only enhances task execution and time management but also fosters emotional stability, team interaction, and digital skills necessary for remote process control [1]. In extreme conditions, effective self-management minimizes losses, maintains workforce engagement, and supports strategic goal achievement [2].

**Methodology**

The study is based on a comprehensive analysis of current scientific publications on self-management and its impact on enterprise performance in crisis situations. Research methods include literature review, comparative analysis, and synthesis of practical and theoretical insights regarding self-management practices in Ukrainian enterprises affected by war and resource constraints.

**Discussion**

Recent studies emphasize that self-management extends beyond personal task organization to include psychological stability, rapid adaptation to stress, team collaboration, and the integration of digital tools into workflow [3]. In wartime, these competencies enable employees to make autonomous decisions, prioritize tasks, and enhance innovation capacity [4]. Effective self-management strengthens the human capital of enterprises, increases adaptability to external shocks, and supports operational continuity.

**Results**

Analysis of scientific sources indicates that enterprises that foster self-management achieve higher employee autonomy, motivation, and innovation potential. Self-managed personnel can independently determine priorities, integrate technological solutions, and maintain productivity under high uncertainty. This contributes to enterprise resilience, continuity of production, and the realization of strategic objectives even

in wartime conditions.

**Conclusion**

The development of self-management serves as a dual tool: enhancing individual employee efficiency and acting as a strategic managerial instrument for enterprise resilience. Its integration into modern enterprise management systems is critical for sustaining operational continuity, food security, and economic stability during periods of war. Investment in self-management strategies strengthens organizational capacity to respond to crises and ensures long-term competitiveness.

**Keywords:** self-management, personnel adaptability, productivity, wartime management, enterprise resilience, digital competencies.

# დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები ოკუპირებულ აფხაზეთში

**გელა ცაავა**
რუსეთისმცოდნეობის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე ეთნოდემოგრაფიულ და მიგრაციულ პროცესებს, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ აფხაზეთის თანამედროვე მიგრაციული პრობლემები ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს და მჭიდრო კავშირშია აფხაზი ხალხის დემოგრაფიული ბაზისა და გენოფონდის აღდგენასთან. ნაშრომში აქცენტებს ვაკეთებთ იმის შესახებ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთში მომხდარმა მიგრაციულმა ცვლილებებმა, კერძოდ, ოსმალეთის იმპერიაში იძულებითმა და სავალდებულო გადასახლებამ, შემდეგ კი მეფის რუსეთის პოლიტიკამ, სერიოზული ეთნოდემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვიეს, რამაც ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებები განაპირობეს. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში დემოგრაფიული ზრდის აუცილებლობის თეორიული დასაბუთებიდან საჭიროა პრობლემის პრაქტიკულ, ე. წ საკანონმდებლო გადაწყვეტაზე გადასვლა. ამავდროულად, ვსაუბრობთ, აფხაზი საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრების შესახებ, რომ რეგიონის დემოგრაფიის ისეთი ახალი საკითხები, როგორიცაა დაბერება, დეპოპულაცია, დემოგრაფიული სისუსტე (დაბალი მოსახლეობის სიმჭიდროვე), ,,თავდაცვისუნარიანობა'', მიგრაცია, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზა მხოლოდ შობადობით შეიძლება გადაწყდეს. ნაშრომში ვაანალიზებთ რეგიონში არსებულ ძირითად ფაქტორებზე, რომელიც აფხაზეთში დემოგრაფიულ სიტუაციაზე მკვეთრად უარყოფითად აისახება (ნარკომანია, შიდსი, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, საავტომობილო ავარიების დიდი რაოდენობა და სხვ). ნაშრომში საუბარია იმის თაობაზე, რომ 2021 წელს, დე ფაქტო პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ე. წ. კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ, სადაც გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა ,,დემოგრაფიული პოლიტიკა'', ,,დემოგრაფიული უსაფრთხოება'' და ,,დემოგრაფიული საფრთხეები''. ამავე დროს ვაცხადებთ, რომ ოკუპირებულ რეგიონში მანამდე არ არსებობდა ე. წ. ნორმატიული აქტი, რომელიც აფხაზეთის დემოგრაფიულ პოლიტიკას განსაზღვრავდა. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება მახვილდება ოკუპირებული აფხაზეთისთვის ახალი პრობლემის - არალეგალური მიგრაციის შესახებ, რომელიც რეგიონში უცხოელების გამოჩენის გამო წარმოიშვა. აქვე დავსძენთ, რომ მიგრანტი მუშები - უცხოელები ოკუპირებულ აფხაზეთში მოლდოვადან, უკრაინიდან, სომხეთიდან და ცენტრალური აზიიდან ჩადიან (უცხოელების საშუალო ასაკი 27-40 წელია). მიგრანტები ძირითადად ოკუპირებულ სოხუმსა და გაგრაში აქტიურობენ, სადაც სამუშაოს დიდი მოცულობაა (მათი უმრავლესობა ქალაქის ქუჩების დასუფთავებასა და მშენებლობაზე საქმიანობენ). ნაშრომში აღვნიშნავთ, რომ 2016 წელს, ,,აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსის'' შესახებ ე. წ. კანონი დაამტკიცეს, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა ოკუპირებულ რეგიონში

დროებითი ცხოვრების ნებართვის ასაღებად უნდა წარმოადგინონ სამედიცინო დოკუმენტი, რომ ისინი აივ ინფექციით გამოწვეული დაავადების მატარებლებს არ წარმოადგენენ. ნაშრომის მომზადებისას გამოყენებული ხელმისაწვდომი თეორიული მასალის ანალიზმა სათანადო დასკვნების მომზადების საკითხში გაგვიწია მნიშვნელოვანი დახმარება. წარმოდგენილი ნაშრომის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს წარმოვაჩინოთ ზემოხსენებული საკითხის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. ოფიციალური პირებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების პოზიციები, რაც ვფიქრობთ, საკვლევი თემის სათანადო ანალიზსა და დასკვნას უზრუნველყოფს.

**საკვანძო სიტყვები:** ეთნოდემოგრაფიული პროცესები, დემოგრაფიული პოლიტიკა, არალეგალური მიგრაცია

# ქალთა როლი ციფრულ ეკონომიკაში: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

**დალი სეხნიაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

პროფესორი, საინჟინრო ეკონომიკის,

მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ციფრული ეკონომიკა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დინამიური სექტორია, თუმცა საქართველოს შემთხვევაში ქალთა ჩართულობა ამ სფეროში კვლავ დაბალია. ქალთა ჩართულობა ციფრულ ეკონომიკაში არის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ პროცესის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს იშვიათ, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას, ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და სოციალურ თანასწორობას. საქართველოს განვითარების კონტექსტში ეს ინკლუზიური მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრესის და ინოვაციების თვალსაზრისით. სტატიაში განხილულია ქალთა როლი ციფრულ ეკონომიკაში, იდენტიფიცირებულია საქართველოში არსებული გამოწვევები და პერსპექტივები.

სტატიაში ციფრულ ეკონომიკაში ქალთა დასაქმების გამოწვევებისა და პერსპექტივების განსაზღვრისთვის საქართველოს რესპუბლიკაში, გამოყენებულია მრავალმეთოდური მიდგომა, რომელიც აერთიანებს როგორც რაოდენობრივ სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებზე დაფუძნებულ კვალიტატიურ ანალიზს. კვლევაში მონაწილეობდნენ ის ქალბატონები საქართველოს სამი რეგიონიდან (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), რომლებიც ჩართულნი არიან IT, e-commerce და სტარტაპ სექტორებში. ინტერვიუების და სტატისტიკური ანალიზის საშუალებით გამოვლენილია რამდენიმე ძირითადი ბარიერი, რომლებიც ამცირებს ქალთა ჩართულობას, ესენია: არადამაკმაყოფილებელი ტექნოლოგიური უნარები, ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა, სტერეოტიპული წარმოდგენები როგორც საზოგადოებაში ასევე ოჯახში, და საოჯახო მოვალეობების შედეგად დროსა და შესაძლებლობების დეფიციტი.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ქალთა ჩართულობის გაზრდა აუცილებელია როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის, ისე სოციალური თანასწორობის ხელშეწყობისთვის. პოლიტიკის ინიციატივებიდან ყურადღება გამახვილებულია UN Women-ის პროგრამებზე, სამთავრობო გრანტებსა და ტრენინგებზე, რომლებიც მიზნად ისახავს უნარების გაძლიერებას და ფინანსურ წვდომას.

სტატიის ავტორი ასკვნის, რომ ქალთა სრულფასოვანი ჩართულობისთვის საჭიროა კომპლექსური და გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მოიცავს სპეციალიზებულ ტრენინგებს, ფინანსურ მხარდაჭერას, მენტორინგის სისტემებსა და სოციალური სტერეოტიპების შემცირებას. მხოლოდ ამგვარი მიდგომით გახდება შესაძლებელი საქართველოში ინკლუზიური და მდგრადი ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება, სადაც ქალებს ექნებათ თანაბარი შესაძლებლობები და აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ეკონომიკა, ქალთა დასაქმება, სოციალური თანასწორობა

# MANAGING THE SOCIO-ECONOMIC POTENTIAL OF AN ENTERPRISE IN CONDITIONS OF MILITARY AND SECURITY CHALLENGES

**Mykola Zos-Kior**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Serhii Holovach**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Vyacheslav Bubko**
State Scientific Research Institute for Informatization and Economic Modeling, Kyiv, Ukraine

**Abstract**

Managing the development of the socio-economic potential of an enterprise in the context of security challenges, in particular during war, is critically important for ensuring stability, adaptability and long-term development. Socio-economic potential includes human capital, financial resources, organizational competencies, technological capabilities and the ability to innovate. The article analyzes approaches to managing these components, integrating digital and innovative solutions, social responsibility and strategic planning to increase the resilience of an enterprise in the context of military and economic risks.

**Introduction**

Military actions create numerous external shocks for enterprises: logistical chains are disrupted, financing uncertainty increases, access to resources becomes more difficult, and working conditions and social support deteriorate. In these conditions, enterprises must strategically manage their socio-economic potential, which determines the ability of the organization to withstand risks, maintain its functioning and develop.

**Methodology**

The study is based on the analysis of scientific publications and practical approaches to managing the socio-economic potential of enterprises in crisis conditions [1–4]. The methods of systemic and comparative analysis, as well as assessment of the relationship between social, economic and technological components of potential, were used.

**Discussion**

The socio-economic potential of an enterprise includes:

Human capital: competence, motivation, social cohesion, development of professional skills and support for employees;

Financial and material resources: effective management of costs, investments and optimization of resource provision;

Organizational and technological competencies: implementation of digital and innovative solutions to increase productivity and adaptability;

Social responsibility: support for employees, communities and stakeholders;

Monitoring of external risks and strategic planning: forecasting the impact of economic and security threats on the activities of the enterprise.

During wartime, effective management of socio-economic potential ensures the sustainability and competitiveness of the enterprise, allowing it to adapt organizational structures and processes to rapid

changes in the external environment [1–4].

**Results**

The use of an integrated approach allows enterprises to:

maintain and develop human capital even in crisis conditions;

effectively use financial and material resources to ensure the continuity of operations;

implement digital and innovative management technologies;

fulfill social and humanitarian obligations;

predict external risks and plan development taking into account security threats.

**Conclusion**

Managing the development of the socio-economic potential of an enterprise in the context of security challenges and war is a multidimensional process that combines economic, social and technological mechanisms. Effective implementation of integrated approaches allows for increased adaptability and sustainability of the enterprise, ensuring long-term development, competitiveness and the ability to withstand crisis impacts, including military ones.

**Keywords:** socio-economic potential, enterprise management, strategic management, war, adaptability, digitalization, innovation, human capital.

# ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების მიზნების სრულყოფაში

**ნაზი ჭიკაიძე**

ეკონომიკის დოქტორი

პროფესორი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ რესურსს, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებს, კრეატიულობას, კვლევით-ინოვაციურ პოტენციალსა და სოციალურ ქსელებში დაგროვებულ ურთიერთობებს. მისი ეფექტიანი მობილიზაცია და მართვა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საკვანძო მექანიზმს, ვინაიდან სწორედ ინტელექტუალური რესურსები განაპირობებს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პროგრესის სინერგიულ განვითარებას.

ინტელექტუალური კაპიტალის როლი მდგრადი განვითარების კონტექსტში მრავალგანზომილებიანია. პირველ რიგში, იგი ქმნის ინოვაციებისათვის აუცილებელ საფუძველს, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას გლობალური ბაზრების პირობებში. განათლებასა და კვლევაში ინვესტირების გზით ხდება ისეთი ცოდნისა და უნარების დაგროვება, რომელიც აუცილებელია ხარისხიანი დასაქმებისა და მაღალტექნოლოგიური სექტორების განვითარებისათვის. მეორე მხრივ, ინტელექტუალური კაპიტალი ხელს უწყობს სოციალური თანასწორობისა და ინკლუზიურობის გაძლიერებას, ვინაიდან ცოდნის გავრცელება და განათლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ფართო ფენების აქტიურ ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. პარალელურად, ეკოლოგიური მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინტელექტუალურ კაპიტალზე, რადგან გარემოსდაცვითი ინოვაციები, რესურსების ეფექტიანი მართვა და „მწვანე" ტექნოლოგიების დანერგვა სწორედ ცოდნასა და კვლევით საქმიანობაზეა დაფუძნებული.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც მიზნობრივი ინვესტიციები განახორციელეს განათლებასა და კვლევით-ინოვაციურ სექტორში, მოახერხეს გლობალური გამოწვევებისადმი სწრაფი ადაპტაცია და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში. ინტელექტუალური კაპიტალი იქცა არა მხოლოდ ეკონომიკური პროგრესის, არამედ სოციალური სტაბილურობისა და ეკოლოგიური ბალანსის განმსაზღვრელ ფაქტორად.

საქართველოსთვის აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანა ისწრაფვის ევროპული ინტეგრაციისა და გლობალურ კონკურენტუნარიან გარემოში პოზიციების გაძლიერებისაკენ. ამ კონტექსტში ინტელექტუალური კაპიტალის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს განათლებასა და მეცნიერებაში სისტემურ ინვესტიციებს, უნივერსიტეტებისა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას, აგრეთვე საერთაშორისო პარტნიორებთან კოოპერაციას. მხოლოდ ინტელექტუალური რესურსების მობილიზებისა და მათი ეფექტიანი გამოყენების გზით გახდება შესაძლებელი ისეთი მდგრადი განვითარების პრიორიტეტების შესრულება, როგორიცაა უთანასწო-

რობის შემცირება, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი პოლიტიკის გატარება. განვითარებული ადამიანური კაპიტალი სწრაფი ეკონომიკური ზრდის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლების სისტემის არსებობა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამრიგად, ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში არის ფუნდამენტური, რადგან ის წარმოადგენს იმ ინტელექტუალურ, ინოვაციურ და სოციალურ რესურსს, რომელიც აუცილებელია გლობალური გამოწვევების დასაძლევად და ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პროგრესის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ინტელექტუალური კაპიტალი, მდგრადი განვითარება, ინოვაციები, განათლება, კვლევა და განვითარება.

# ECONOMIC STRATEGIES IN DEVELOPING COUNTRIES: TRANSFORMATION PATHWAYS AND GLOBAL CHALLENGES

**Gia Zoidze**
Doctor of Economics
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
**Alina Badulescu**
Doctor of Economics
Professor, Faculty of Economics and Business
University of Oradea
**Giorgi Abuselidze**
Candidate of Economic Sciences
Professor, Faculty of Economics and Business
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
**Daniel Badulescu**
Doctor of Economics
Professor, Department of Economics and Business
University of Oradea
Oradea, Romania

**Abstract**

The economic policy of developing countries is one of the most important and at the same time controversial issues in the modern global economy. The main challenges facing these countries are structural imbalances, weak institutions, social inequality, low innovation potential and insufficient integration into global markets. In the process of formulating economic policy, a dilemma often arises between short-term stabilization and long-term development strategies, which further complicates the achievement of a transformative economy.

The concept of a transformational economy is particularly relevant in the case of developing countries, as it involves not only ensuring economic growth, but also its structural transformation - creating diversified production, promoting technological progress, increasing labor productivity, and establishing an inclusive social system. In such a context, the central task of economic policy is to select instruments and mechanisms that will promote sustainable economic dynamics and equal participation in the global economy.

Understanding global economic dynamics is an additional component that determines the policy choices of developing countries. Globalization, the expansion of international trade, foreign investment flows and the volatility of financial markets significantly limit or, conversely, enhance the possibilities of a transformational economy. Against this background, questions often arise: what types of economic models ensure sustainable development? How can local economic policies coincide with global economic trends without limiting national interests? The study of these issues provides a comprehensive analysis of how developing countries can overcome traditional development frameworks and move to economic systems that are innovation-based, competitive and strengthened by social capital.

Based on the above, the scientific novelty of the work lies in the fact that the conceptual analysis of the transformational economy is related not only to economic indicators, but also to institutional, social and global factors, which allows us to gain a more comprehensive understanding of the economic policy challenges of developing countries.

**Keywords:** transformational economy, economic policy, developing countries, global economic dynamics, structural transformation.

# EFFECT OF EDUCATION ON ECONOMIC GROWTH AND INCOME INEQUALITY

**Nino Kontselidze**
Assistant
Assistant, Faculty of Economics and Business
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

**Abstract**

Nowadays It's essential that education play the most important role for every country's economic development and growth. Last one has become one of the most important factors of scientific technological progress. Therefore, one of main strategical branch of every country's social economic development must be education. From this point of view education is the main aspect of productivity growth. In the long run term correlation between economic growth and spending on education is directly proportional conversely from short term. Human capital is motive power of economic growth and development, as it is reached by effective usage of limited recourses, development of innovations and improvement and refining production technologies. According to human capital development theory, increasing level of education effects positively on individual income, which decrease income inequality.

While discussing reasons of income inequality among the countries, we should pay attention not only on population income inequality, also on different effects of macroeconomic indicators on different levels of income. Country may have high level of income inequality, because of difference following indicators, or because of difference aspects, which influence on individual income. Increasement of education level of country have great effect on worker's productivity, therefore its effects on employer revenue. Definitely all above mention increase GDP per capital.

The main aim of the article is evaluation of statistic and spending of Georgia – out of education, which is defined according salary growth. Growth of salary is indicator of country's labor force qualification and high level of education. In the article is represented econometrical analyze of effect of educational spending on economic growth and income inequality based on case of Georgia.

**Keywords:** economic growth, educational spending, income inequality

# გლობალური კონტექსტის ანალიზი და საერთაშორისო რეგიონალური ინტეგრაცია

**რამაზ ფუტკარაძე**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ეტაზე საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს გლობალიზაციის გაღრმავებას და პოლიტიკურ სტაბილურობას. გლობალიზაციის პირობებში, მცირე და განვითარებადი ეკონომიკებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდა და მათი მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებული ინტეგრაცია.

საქართველოსთვის რეგიონული ინტეგრაცია წარმოადგენს სტრატეგიულ მიმართულებას, როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) ქმნის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებსა და გამოწვევებს.

თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, რეგიონული კონფლიქტებისა და გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტრატეგიული არჩევანის განხორციელება: გაღრმავებული ინტეგრაცია ევროკავშირთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან, ბაზრების დივერსიფიკაცია და ეკონომიკური უსაფრთხოების შემდგომი განმტკიცება.

რეგიონალური ინტეგრაცია გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან საუძველს წარმოადგენს. გლობალიზაციამ, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ვაჭრობამ, ქვეყნების ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულებას შეუწყო ხელი. გაჩნდა როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე გამოწვევები სახელმწიფოებისთვის. რეგიონალური ინტეგრაცია სავაჭრო, ეკონომიკური, პოლიტიკური თანამშრომლობის მეშვეობით, საშუალებას აძლევს ქვეყნებს, გაზარდონ ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და გაუმჯობესონ ქვეყნების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა

ინტეგრაცია და გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნების მზარდ კავშირებს, რომელიც ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობისა და ტექნოლოგიების განვითარების საშუალებით ხდება შესაძლებელი. იზრდება ქვეყნების ერთმანეთზე დამოკიდებულება და ინტეგრაციაში მონაწილე ქვეყანათა შორის ვაჭრობა.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები დაკავშირებულნი არიან ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ფინანსური ბაზრების საშუალებით. გლობალური მიწოდების ჯაჭვები დღეს მრავალ კონტინენტს მოიცავს, რაც რეგიონალური და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანობას უწყყობს ხელს. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების, ინტერნეტის და ტელეკომუნიკაციების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა სწრაფი კომუნიკაცია, რაც ხელს უწყობს ვაჭრობის ზრდას.

გლობალიზაციამ განსაკუთრებულად ხელი შეუწყო ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების რეგიონალურ დონეზე გადაჭრის მნიშვნელობას. ინტეგრირებული რეგიო-

ნები ხელს უწყობენ სამუშაო ძალის გადაადგილებას და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას.

რეგიონალური ინტეგრაცია ღრმავდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ სფეროებს. ცნობილია, რომ რეგიონალური ინტეგრაცია ხელს უწყობს ვაჭრობის გაზრდას. ეკონომიკური სტიმულები ერთ-ერთ მთავარია რეგიონალური ინტეგრაციისთვის. ტარიფებისა და მხარეთა შორის ვაჭრობის ხელშემშლელი ბარიერების მოხსნით ქვეყნები ზრდიან შიდარეგიონალურ ვაჭრობას. ინტეგრირებული რეგიონები იზიდავს ინვესტიციებს, რადგან ქმნიან სტაბილურ, დიდ ბაზრებს. რეგიონული ინტეგრაცია საშუალებას აძლევს კომპანიებს წარმოება გააფართოვონ, შემცირდეს ერთეულზე ხარჯები და გაიზარდონ ქვეყნების კონკურენტუნარიანობა.

რეგიონული ინტეგრაციის წარმატებული მაგალითები შესწავლა გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ ქვეყნებს მიაღწიონ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. ევროკავშირი წარმოადგენს ყველაზე განვითარებულ რეგიონალური ინტეგრაციის მაგალითს, ასევე თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია (EFTA). ევროკავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია აჩვენებს, როგორ შეუძლია ღრმა ინტეგრაციას გაზარდოს ვაჭრობა, ეკონომიკა, ინვესტიციები და პოლიტიკური სტაბილურობა. თუმცა, რჩება არაერთი პრობლემა და გამოწვევა.

საერთაშორისო რეგიონალური ინტეგრაცია ხშირად განიცდის მნიშვნელოვან გამოწვევებს, აღნიშნული გამოწვევების გაანალიზება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაიგეგმოს ღონისძიებები, რომელიც მაქსიმალურად გამოიყენებს ინტეგრაციის სარგებელს და შეამცირებს მოსალოდნელ რისკებს.

რეგიონალური ინტეგრაცია გავლენას ახდენს ქვეყნის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. ქვეყნებს კი შეუძლიათ უზრუნველყონ მდგრადი განვითარება. ინტეგრაცია სთავაზობს მნიშვნელოვან სარგებელს, რეგიონული ბაზრები უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და მხარეთა შორის სავაჭრო, საინვესტიციო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის გაღრმავებას.

ამრიგად, საერთაშორისო რეგიონალური ინტეგრაცია კვლავ გაღრმავდება. გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკურის ცვლილებების ფონზე, მომავლის ტენდენციების ანალიზი და სწორი რეკომენდაციები ქვეყნებს დაეხმარება, რომ მიიღონ ინტეგრაციიდან სარგებელი.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონული ინტეგრაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, გლობალიზაცია

# STRATEGIC MANAGEMENT OF ENTERPRISE COMPETITIVENESS IN THE CONTEXT OF DIGITALIZATION

**Tetiana Voronko-Nevidnycha**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Dmytro Pylypenko**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Olexandr Lytvynenko**
Bohdan Khmelnytsky National University of Cherkasy, Cherkasy, Ukraine

**Abstract**

Strategic management of the competitiveness of an enterprise in the conditions of digitalization becomes critical, especially during war, which transforms the business environment and creates numerous risks. Digital technologies are a key tool for increasing the adaptability, efficiency and resilience of enterprises. The article examines the impact of digitalization on competitiveness management, the role of digital competencies of personnel, the integration of digital solutions with innovation management and corporate social responsibility to ensure strategic flexibility and long-term competitive advantages.

**Introduction**

Military operations create serious challenges for enterprises: disruption of logistics, limited access to financing, shortage of qualified personnel, reduced purchasing power and psychological pressure on personnel. In such conditions, digital technologies become not only a means of optimizing operations, but also a strategic management tool that ensures adaptability, efficiency and competitive advantages of the enterprise.

**Methodology**

The study is based on the analysis of Ukrainian scientific publications and practical cases of the implementation of digitalization and innovative management in agricultural enterprises during the war [1–4]. The methods of system and comparative analysis, assessment of the role of digital competencies and integration of digital solutions into the competitiveness management strategy were applied.

**Discussion**

Digitalization allows to increase the efficiency of business processes, promptly respond to changes in the external environment, implement innovative solutions and ensure transparency of activities. In war conditions, the ability to use digital tools for remote management, production automation, remote customer service and risk analysis becomes important. The development of digital competencies of personnel becomes a key resource for strategic flexibility and competitive advantages [1].

Poltava State Agrarian University research confirms that the integration of digital solutions with management strategies allows enterprises to adapt to complex market conditions, increase productivity and effectively plan resources [2]. Innovative and digital development ensures overcoming crisis phenomena, increases adaptive capacity and supports stable business functioning even in periods of deep shocks [3; 4].

**Results**

Key components of strategic management of competitiveness in conditions of digitalization and war:

implementation of digital technologies to optimize business processes and transparency of activities;

development of digital competencies of personnel as a resource for adaptation and innovation;
monitoring of external and internal risks using digital analytics;
integration of digitalization with innovation management and corporate social responsibility;
formation of adaptive strategies that ensure flexible response to market changes.

**Conclusion**

Effective strategic management of the competitiveness of an enterprise in conditions of digitalization and war ensures not only support for stable work, but also finding new strategic development opportunities. The integration of digital technologies, the development of personnel competencies, risk monitoring, and the combination with innovation management and CSR allow enterprises to increase adaptability, efficiency, and long-term competitiveness even in difficult crisis conditions.

**Keywords:** strategic management, competitiveness, digitalization, digital competencies, war, innovation management, adaptability, agribusiness

# სტაბილური ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელების სტრატეგია საქართველოში

**გულნაზ ერქომაიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ინტერესები საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული ნაწილია. ამიტომ, ეკონომიკური დიპლომატიის როლი ეკონომიკური ინტერესების განმტკიცების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია. ეკონომიკური დიპლომატია იყენებს ეკონომიკურ რესურსებს საგარეო პოლიტიკის კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ეკონომიკური დიპლომატია ქმნის წესებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, რაც ზრდის ეკონომიკური გარემოს პროგნოზირებადობას და აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს.

ეკონომიკური დიპლომატიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, რომელიც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში მდებარეობს და გარე ეკონომიკურ პროცესებზე არის დამოკიდებული. ქვეყნის მცირე ზომა და რესურსების სიმცირე არ არის დაბრკოლება აქტიური ეკონომიკური დიპლომატიისთვის. სახელმწიფომ უნდა შექმნას ღია, პროგნოზირებადი და ბიზნესზე ორიენტირებული იმიჯი საერთაშორისო ბაზრებზე. ეკონომიკური დიპლომატია წარმოადგენს არა მხოლოდ განვითარების ინსტრუმენტს, არამედ სტაბილური უსაფრთხოების მხარდაჭერის ბერკეტს. საქართველოს გააჩნია ექსპორტის მხარდამჭერი მექანიზმები და ინსტიტუტები, მაგრამ მათ ნაკლებად ეფექტიანად შეუძლიათ შეცვალონ სახელმწიფოს როლი ექსპორტის მხარდაჭერის საქმეში. საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია, რომ მიუხედავად თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ქსელისა და პრო-დასავლური კურსისა, ქვეყანას აკლია ეკონომიკური დიპლომატიის ერთიანი სტრატეგია.

ეკონომიკური ინტერესის დაცვისა და განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ვინაიდან შესაბამისი ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნები (ეროვნული ინტერესები, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება) ვერ შესრულდება. ეკონომიკური უსაფრთხოება ორგანულადაა დაკავშირებული სოციალურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან, ვინაიდან სოციალური არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ეკონომიკის განვითარებას, ხოლო ეკოლოგიური საფრთხეების გაუთვალისწინებლობა - მდგრადი განვითარების პერსპექტივას.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ ახდენს გავლენას ინდივიდების ცხოვრების ხარისხზე. ეკონომიკური მდგომარეობა ინდივიდების ცხოვრებისუნარიანობისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ ქვეყნებმა დაიწყეს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის გაღრმავება. ეკონომიკური უსაფრთხოება წლებია წარმოადგენს წამყვანი მეცნიერების პირდაპირ ან ირიბი შესწავლის საგანს,

რათა წინასწარ იქნას შესწავლილი რისკები და საფრთხეები, ხელი რომ არ შეეშალოს ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებას, ზრდასა და განვითარებას.

ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების, კერძოდ, ევროკავშირის ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ეკონომიკური დიპლომატიის თავისებურებების გამოვლენა, გატარებული რეფორმების ანალიზი, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით სტაბილური ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ეკონომიკური დიპლომატიის სტრატეგიის შემუშავება.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური დიპლომატია, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური ზრდა და განვითარება

# მცირე ღია ეკონომიკისთვის ინკლუზიური შრომის ბაზრის შექმნის გამოწვევები

**ნინო მიქიაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში შრომის ბაზრის ინკლუზიურობა ერთ-ერთი საკვანძო გამოწვევაა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის. იგი გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის, შრომითი რესურსების სრულყოფილ გამოყენებას და სოციალური უთანასწორობის შემცირებას.

ღია ეკონომიკის ქვეყნების შრომის ბაზარი მუდმივად დგას მცირე თუ დიდი გამოწვევების წინაშე, რაც ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას აბრკოლებს. ნაშრომი იკვლევს საქართველოში დასაქმების ტენდენციებზე მოქმედ ისეთ სტრუქტურულ ფაქტორებს, როგორიცაა: მოსახლეობის დაბერება, სამუშაო ძალის გადინება, რეგიონული უთანასწორობა, არაფორმალური დასაქმების დონე და სხვ. ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უფრო ფართო სპექტრზე, განსაკუთრებით, ღირსეულ დასაქმებაზე წვდომა, შრომის მობილობა, ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და ა.შ. საქართველოს აქვს ძლიერი ეკონომიკური საფუძველი სწრაფი ზრდის გასაგრძელებლად, რაც განპირობებულია შრომის ბაზრის შესაძლებლობების გაუმჯობესებით.

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ის ძირითადი სირთულეები, რომელიც მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებს ხელს უშლის სამუშაო ძალის განვითარებაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბებაში.

ეკონომიკური მიღწევების მიუხედავად, საქართველოს შრომის ბაზრის მდგომარეობა გაუმჯობესებას საჭიროებს. ოფიციალური ეროვნული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვეყნის სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია, არასასოფლო-სამეურნეო სექტორში არაფორმალური დასაქმების წილი მზარდია. მიმდინარე პერიოდში მამაკაცების მაჩვენებლები მუდმივად მაღალია ქალებთან შედარებით, რაც, ბუნებრივია, აისახება დასაქმების მაჩვენებელზე. მამაკაცებსა და ქალებს შორის დასაქმების მაჩვენებლებს შორის სხვაობა მამაკაცთა სასარგებლოდ წლების განმავლობაში შესამჩნევია და შემცირების ნიშნები არ შეინიშნება. ასევე, ქვეყანა დგას რიგი მუდმივი სტრუქტურული გამოწვევების წინაშე, მათ შორის: მოსახლეობის დაბერება, მწარმოებლურობის სუსტი ზრდა, შეზღუდული ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა და რეგიონული უთანასწორობა. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური დასაქმება უფრო მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქად.

შრომის მიწოდება და მასზე მოთხოვნა რიგი მიზეზების გამო დაუბალანსებელია. აღნიშნული მიზეზების გამოვლენა გარკვეულწილად შეარბილებს იმ სირთულეებს, რაც ხელს უშლის შრომის ბაზარზე წონასწორობის მიღწევას. საქართველოს შემთხვევაში პრობლემატურია შრომის არასაკ-

მარისი გამოყენება, რომელიც მოიცავს უმუშევრობას, არასრულ, არაეფექტიან დასაქმებას და პოტენციურ სამუშაო ძალას. არსებული მდგომარეობა სტრუქტურულ პრობლემებზე მიუთითებს.

დასაქმების ტენდენციები სექტორების მიხედვით შედარებით სტაბილურია და ყველაზე მეტი წილი მოდის ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და განათლებაში. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მასშტაბებს და სფეროებს, ის მთლიანი სამუშაო ძალის მცირე ნაწილია და მათი უმეტესობა დასაქმებულია: ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში, მშენებლობაში, მიწოდების და კვების მომსახურებაში.

ინკლუზიური შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში გასათვალისწინებელია გენდერული უთანასწორობა, შეზღუდულ შესაძლებლობის პირთა დაბალი დასაქმების მაჩვენებლები და უმუშევრობა ახალგაზრდებში. შესაბამისად, ბაზრის ფორმალური მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს თანაბარ მონაწილეობის შესაძლებლობას ყველა სოციალური ჯგუფისთვის.

კვლევა მიუთითებს, რომ მცირე ღია ეკონომიკის პირობებში ინკლუზიური შრომის ბაზრის ჩამოყალიბება საჭიროებს ინსტიტუციური სტაბილურობის გაძლიერებას, მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის დანერგვას, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას, რეგიონული უთანასწორობის დაძლევას და შრომის ბაზრის ციფრულ ტრანსფორმაციას. საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ ინკლუზიური შრომის ბაზარი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის ინსტრუმენტი, არამედ გლობალურ ეკონომიკაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის წინაპირობა.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური შრომის ბაზარი, მცირე ღია ეკონომიკა, ადამიანისეული კაპიტალი, სოციალური პოლიტიკა, რეგიონული უთანასწორობა

# DEVELOPMENT OF HUMAN RESOURCE POTENTIAL OF AGRI-FOOD ENTERPRISES IN WARTIME: A STRATEGIC TOOL FOR ENSURING SUSTAINABILITY AND FOOD SECURITY

**Mykola Zos-Kior**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Vitalii Saienko**
Poltava State Agrarian University, Poltava, Ukraine
**Volodymyr Kirichenko**
State Scientific Research Institute for Informatization and Economic Modeling, Kyiv, Ukraine

**Abstract**

The development of human capital in agri-food enterprise management is increasingly relevant during war and economic instability, as the effective functioning of enterprises depends on employee competencies and their ability to adapt to crisis conditions. In the context of russia's aggression against Ukraine, human capital is critical not only for labor productivity but also for ensuring food security and continuity of production processes. Strategic human capital development encompasses professional knowledge, managerial and digital competencies, socio-psychological support, and employee motivation, enabling effective realization of enterprise potential.

**Introduction**

Human capital development in the agri-food sector has become a strategic priority under conditions of war and economic uncertainty. Enterprises must ensure that their personnel possess the necessary competencies to maintain production continuity, respond to external risks, and support national food security. Contemporary research highlights the multidimensional nature of personnel development, encompassing professional, managerial, and digital skills as well as social and psychological support.

**Methodology**

The study is based on an analysis of scientific literature addressing human capital development in the agri-food sector, particularly in crisis and wartime conditions. The methodology includes literature review, comparative analysis of competencies frameworks, and synthesis of practical approaches to personnel management under stress and uncertainty.

**Discussion**

Effective management of human capital requires adaptation of management systems to wartime conditions, including optimization of organizational processes, leadership development, decision-making under uncertainty, and the continuous support of personnel. Research indicates that digital competencies and information technologies are underutilized in contemporary agri-enterprises, despite their importance in enhancing efficiency, reducing time losses, and responding to rapidly changing external conditions [2]. Socio-psychological support, motivation, and adaptation to stress are critical factors for retaining employees and reducing turnover, which is vital for the Ukrainian agricultural sector during war [3; 4].

**Results**

Analysis shows that human capital development is a multidimensional process integrating strategic management, digitalization, socio-psychological support, and innovative approaches to professional growth. Practical modeling of personnel competencies demonstrates that systematic human resource management

and performance evaluation increase productivity, enterprise resilience, and adaptability to external challenges.

**Conclusion**

The development of human capital in agri-food enterprises is not only a means to enhance competitiveness and innovation but also a key instrument for ensuring enterprise stability and national food security under war and global uncertainty. Integrating strategic management, digital skills, socio-psychological support, and innovation into human capital development is essential for sustaining enterprise performance and resilience in crisis conditions.

**Keywords:** human capital, personnel development, agri-food enterprises, crisis management, digital competencies, socio-psychological support, war conditions.

# ინოვაციების როლი მეწარმეობის განვითარებაში

**მედეა ქავთარაძე**
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ბათუმი, საქართველო
**ნათია ბეჟანიძე**
ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში ინოვაცია მეწარმეობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ინოვაცია გულისხმობს ახალი იდეების, ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და მართვის მეთოდების დანერგვას. ამავდროულად, ის ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის წინაპირობაა, რადგან ის განსაზღვრავს კომპანიების გადარჩენას და ზრდას კონკურენტულ გარემოში, აფართოებს ექსპორტს და უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობას. კვლევის მიზანია შევისწავლოთ საქართველოში ინოვაციური და ტექნოლოგიური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები, ასევე არსებული გამოწვევები და პერსპექტივები. წარმოდგენილია რეკომენდაციები ინოვაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სტარტაპების მხარდაჭერის შესახებ. სტატისტიკური და ემპირიული მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ ინოვაცია აუმჯობესებს ბიზნესის ეფექტურობას და ქმნის კონკურენტუნარიანობის სწაფუძველს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციები, ინოვაციაზე დაფუძნებული მეწარმეობა, ინოვაციური ინფრასტრუქტურა, ეკოსისტემური ფაქტორები.

# სოციალური რისკები და სახელმწიფო ხარჯი: შესაძლებლობების შეფასება და პროგნოზი (ფინანსურ-სტატისტიკური ანალიზი)

**ასიე ცინცაძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**თამარ ღოღობერიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**სალომე ქოქოლაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ სოციალური რისკების მართვაში ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე. მიმდინარე კვლევა ფოკუსირებულია სახელმწიფო ხარჯების იმ ნაწილის ანალიზზე, რომლებიც მიმართულია სოციალური რისკების მართვისაკენ. სოციალური რისკები ცხოვრების დონის განმსაზღვრელ ინდიკატორებზე ზემოქმედების შედეგად ჩნდება. რისკების მართვისას დადებითი ეფექტის მისაღწევად მნიშვნელოვანია რისკების იდენტიფიკაცია, რითაც დადგინდება რომელი ინდიკატორით განსაზღვრული მაჩვენებელი ვერ შესრულდა, მიზეზები რომელმაც გამოიწვია რისკის წარმომქმნელი ფაქტორების გააქტიურება, როგორია რისკის ხარისხი, რათა დადგინდეს მინიმიზაციის შესაძლო ინსტრუმენტები და მართვის სუბიექტები: სახელმწიფო თუ ინდივიდები.

კვლევის მიზანია ფინანსურ-სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით გამოავლინდეს კავშირი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ხარჯებსა და ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხს შორის. გამოყენებულია მონაცემები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გაწეული რესურსების შესახებ, ასევე ცხოვრების დონის ძირითადი ინდიკატორები, როგორიცაა საშუალო ხელფასები, დასაქმების მაჩვენებელი და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

შედეგები აჩვენებენ, რომ მკვეთრი სახელმწიფო ხარჯები სოციალური რისკების მართვაზე პირდაპირ დაკავშირებულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან. ხარჯების ზრდა, კონკრეტულად სოციალური დახმარებების, ჯანდაცვის და განათლების სფეროებში, დადებითად აისახება სოციალურ ეკონომიკურ ინდიკატორებში, რაც იძლევა მოსახლეობის შემოსავლის მომატებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებას.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდით ცხოვრების დონისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის.

საქართველოში სოციალური რისკების მართვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. ეკონომიკური სირთულეები, რეგიონული უთანასწორობა და დემოგრაფიული ტენდენციები მოითხოვს ძლიერ და ეფექტიან სახელმწიფო ჩარევას. აუცილებელია არსებული მექანიზმების შეფასება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სისტემის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში სოციალური რისკების მართვის თეორიული და პრაქტიკული ანალიზი. სტატია განიხილავს სოციალური რისკების არსს, სახელმწიფოს როლს მათ მართვაში, მოქმედ პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მექანიზმებს. სოციალური რისკები განიხილება როგორც ისეთი მოვლენები ან ვითარებები, რომლებიც ზიანს აყენებს ინდივიდის ან ჯგუფის სოციალურ მდგომარეობას და მოითხოვს სახელმწიფოს რეაგირებას. სოციალური რისკები შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე სისტემური ბუნების. ინდივიდუალურია სამუშაოს დაკარგვა ან ავადმყოფობა, ხოლო სისტემური რისკები შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური კრიზისით, პანდემიით ან დემოგრაფიული ცვლილებებით.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ რისკებს არ აქვთ მხოლოდ ეკონომიკური განზომილება — ისინი ასევე ზემოქმედებენ ადამიანის ღირსებაზე, სოციალურ ინტეგრაციაზე და სახელმწიფოს სოციალური რისკების მართვის სისტემაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. სოციალური უსაფრთხოების სისტემის არსებობა და ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს შესაძლებლობასთან – მოახდინოს რესურსების გადანაწილება, შექმნას სუბსიდირების და სოლიდარობის მექანიზმები და უზრუნველყოს მოქალაქეების თანაბარი წვდომა ძირითად სოციალურ სერვისებზე. კვლევის შედეგების მიზანთან შესაბამისობისათვის აუცილებელად მივიჩნიეთ შესრულდეს ცხოვრების დონეზე მოქმედი მაჩვენებლების ფინანსურ-სტატისტიკური ანალიზი. ცხოვრების დონის, როგორც ერთი კრიტერიუმის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლით შეუძლებელია, რადგან ის იქმნება მრავალი ფაქტორისაგან: შემოსავლებით, ხარჯებით, განათლების დონით, ჯანმრთელობის ხარისხით და ა.შ. ნაშრომში ცხოვრების დონის შეფასებისთვის გამოვიყენეთ ერთ სულ მოსახლეზე მოსული მშპ. ეს მაჩვენებელი ასახავს სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების გადანაწილებას მოსახლეობაზე ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ეფექტი კი დამოკიდებულია ინდივიდების მიერ შემოსავლების სწორად გადანაწილებაზე ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიმართულებით, რაც უშუალოდ ქმნის სოციალური რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობას ინდივიდუალურ დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური რისკები, სოციალური უსაფრთხოება, სოციალური პოლიტიკა, ინვესტიციები

# TRENDS IN THE DEVELOPMENT OF FINANCIAL BANKING SERVICES IN THE REPUBLIC OF UZBEKISTAN, OPPORTUNITIES FOR ITS EFFECTIVE USE AND CONCEPTUAL ASPECTS

**Bekhzod Rozikov**
Associate Professor
University of science and technologies of Tashkent
Tashkent, Uzbekistan

**Abstract**

This paper examines strategies for developing financial services in commercial banks to enhance their competitiveness, efficiency and value proposition. In an era characterized by rapid technological advances and changing customer preferences, commercial banks are faced with the need to innovate and adapt to changing market demands. This article identifies the key strategies of banks to achieve sustainable growth and maximize customer satisfaction. These strategies include digital transformation, expanding product offerings, improving customer experience, enhancing access to financial services, strengthening risk management, investing in talent development and sustainable financing practices. Implementing these strategies will help commercial banks take a leadership position in financial services, drive business growth and achieve the broader goals of economic prosperity and social well-being.

**Keywords:** financial services, sustainable growth, risk management

# GLOBAL ECONOMIC CHALLENGES, ESG, AND THE RISK MANAGEMENT ROLE OF BANKS

**Zumrat Talatovna Gaibnazarova**
doctor of economic sciences
Professor, Faculty of Economics
University of science and technologies of Tashkent
Tashkent, Uzbekistan
**Tuychiyeva Madina Gafarovna**
Senior teacher, Faculty of Economics
University of science and technologies of Tashkent
Tashkent, Uzbekistan

**Abstract**

The global economy is increasingly defined by complex challenges such as climate change, rising inequality, geopolitical instability, and financial market volatility. These issues are not isolated; they are deeply interconnected and pose systemic risks to sustainable growth. The Environmental, Social, and Governance (ESG) framework has emerged as a critical lens for analyzing and addressing these global challenges, offering both a risk management tool and a strategic roadmap for long-term resilience. Within this context, banks occupy a pivotal position. As financial intermediaries and risk managers, banks determine the allocation of capital, influence corporate behavior, and shape the pace of the global transition toward sustainability.

This essay explores how banks integrate ESG principles into their risk management strategies to mitigate global economic vulnerabilities. On the environmental front, banks face rising exposure to climate-related risks, including stranded assets and transition risks tied to the shift from fossil fuels to renewable energy. Social risks—ranging from income inequality to labor rights and demographic shifts—impact creditworthyness and long-term economic stability. Governance risks, including corruption, weak regulatory environments, and poor corporate practices, heighten financial uncertainty and deter investment. By embedding ESG into credit risk assessments, stress testing, and disclosure practices, banks are beginning to address these risks systematically.

At the same time, the financial sector is undergoing a structural transformation through the growth of sustainable finance instruments such as green bonds, ESG-linked loans, and impact investments. These innovations allow banks to channel capital toward sustainable projects while managing reputational and regulatory risks. Regulatory frameworks, such as the EU Taxonomy and the Task Force on Climate-Related Financial Disclosures (TCFD), further reinforce the integration of ESG into financial decision-making, compelling banks to rethink risk management models and align with broader societal goals.

Nevertheless, challenges remain. Inconsistent ESG standards across regions, the risk of greenwashing, and the tension between short-term profitability and long-term sustainability create obstacles to effective implementation. Furthermore, banks face the delicate balance of meeting shareholder expectations while responding to the demands of regulators, customers, and broader society.

The essay concludes that ESG is no longer optional but a core component of economic resilience and risk management in the banking sector. Banks, by embedding ESG into their operations, can play a

transformative role in addressing global economic challenges while securing their own long-term stability. Ultimately, the stability and future growth of the global economy will depend not only on governments and corporations but also on the extent to which banks embrace their role as stewards of sustainable finance and responsible risk managers.

**Keywords:** ESG framework, risk management, finantial stability and growth, banks

# USING ARTIFICIAL INTELLIGENCE TECHNOLOGIES TO IMPROVE THE FINANCIAL EFFICIENCY OF UNIVERSITIES

**Zumrat Talatovna Gaibnazarova**
doctor of economic sciences
Professor, Faculty of Economics
University of science and technologies of Tashkent
Tashkent, Uzbekistan
**Jonibek Musayev**
Master
University of science and technologies of Tashkent
Tashkent, Uzbekistan

**Abstract**

Objective: We wanted to find out how artificial intelligence can help universities improve their financial affairs, that is, spend less and use what they have more wisely.

Methods: We studied various scientific articles, statistical reports, and real examples of how universities, including those in the CIS, are already using AI. We mainly looked at how AI helps with management and financial issues.

Results: It turned out that AI copes well with routine paperwork, freeing up employees' time and saving money. Predictive analytics helps to understand which students are likely to drop out of school and support them in time, which preserves the university's income. In addition, special AI-based programs help to better plan the budget, keep records, and even monitor the condition of buildings to avoid unnecessary expenses on repairs and use classrooms effectively.

Conclusions: If artificial intelligence technologies are implemented wisely, a university can really become more financially stable. But simply buying programs is not enough. The real impact will come when AI becomes a reason for big changes: when all decisions are made based on data, employees learn to work with new technologies, and clear rules are created for the AI itself so that it does not make mistakes and does not violate confidentiality. Our approach can become a kind of instruction for university management on the implementation of such technologies.

**Keywords:** artificial intelligence, financial stability, management issues

# რეფინანსირების განაკვეთი, როგორც მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობის ინსტრუმენტი

**რამინ ცინარიძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**Zinaida Smutchak**
Doctor of Economic Sciences, Professor
Educational and Scientific Institute of Management and Psychology
of State Higher Educational Institution University of Educational Management
Kiev, Ukraine

**ნინო ჯაფარიძე**
მაგისტრი, ფინანსები და საბანკო საქმე
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე ცვალებადი გარემოს და ცალკეული კრიზისების ზემოქმედება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე თანმდევი პროცესია, რომელსაც ახლავს სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრის ფინანსური თუ ეკონომიკური მაჩვენებლის უარყოფითი დინამიკა მოყვება. ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კრიზისულ სიტუაციებში სტაბილურობის პოლიტიკის სწორად წარმართვა (ბოლო პერიოდის მოვლენებმა ცხადყო მშვიდი და სტაბილური, მდგრადი განვითარების აუცილებლობა). შესაბამისად განსაკუთრებით აქტუალური ხდება ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სწორი ფორმირება, რადგანაც მას შესწევს ძალა მოცემული მაჩვენებელი დაიყვანოს მიზნობრივ პარამეტრამდე.

რეფინანსირების იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წარმოადგენს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს ინფლაციის თარგეთირების პირობებში. საქართველოში ფულადი ნაკადები და მთლიანად საფინანსო სფეროს, უმეტესი წილი კ/ბანკების ხელშია, სწორედ მათი მეშვეობით ხდება ფულადი რესურსების გადანაწილება და მიმოქცევა ქვეყანაში. როგორც ფიზიკური პირები ასევე იურიდიული პირები ფინანსურად დამოკიდებული არიან კ/ბანკებზე და მათგან მიღებულ სესხებზე. შესაბამისად, როდესაც კ/ბანკებს უძვირდებათ სესხი, ისინიც ამავდროულად აძვირებენ სესხს, რაც პირდაპირ მოქმედებს მოსახლეობაზე, რადგან მათი მოთხოვნა მცირდება, შესაბამისად ფულის მიმოქცევა მცირდება ქვეყანაში, მცირდება მისი მოცულობა ბაზარზე, რაც იწვევს ვალუტის მსყიდველუნარიანობის გაზრდას, ესე იგი ვალუტა მყარდება. რადგან როდესაც მცირე მოცულობითაა ფული მისი შინაარსით მასზე ფასი იზრდება შესაბამისად მისი ექვივალენტით უფრო მეტი საქონლის ყიდვაა შესაძლებელი ვიდრე აქამდე იყო, ესე იგი საქონლის ფასი მცირდება. აქედან გამომდინარე ვალუტის კურსის მყარდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. პირიქით მიმდინარეობს პროცესი, როდესაც მცირდება რეფინანსირე-

ბის განაკვეთი, მცირდება ვალუტის მსყიდველუნარიანობა. ეს ყველაფერი კი ასევე დაკავშირებულია ინფლაციასთან.

მონეტარული პოლიტიკის ფორმულირება ორიენტირებულია მომავალზე, სწორედ ამიტომ მისი განსაზღვრა ხდება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის მიხედვით, შესაბამისად აუცილებელია ინფლაციის მაჩვენებელზე მუდმივი დაკვირვება. როცა ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღემატება მიზნობრივს, მაშინ რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ხდება, ესე იგი მონეტარული პოლიტიკა მკაცრდება, ხოლო როდესაც ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი დაბალია, მცირდება რეფინანსირების განაკვეთი, ანუ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა გატარდება. მონეტარული პოლიტიკა რეფინანსირების განაკვეთის მეშვეობით ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე, რითაც კონტროლდება მოთხოვნის მხრიდან წარმოშობილი ინფლაცია. რეფინანსირების განაკვეთი და ინფლაცია უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია, თუ სხვა თანაბარ პირობებში იზრდება რეფინანსირების განაკვეთი მცირდება ინფლაცია.

საბოლოო ჯამში რეფინანსირების განაკვეთი მნიშვნელოვან კავშირშია მაკროეკონომიკურ პარამეტრების სტაბილურობისთვის. საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებზე. თუმცა ღია ეკონომიკიდან გამომდინარე ეს რთული პროცესია, რადგან უამრავი სხვა გარეგანი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო, როდესაც გადაწყვეტილების მიღებაზე მიდგება საქმე. ხშირად ეკონომიკაში ჩარევას უფრო რთული და გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს. შესაბამისად მონეტარული პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები უნდა შეირჩეს ფრთხილად და დაკვირვებით გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოს ეროვნულმა ბანკმა. ძირითადად ეს ყველაზე საფრთხილო იმ სიტუაციაშია, როდესაც ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობაა და ეკონომიკა საფრთხის ქვეშაა. ასეთი სიტუაცია საქართველოში იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ასევე საომარი სიტუაციების, საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების დროს, ბოლო დროს კი განსხვავებული კრიზისული სიტუაცია შეიქმნა პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში, განსაკუთრებით კი რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. სწორედ ამ მიმართულებით საჭირო ხდება რეფინანსირების განაკვეთის ეკონომიკურ პარამეტრებზე ზეგავლენის კვლევა (უკრაინის და საქართველოს მაგალითზე შედარებითი ანალიზი და ესტონური გამოცდილების გაზიარება).

მოკლედ, ქვეყნისთვის და მისი განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკური სტაბილურობაა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ ქვეყანას მაღალი ეკონომიკური ზრდა ჰქონდეს, შეძლებისდაგვარად დიდი მოცულობის მთლიანი შიდა პროდუქტი და ასევე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობა. ამის მიღწევა კი სწორი მონეტარული პოლიტიკით არის შესაძლებელი.

**საკვანძო სიტყვები:** რეფინანსირების განაკვეთი, ინფლაციის თარგეთირება, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარება, მონეტარული პოლიტიკა.

# კორპორაციული მმართველობა საქართველოში: რეფორმების სტრატეგიები კერძო და სახელმწიფო კორპორაციებისთვის

**თამილა ნუცუბიძე**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

კორპორაციული მმართველობა წარმოადგენს კომპანიების მართვისა და მმართველობის სისტემებს, პროცედურებსა და პროცესებს. კორპორაციული მმართველობა აუცილებელია კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებისას ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისთვის (Tricker, 2015). კორპორაციული მმართველობა საშუალებას აძლევს კომპანიებს შეინარჩუნონ ფინანსურად სტაბილურობა, კარგი მმართველობის პრაქტიკა ეხმარება კომპანიებს იყვნენ უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, სამართლიანი და სოციალურად პასუხისმგებელი.

საქართველოში ერთადერთი კომპანიები, რომლებმაც უნდა დაიცვან კორპორაციული მმართველობის წესები, არიან კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების საჯარო ემიტენტები. ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვა ბანკებში ხელს უწყობს საბანკო სექტორის და ზოგადად, ფინანსური სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მდგრადობას. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის მოთხოვნები დაწესებულია კომერციული ბანკების კორპორაციული მმართველობის კოდექსის საფუძველზე. კორპორაციული მართვის კოდექსი ეფუძნება ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას, როგორებიცაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2013/36/EU დირექტივის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟისა და სხვა მოწინავე კორპორაციული მართვის სტანდარტები და პრინციპები (NBG, 2025).

საქართველოში სახელმწიფო საწარმოები ფუნქციონირებენ ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან სექტორებში, როგორებიცაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, წარმოება, მშენებლობა, კომუნალური მომსახურება, ჯანდაცვა. შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოებს აქვთ პოტენციალი, წამყვანი როლი შეასრულონ ეკონომიკის გარკვეული სექტორების განვითარებაში, სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დაცვაში. მეორეს მხრივ, სახელმწიფო საწარმოები ფისკალური რისკის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საწარმოების არაჯანსაღი ფინანსური მდგომარეობით, ადგილობრივი ან ცენტრალური მთავრობის მიერ საწარმოებში კაპიტალური ინვესტიციების ზრდით და შესაბამისად, საწარმოების დაგროვილი ზარალის სახელმწიფო ვალად გადაქცევის რისკებით (ADB, 2025). სახელმწიფო კორპორაციები უზრუნველყოფენ სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობას „Comply or Explain" პრინციპით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი. კოდექსი უზრუნველყოფს კორ-

პორაციული მართვის სტანდარტების მიღებას და დანერგვას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ამასთან, სტრატეგია 2023-2026 განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის ფარგლებში, მოხდება სექტორის რეგულირება ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად, რაც, საერთო ჯამში, უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის თითოეული რგოლის ეფექტიანობის ზრდას და მათი საქმიანობის ხარისხის მდგრადობის შენარჩუნებას. შედეგად, სახელმწიფო საწარმოებს გაუჩნდებათ პოტენციალი, დამოუკიდებლად მოიზიდონ სახსრები კომერციული პირობებით. სახელმწიფო კორპორაციების კორპორატიზაცია წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნული, ერთი მხრივ, წაახალისებს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ეტაპობრივად გამოთავისუფლდება ფისკალური სივრცე სახელმწიფო საწარმოებზე ბიუჯეტიდან გადასესხებული/გადასასესხებელი თანხების შემცირების გამო (Ministry of Economy, 2023).

**საკვანძო სიტყვები:** კორპორატიული მმართველობა, ფინანსური სტაბილურობა, სახელმწიფო საწარმოები, კორპორაციული მმართველობის კოდექსი

# კორპორაციული მმართველობა, ESG-ს ინტეგრირება და მწვანე დაფინანსების განვითარება საქართველოში

**თამილა ნუცუბიძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

მწვანე დაფინანსების განვითარება განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ საქართველოში და მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს და მრავალმხრივ კვლევას. საფინანსო ორგანიზაციების და კომერციული ბანკების მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ინტეგრირება და ESG რისკების მართვა, საქართველოში კორპორაციული მართვის რეფორმის ფარგლებში ხორციელდება. კორპორაციული მმართველობის კოდექსი, რომლის ძირითადი მოთხოვნები საერთაშორისო სტანდართტებს ასახავენ, აწესებს ESG საკითხების ინტეგრირებას და ESG რისკების მართვის ნორმების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული მართვის კოდექსი ძირითადად ეფუძნება ნებაყოფლობითი პრონციპების, ნორმების, სტანდარტების დანერგვას, მათი გათვიცნობიერება, მიღება და შესრულება მყისიერად რეკომენდირებულია საფინანსო სისტემის მდგრადობის შენარჩუნების და განვითარების მიზნით.

საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგები ადასტურებენ რომ, საქართველოსთვის დამახასიათებელია მწვანე დაფინანსების სფეროში ღრმა პრობლემები: მწვანე დაფინანსების სტიმულების ნაკლებობა და ინვესტიციებიდან მიღებული დაბალი შემოსავლიანობა, რაც განსაკუთრებით ეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, რადგან მსხვილი ბიზნესი, და მითუმეტეს საფიანანსო-საბანკო სექტორის წარმომადგენლები, მეტი შესაძლებლობებით სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას ის საუკეთესო გამოცდილება რომელიც, მიუთითებს მწვანე დაფინანსების წარმატების შესაძლებლობებზე საქართველოში. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე ყურადღებას იპყრობს მსხვილი საინვესტიციო პროექტები რომლებიც ხშირად საერთაშორისო მხარდაჭერით ხორციელდება საქართველოში. მსხვილი საინვესტიციო კორპორაციების მწვანე პროექტების შესწავლის მაგალითზე მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ დასკვნები და რეკომენდაციები რომლებიც საქართველოს მწვანე დაფინანსების ჯერ კიდევ განუვითარებელი ეკოსისტემისთვის პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება.

მწვანე დაფინანსების ინსტრუმენტებს შორის, გამოირჩევა ობლიგაციები, მათი პოტენციალის თვალსაზრისით საქართველოში. მიუხედავად იმისა რომ, ლიტერატურული წყაროები ვერ ადასტურებენ ერთგვაროვან თანხმობას იმის შესახებ რომ მწვანე დაფინანსებას შეუძლია პირდაპირი გზით გაზარდოს კორპორაციათა ფინანსური ეფექტურობა და მათი საბაზრო კონკურენტუნარიანობა, მწვანე ობლიგაციების გამოშვების საერთაშორისო და ქართული გამოცდილება ადასტურებს მათ როლს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მათ შორის, ენერგეტიკის ინდუსტრიის მდგრად განვითარებაში, განახლებადი ენერგიის სექტორში ინვესტირების გაზრდის შესაძლებლობებს. რაც თანხვედრაშია კაპიტალის ბაზრის განვითარების სამთავრობო სტრატეგიასთან. საქართველოს კაპიტალის ბაზრის ბოლო ათწლეულის დინამიური ზრდა განპირობებულია სავალო

ინსტრუმენტებზე გაზრდილი მოთხოვნით, კორპორაციული ობლიგაციების, მათ შორის მწვანე ბონდების ინიციატივები არსებითად აღწერს საქართველოს კაპიტალის ბაზარის ტენდენციებს. ამასთან ერთად, აღსანიშნავია მწვანე ობლიგაციების მოცულობის ზრდის გარდაუვალი პერსპექტივა რაც განპირობებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მართვასთან დაკავშირებული რეგულაციების და სტანდარტების აქტიური თანმიმდევრული ინტეგრირებით ქართულ საკანონმდებლო და კორპორაციულ სივრცეში.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე დაფინანსება, საქართველოს კაპიტალის ბაზრი, მწვანე ობლიგაციები

# მდგრადი დაფინანსების ჩარჩოები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**გურამ ფუტკარაძე**
დოქტორანტი
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

დღევანდელ პირობებში ფინანსური სექტორი გადის სისტემურ ტრანსფორმაციას ის აღარ განიხილება მხოლოდ კაპიტალის განაწილების ტექნიკურ პლატფორმად. თანამედროვე გამოწვევები, მათ შორის კლიმატის ცვლილება, სოციალური უთანასწორობა და ეკონომიკური მოწყვლადობა, კარნახობს საჭიროებას, რომ ფინანსურმა არხებმა არამხოლოდ ეკონომიკური ფუნქცია შეასრულონ, არამედ გახდნენ იმ ღირებულებების მატარებელი, რომლებიც თანხვედრაშია გრძელვადიან სოციალურ, ეკოლოგიურ და მმართველობით პრინციპებთან. ამ კონტექსტში, მდგრადი დაფინანსება ფორმირდება არა მხოლოდ როგორც ალტერნატიული მიდგომა, არამედ როგორც ახალი სტანდარტი, რომელიც გარდაქმნის კაპიტალის გამოყენების არსს. სტატია მიზნად ისახავს შეაფასოს მდგრადი დაფინანსების განვითარებადი პრაქტიკა საქართველოში, გააანალიზოს მისი თეორიული საფუძვლები და მიმოიხილოს ის ინსტიტუციური და ნორმატიული ჩარჩოები, რომლებიც პასუხობს როგორც საერთაშორისო ზეწოლებს, ასევე შიდა განვითარების საჭიროებებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებიც ცდილობენ დააკავშირონ ფინანსური სტაბილურობა და გრძელვადიანი საზოგადოებრივი ღირებულებები. სტატიის ანალიტიკური ნაწილი იკვლევს იმ დინამიკას, რომლის შედეგადაც მდგრადი დაფინანსება იქცა არა მხოლოდ სარეგულაციო მოთხოვნად, არამედ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად. ანალიზი წარმოდგენილია სამ დონეზე: 1. სისტემურ დონეზე - განხილულია ეროვნული ბანკის მცდელობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთი პარადიგმის ჩამოყალიბებისკენ, რომელიც მხარს უჭერს არა მხოლოდ სტაბილურობას, არამედ გრძელვადიან სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებს; 2. სექტორულ დონეზე - შეფასებულია ტაქსონომიის გავლენა ისეთ დარგებზე, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა; 3. ინსტიტუციურ დონეზე - განხილულია, როგორ რეაგირებენ ფინანსური ინსტიტუტები და კორპორაციები ახალ სტანდარტებზე და როგორ ნერგავენ ESG პრინციპებს საქმიანობაში. სტატია ასევე აანალიზებს ტაქსონომიური ჩარჩოს როლს როგორც საქართველოსთვის საჭირო ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკაციის შექმნის საშუალებას, ასევე საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის იარაღს. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია მიდგომა, რომლის მიხედვითაც მდგრადი დაფინანსება საქართველოში უნდა განვითარდეს არა როგორც სავალდებულო ბიუროკრატიული ჩარჩო, არამედ როგორც განვითარების შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ღირებულებაზე დაფუძნებული ფინანსური კულტურის ჩამოყალიბებას. სტატია ეფუძნება ეროვნული ბანკის სტრატეგიულ დოკუმენტებს (2022–2024), საერთაშორისო სტანდარტებსა და ანგარიშგების პრაქტიკას და განკუთვნილია იმ აუდიტორიისთვის, რომელიც დაინტერესებულია ფინანსური სის-

ტემის ტრანსფორმაციით გრძელვადიან მდგრადობაზე ორიენტირებული განვითარების მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი დაფინანსება,ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია, ფინანსური სტაბილურობა

# ფასიანი ქაღალდების ბაზრის წინაშე მდგარი პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები

**ირინე თავაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**ირინა ვაშაყმაძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი საკვანძო მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის მობილიზაციას, საინვესტიციო რესურსების ეფექტიან განაწილებას, რაც განაპირობებს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ქვეყანაში. საქართველოში აღნიშნული ბაზრის განვითარება კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა, ფინანსური ინსტრუმენტების სიმწირე, ინვესტორთა დაბალი აქტიურობა და ლიკვიდურობის შეზღუდული დონე აშკარად აფერხებს ბაზრის განვითარება-ფუნქციონირებას. დამატებით პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ფინანსური განათლების დაბალი დონე, უცხოელი ინვესტორების შეზღუდული ჩართულობა და მარეგულირებელი გარემოს არასაკმარისი ეფექტიანობა. კვლევის მიზანია გავაანალიზოთ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი პრობლემები და წარმოვაჩინოთ მათი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. მოცემულ ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საინვესტიციო ნდობის დეფიციტი და სისტემური რისკების მართვის ნაკლებად განვითარებული მექანიზმები. მათი ანალიზის საფუძველზე შევძელით შემდეგი დასკვნის გაკეთება: ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება, ინვესტორთა ინფორმირებულობის ამაღლება, კაპიტალის ბაზრის ხელშეწყობა საგადასახადო და სამართლებრივი წახალისების გზით, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მჭიდრო დაახლოება. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება განავითარებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ფინანსური სისტემის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

**საკვანძო სიტყვები:** ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ფინანსური განათლება, სისტემური რისკები

# სოციალური დახმარების პროგრამების როლი სიღარიბის შემცირებაში

**დარეჯან ჩხუბაძე**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

**თემის აქტუალობა:** სიღარიბე მსოფლიოში გლობალური პრობლემაა, სოციალური უთანასწორობის მხრივ საქართველოშიც არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა, საშუალო კლასი არ არსებობს, ან მცირერიცხოვანია. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო, (უმუშევრობა, უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები), მოითხოვს სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების, არსის, დანიშნულებისა და როლის ახლებურ ხედვას, ამიტომ სიღარიბის საკითხის კვლევა სოციალური დახმარების პროგრამების გათვალისწინებით მეტად აქტუალურია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობაში არსებული სიღარიბის დაძლევაში სოციალური დახმარების პროგრამების როლის გამოკვლევა-შესწავლა, ასევე სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.

**კვლევის ამოცანები:** კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანები და ჰიპოთეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1.სიღარიბის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი; 2. სოციალური დახმარების პროგრამების კვლევის თეორიული ასპექტების შესწავლა. 3. სოციალური დახმარების პროგრამების როლის შეფასება სიღარიბის შემცირებასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონტექსტში.

**კვლევის ობიექტი და საგანი:** კვლევის ობიექტი საქართველოს მოსახლეობის სიღარიბეა, ხოლო კვლევის საგანი კონკრეტულად სახელმწიფო პროგრამებია, რომლებიც მიმართულია სიღარიბის დასაძლევად.

**მეთოდოლოგია/მიდგომა:** ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების გამოკვლევები, ნაშრომში გამოყენებულია ქართული თუ უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და კვლევები, კვლევაში გამოყენებული მასალა ეფუძნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი და სტატისტიკური მეთოდები. მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შედარებას, შეფასებასა და ანალიზს.

**კვლევის შედეგები:** სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის ცვლადების შესაბამისი მონაცემების სტატისტიკის ანალიზიდან ჩანს, რომ ეკონომიკურ ზრდას საქართველოში, სიღარიბის ფართომასშტაბიანი შემცირება არ მოჰყოლია. კერძოდ, 2019-2024 წწ მდგომარეობით ფარდობითი სიღარიბის 0,3 %-იანი ცვლილება აღინიშნა, ხოლო აბსოლუტური სიღარიბის პარამეტრის მიხედვით, 2019 წელს ყოველი მე-5, ხოლო 2024 წელს ყოველი მე-8 ადამიანი აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო. საარსებო მინიმუმის მაჩვენებლითაც, მსგავს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უკანასკნელია.

სიღარიბის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზები არსებობს, თუმცა მთავარ პრობლემად უმუშევრობა განიხილება, რომელმაც მწვავედ იჩინა თავი COVID19-ისა და რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში, მართალია პოსტკოვიდურ პერიოდში გაზრდილია ემიგრანტთა რიცხვი და ფულადი გზავნილები, ასევე ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობაც (23.8 %-იანი ზრდა). რაც საკმაოდ პოზიტიური ტენდენციაა, თუმცა ხშირია მდგომარეობის გართულების რისკიც.

ნაშრომში გამოკვლეულია სიღარიბის დონე საქართველოში, ასევე მისი პრევენციის ღონისძიებები, მთავარი აქცენტი გადატანილია სოციალური დახმარების პროგრამებზე (როგორიცაა: სოციალური უზრუნველყოფა, ფულადი ტრანსფერები, უმუშევრობის დახმარების პროგრამები, პენსიისა და ინვალიდობის შემწეობა და ა.შ.), მის განვითარებასა და რეალიზაციაზე.

დასკვნები და წინადადებები-სოციალური დაცვის ამჟამინდელი სისტემა არ შეესაბამება რეალობას, ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის სიღარიბის შემცირებას, ამიტომ ის ჯერ კიდევ რჩება ამოცანად. არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ააგოს სოციალური სახელმწიფოს მოდელი, რომელშიც დაცული იქნება რეალური მექანიზმები პირების ობიექტურად იდენტიფიცირებისთვის, თუმცა, ამ სფეროში მზა რეცეპტები არ არსებობს, ვერასდროს იქნება იდეალური.

ამასთან ერთად სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომ ღარიბი მოსახლეობა მუდმივად არ იყოს დახმარებების პროგრამების იმედად და თავად შეძლოს ღირსეული დასაქმება, იპოვონ თავიანთი ადგილი შრომის ბაზარზე.

**საკვანძო სიტყვები:** სიღარიბე, სოციალური დაცვა, სოციალური დახმარების პროგრამები, სოციალური სახელმწიფოს მოდელი.

# სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების დაფინანსების მექანიზმების ეფექტიანობა სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონტექსტში

**გიორგი აბუსელიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**ალეკო მელაძე**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საინოვაციო პოტენციალის გაძლიერების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს დაფინანსების მექანიზმების ეფექტიანობა და მათი შესაბამისობა ქვეყნის ეკონომიკურ რეალიებთან. კვლევის მიზანია გაანალიზდეს სტარტაპების დაფინანსების არსებული წყაროები საქართველოში, მათ შორის სახელმწიფო პროგრამები, კერძო ინვესტიციები და საერთაშორისო გრანტები, ასევე შეფასდეს მათი ეფექტიანობა სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონტექსტში.

მეთოდოლოგიურად კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს, მათ შორის არსებული სტატისტიკური მონაცემების შედარებას, ექსპერტულ შეფასებებსა და პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვას. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს ან პირიქით, ზღუდავს სახელმწიფო რეგულირება სტარტაპების ფინანსურ მდგრადობას და როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს მხარდაჭერის მექანიზმები ინოვაციური გარემოს გასაძლიერებლად.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში მოქმედი დაფინანსების მექანიზმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტარტაპ ეკოსისტემის ფორმირებაში, თუმცა მათი ეფექტიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია არასაკმარისი კაპიტალის ხელმისაწვდომობის, ინვესტორების დაბალი ჩართულობისა და მარეგულირებელი ბარიერების გამო. კვლევა ასახავს რეკომენდაციებს, რომლებიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების დივერსიფიკაციას, სახელმწიფო - ბიზნეს სექტორი - უმაღლესი სასწავლებლების პარტნიორობის გაძლიერებას და რეგულაციების უფრო მოქნილ მოდელს.

ეს შედეგები შეიძლება მნიშვნელოვანი საფუძველი გახდეს როგორც საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შემდგომი დაგეგმვისთვის, ისე ადგილობრივი ინოვაციური გარემოს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

**საკვანძო სიტყვები:** სტარტაპ ეკოსისტემა, ინოვაციური პოლიტიკა, სახელმწიფო რეგულირება, დაფინანსების მექანიზმები, ფინანსური ეფექტიანობა, საქართველო

# თანამედროვე საპენსიო სისტემების განვითარების ტენდენციები: საქართველოს გამოცდილება

**გიული გიგუაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი
პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

**დავით ბიძინაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი
პროფესორი სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებული ფინანსური, დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევების, მოსახლეობის დაბერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, მიგრაციული პროცესების გააქტიურების ფონზე, სულ უფრო აქტუალური ხდება საპენსიო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. მრავალი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია. მათი მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საპენსიო აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება. განვითარებულ ეკონომიკებში საპენსიო აქტივები მშპ-სთან მიმართებაში თითქმის გაორმაგდა და საშუალოდ 55%-ს მიაღწია. ევროპასა და აშშ-ში დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობს მოსახლეობის დაახლოებით 80%, აზიის ქვეყნებში - 40%, ხოლო აფრიკის ქვეყნებში - მოსახლეობის მხოლოდ 5%. საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 0.62%-ს. 56 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი აქტივებით, საპენსიო ფონდები ასევე წარმოადგენენ უმსხვილეს ინვესტორებს გლობალურ კაპიტალის ბაზრებზე. 2023 წლის ბოლოს, ისინი ფლობდნენ გლობალური საჯარო აქციების ბაზრის კაპიტალიზაციის თითქმის მეხუთედს.

განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემები, ძირითადად, ეყრდნობა ე.წ. მრავალსვეტიან სისტემას (Multipillar System), რომელშიც საპენსიო სქემები ერთმანეთისგან განსხვავდება სისტემაში მონაწილე პირთა ოდენობის, დაფინანსების პრინციპისა და დაცულობის დონით. მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი პრინციპები და გზამკვლევები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყნებში გატარებულ საპენსიო რეფორმებს.

საქართველოში საპენსიო რეფორმის განხორციელების პროცესში, ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო გამოცდილების შესწავლასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე. ამდენად,

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საპენსიო სისტემების განვითარების ტენდენციების და საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესის გაანალიზებას.

ნაშრომში, საერთაშორისო ორგანიზაციების (OECD, World Bank) ანგარიშების; საპენსიო სააგენტოს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების; საპენსიო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის; პოლიტიკის დოკუმენტების, ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო შრომების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს საპენსიო სისტემის არსებული მდგომარეობა, საპენსიო აქტივების მართვის სამართლებრივი საკითხები, წარმოდგენილია რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის და ქვეყანაში დასაქმებულთა სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტის დანერგვის მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** საპენსიო სისტემა, საპენსიო აქტივების მართვა, საქართველო.

# ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲖᲔ

**ვერა ძველაია**
ეკონომიკის დოქტორი
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი
განათლების ცენტრი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში ძალიან დიდი როლი აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლის შედეგიც არის ხელოვნური ინტელექტი ( AI). ინდუსტრიული რევოლუციის დროს ავტომატიზაციამ ფიზიკური შრომა ჩაანაცვლა, დღეს კი ხელოვნური ინტელექტი ცდილობს, ჩაანაცვლოს განათლება, გონებრივი შრომა და საფრთხეს უქმნის შემოქმედებით აზროვნებასაც კი. ამიტომ ზოგი პროფესია გაქრობის რისკის წინაშე დგას, თუმცა, მეორე მხრივ, დასაქმების ახალი პერსპექტივები და ახალი პროფესიები იქმნება.

ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებულია მომსახურების სექტორზე, აღნიშნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ავსტრიელი ეკონომისტი და მეცნიერი ჟოზეფ შუმპეტერი წერს თავის ნაშრომში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ხშირად ანაცვლებს ძველს, მაგრამ, ასევე, ქმნის პროდუქციის ახალ სახეობებს და ახალ შესაძლებლობებს. მსგავსი ტენდენცია არის დღევანდელ მსოფლიოშიც: ავტომატიზაცია ხელს უწყობს ბევრი ძველი და სტანდარტული პროფესიების გაქრობას, მაგრამ ამავე დროს იზრდება მოთხოვნა ახალ პროფესიებსა და უნარებზე, მაგალითად, ისეთ უნარებზე, როგორიცაა: ანალიტიკური აზროვნება, ტექნოლოგიების ცოდნა და საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომა.

კვლევები აჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში სამუშაო ადგილების 25-30 % დგას ხელოვნური ინტელექტის მიერ ჩანაცვლების რისკის წინაშე. მაგალითად, საბანკო სექტორში. მართალია, საქართველოში ხელოვნური ინტელექტის გავლენა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, თუმცა ბევრი კომპანია მას უკვე აქტიურად იყენებს, მათ შორის, ქართული საბანკო სისტემა, რომელიც ინოვაციების კუთხით ერთ-ერთი პირველია საქართველოში. აღსანიშნავია თვითმომსახურების ტერმინალები, ასევე ჩატბოტები, რომლებიც ემსახურებიან მომხმარებლებს, ამ ყველაფრის დადებითი შედეგი არის ის, რომ შესაძლებელია, მომხმარებელმა დაზოგოს დრო, რასაც წლების წინ რიგში დგომის დროს კარგავდა, და გამოთავისუფლებული დრო მისთვის საინტერესო და შემოქმედებით საქმიანობას დაუთმოს. მაგრამ ამავე დროს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ამცირებს ოპერატორების და სატელეფონო მომსახურების თანამშრომლების რაოდენობას. აქვე, ადამიანთა სასარგებლოდ, დავამატებთ იმასაც, რომ ყველა სფეროში ჯერჯერობით ხელოვნური ინტელექტი ვერ ახერხებს, აჯობოს ადამიანს და ყველა შეკითხვაზე მორგებული პასუხი გასცეს მომხმარებელს, რის გამოც ისევ არსებობს ადამიანის საჭიროება ამა თუ იმ პოზიციაზე.

სს „საქართველოს ბანკი", როგორც მოწინავე და ინოვატორი ბანკი საქართველოში, ათ წელზე მეტია, იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, მისი საშუალებით ნერგავს ინოვაციებს, ატარებს გარკვეულ ექპერიმენტებსაც, ზოგავს, როგორც თავისი, ისე მომხმარებლის დროს. ბანკი ასევე ბიზნესის წარ-

მომადგენელთათვის პერიოდულად ატარებს სხვა და სხვა შეხვედრას, ვორქშოპებს ხელოვნური ინტელექტის სწორი გამოყენების მიზნით.

ამრიგად, როგორც რეალობა გვიჩვენებს, მოკლევადიან პერსპექტივაში არსებობს სხვა და სხვა სამუშაო ადგილების შემცირების საშიშროება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ისახება ახალი პროფესიები, რაც ხელს შეუწყობს ჭკვიანი და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანების უნარების დახვეწას და მათ რეალიზებას კონკურენტულ შრომის ბაზარზე, სადაც კონკურენციაში არა მხოლოდ ადამიანები არიან, არამედ - ხელოვნური ინტელექტიც. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ვინაიდან გვერდს ვერ ავუვლით XXI საუკუნის გამოწვევებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, მოვერგოთ და ჩვენს სასარგებლოდ ვაქციოთ ისინი, კერძოდ, მოხდეს საგანმანათლებლო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარების გამომუშავება, მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო პროგრამების გაფართოება პროფესიული გადამზადების კუთხით, რათა ადამიანი მზად შეხვდეს იმ გამოწვევებს, რასად დღევანდელი მსოფლიო გვთავაზობს, ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უნდა მოხდეს სამართლებრივ და ეთიკურ ჩარჩოებში, რათა მან სარგებელი მოუტანოს მიკრო დონეზე, დასაქმებულს და ბიზნესს, ხოლო მაკრო დონეზე - ქვეყნის ეკონომიკას.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინეტელექტი, საბანკო სექტორი, ინოვაციები, პროფესია, ტექნოლოგიები, შემოქმედებითი ადამიანი.

# ტრანსფორმაციული პროცესების თავისებურებები სასურსათო მეურნეობაში

**რეზო მანველიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**ლეილა ცეცხლაძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

სოფლის მეურნეობა მსოფლიო ეკონომიკის ტრადიციული, უძველესი და სწრაფად განვითარებადი დარგია. დარგებისა და სფეროების ურთიერთობები წარმართავს აგრარულ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციფიკურია და წარმოების პროცესზე ბუნებრივი ფაქტორების ძლიერი ზემოქმედებითაა განპირობებული. დარგობრივ სტრუქტურაზე და ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე მცირემიწიანობა, მცირე კონტურიანობა, განფენილობა, გეოგრაფიული და სხვა საბაზისო მახასიათებლები.

სწორედ ამგვარი სპეციფიკურობა, სურსათზე მზარდი მოთხოვნილება, ქვეყნების უსაფრთხოების გარანტიების შექმნის აუცილებლობა, ასევე მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკის გაუმჯობესების ვალდებულებები განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს აგრობიზნესს, მიმდინარე სტრუქტურულ, ინსტიტუციონალურ და ორგანიზაციულ ცვლილებებს, რომლებიც აისახება ტრანსფორმაციულ პროცესებში და ძირითად ტენდენციებში.

ტრანფორმაციული პროცესების დაჩქარებულ ტემპს, მრავალსაფეხურიანობას და მრავალფეროვნებას განაპირობებს იმ მიზეზების, გამოწვევების ნაკლები დანახარჯებით აღმოფხვრა რომლებიც მნიშვნელოვნად დარგში არსებული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას.

ჩვენის აზრით, ასეთ ფაქტორთა ჩამონათვალი მრავალია და ისინი შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგ მიმართულებებში:

1) ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე. სწორედ დაბალი მოსავლიანობა, პროდუქციის (ნედლეული) წარმოების პირველად და გადამუშავების ეტაპზე მაღალი ტექნოლოგიური მიდგომების გამოუყენებლობა, სამოყვარულო, ინტენსიურ და ტრადიციულ დარგებში სელექციური მიღწევების გამოყენების დაბალი დონე (შესაძლებლობები), ნიადაგის დაცვის თანამედროვე სისტემების გამოყენება.

2) სასოფლო–სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების მცირე მოცულობა. მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირემიწიანობა, ერთგვაროვანი პროდუქციის (ნედლეულის) წარმოებისა და რეალიზაციის არასტაბილურობა (სიმცირე), ინფრასტრუქტურის სიმწირე და სხვა.

3) კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირე და მუშახელის მიგრაცია. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველი ორი ათწლეული იყო აგრარულ სექტორში ჩამოყალიბებული სტრუქტურების აქტიური დაშლის, დანაწევრების, შესაბამისად დარგის პოპულარიზაციის უკიდურესად შემცირების

პერიოდი. პროფესიულ საქმიანობას ჩამოცილდა ასეულობით სპეციალისტი, პოტენციური ფერმერი, მათ შემოსავლის სხვა სფეროებში გამოძებნა არჩიეს.

4) საკუთარი ბაზრის დაუცველობა, იმპორტზე ორიენტაცია, საერთაშორისო პროგრამებზე არასწორი მიდგომები, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და ამოქმედების დაგვიანება, იმპორტზე ორიენტირებულობა, რეფორმების I და II ეტაპზე საექსპორტო პოტენციალის უკიდურესი შემცირება.

5) სოფლის სტატუსი და აგრობიზნესის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტორების ირგვლივ უნდა წარიმართოს პოტენციალის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები და მისი ეფექტიანობა გარკვეულ ეტაპზე უნდა შეფასდეს ისეთი ძირითადი კრიტერიუმებით, როგორიცაა ადგილობრივი წარმოების ზრდის ტემპი, დასაქმებისა და ანაზღაურების დონე, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან მოხმარებაში და ფასების შესაბამისობა საბაზრო სეგმენტთან. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობა, ხარისხი, სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი, ინფრასტრუქტურა, მოხმარების სეზონური გამოთანაბრება და სხვა.

აგრარული ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ჩვენეული ხედვები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ქვეყნის მოსახლეობის 40%–ზე მეტი ცხოვრობს სოფლად, დარგში იწარმოება მშპ–ის 8%–მდე, დასაქმება შეადგენს 20%–მდე. ამასთან მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის როლი ინტელექტუალური პოტენციალის ჩამოყალიბებაში, ტრადიციული, ისტორიული ღირებულებების შენარჩუნება–განვითარებაში, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის მცდელობაში, ტურიზმის განვითარებაში, დემოგრაფიულ ურთიერთობებში.

გააქტიურდა ერთიანი აგროპროდუქტის მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება და ის 2015 წლიდან თითქმის 20–ჯერ გაიზარდა და მილიარდ ლარს გადააჭარბა. სწორედ ძირითადად აღნიშნულის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება 2012 წელთან შედარებით თითქმის 1–ჯერ, ხოლო ექსპორტი 0,6–ჯერ გაიზარდა.

ზოგიერთი მონაცემით ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით აგრარული სექტორის ეფექტიანობა 3,2–ჯერ ნაკლებია, აქ დასაქმებულია მოსახლეობის თითქმის 18%, ქმნის მთლიან სიმდიდრეს 8 პროცენტამდე. ასევე დაბალია საშუალო თვიური შემოსავლის დონე, არასტაბილურია სასურსათო პროდუქტები, განსაკუთრებით საკუთარი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონე.

აგროსექტორში მიმდინარე დივერსიფიკაციის ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა ასევე, მომხმარებლის სურსათზე თანაბარი წვდომის მიღწევის შესაძლებლობა. აქ პირველ რიგში მოვიაზრებთ უსაფრთხო წარმოებას, მდგრად, გამოთანაბრებულ მიწოდებას, ფასების სტაბილურობას. ამ პროცესების რეგულირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სურსათის საერთაშორისო ბაზრის ფორმირებაზე, ძირითად მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან არსებულ სიტუაციაზე. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა რუსეთ–უკრაინის დაპირისპირება და კოვიდ 19–ის დროს შექმნილის სიტუაცია, როცა სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაწესდა ახალი ქვოტები, გაიზარდა ფასები, ამოქმედდა სხვადასხვა სავაჭრო და საბაჟო შეზღუდვები.

ჩვენის აზრით საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი ვითარებით გამოწვეული პრობლემების შემსუბუქებას ისახავს მიზნად არაერთი სახელმწიფო პროგრამა. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თანადაფინანსების ან თანაგადახდის პრინციპით გაზარდოს ფერმერის სტიმუ-

ღირება და შესაძლებლობები მის ხელთ არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის, მოთხოვნა–მიწოდების დაახლოებისათვის, ინოვაციების მასშტაბური გამოყენების დაჩქარების, დარგის გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული ღონისძიების მთავარი ამოცანაა დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობა , ქართული პროდუქციის ნდობის გაზრდა, საექსპორტო პროდუქციის ხვედრითი წილის გაზრდა. ასევე, ჩვენის აზრით ძირითად გამოწვევას წარმოადგენს სურსათის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, სექტორის მართვაში სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების გაფართოება, ფერმერების, ზოგადად კომერციული სტრუქტურების წახალისების ეფექტური მექანიზმების შემუშავება, ლოგისტიკური დიფერენცირებული სისტემების შექმნა, სოფლად ყველა საჭირო პროფესიონალი კადრის დასაქმებისა და სტიმულირების ორგანიზაცია.

სამწუხაროდ ევროკავშირთან ასოცირების შემდეგ (რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა, ისე, როგორც სურვილი ევროკავშირში გაწევრიანების) გვესმის, ან ვკითხულობთ შეგონებას „გავხადოთ ქართული სოფლის მეურნეობა ევროპული“. ვფიქრობთ ქართული სოფელი თავისი სპეციფიკურობით, ფლორით, ფაუნით, გეოგრაფიით, ისტორიით, კულტურით, დემოგრაფიით, დარგობრივი სტრუქტურით, თუნდაც მეურნეობრივი ტრადიციებით ვერ დაემსგავსება ევროპულს. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს საექსპორტო შესაძლებლობები თავისი განუმეორებლობითა და უნიკალურობით. სწორედ საექსპორტო, გლობალური სივრცისთვისაა საინტერესო ქვევრი და ქვევრის ღვინო, ქართული ფუტკარი და თაფლი, ციტრუსი, ჩაი, ქართული თხილი, გუდის ყველი, თონის პური, საწებელი, აჯიკა, ველური ხილი და სხვა პროდუქტები, რომლებიც თავიანთი ნატურალურობით წარმატებით გამოიყენება ბავშვთა და დიეტურ კვებაში, ფარმაცევტულ მრეწველობაში. ისინი კვლავ მოთხოვნადი რჩებიან იგივე ევროპულ ბაზრებზე, რასაც კიდევ უფრო გაზრდის ქართული წარმოება დაფუძნებული ევროკავშირის სტანდარტებზე.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული ბაზრი, ბაზრის დივერსიფიკაცია, სასურსათო უსაფრთხოება, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები

# FROM VISION TO IMPACT: VIDZEME UNIVERSITY OF APPLIED SCIENCES' TRANSFORMATION TOWARDS AN ENTREPRENEURIAL UNIVERSITY

**Agita Smitina**
Assistant Professor, Head of Business Study field
Vidzeme University of Applied Sciences
Valmiera, Latvia

**Abstract**

Traditionally, an entrepreneurial university is viewed as a transformative institution that serves as a hub for innovation and societal impact. It integrates entrepreneurship into its vision and extends beyond the conventional roles of teaching and research by embedding economic and social development into its core mission. An entrepreneurial university acts as a driver of economic growth and innovation through entrepreneurial education, research commercialization, start-up incubation, and industry collaboration.

In collaboration with 12 partner institutions, Vidzeme University of Applied Sciences (ViA) explored the perspectives of the university community regarding entrepreneurial and innovation-related activities, attitudes, challenges, and intentions toward adopting an entrepreneurial university mindset.

The study also aimed to identify key challenges and motivational factors that influence the development of an entrepreneurial university mindset at each institution. A survey at ViA was conducted among various university stakeholders, including students (62%), researchers and academic staff (20%), professional and administrative staff (14%), and university leadership (4%).

Results show that ViA entrepreneurial and innovative transformation can be clustered under three main categories of the focus for the university – 1) mission-oriented education and research (innovative lecture, labs, placement opportunities, an openness for transformation, increasing number of participation in entrepreneurial activities) , 2) consistent institutional support (appreciation from university leaders of staff entrepreneurial activities, top priority of innovative transformation ideas, quality and knowledge of staff), and 3) active participation in ecosystem (business incentives with more involved academics, university awareness and connection with regional entrepreneurial challenges, one-stop agency for different entrepreneurial activities and information).

The main findings indicate that although most students have engaged in challenge-based learning or participated in entrepreneurship-related courses, relatively few have initiated start-ups or entrepreneurial ventures. The most reported barrier to starting a business was fear of failure. Nevertheless, more than half of the student respondents expressed an intention to start a business within the next three years. The majority of students did not appear interested in receiving additional information about entrepreneurship study opportunities or in being contacted by staff for support with their start-up ideas or new business ventures.

Academic and professional respondents identified four primary challenges that hinder their engagement in entrepreneurial and innovative activities: high workload, lack of incentives and rewards, insufficient administrative support, and limited financial resources.

**Keywords:** entrepreneurial university, innovative transformation, mission-oriented education

# EDUCATING FUTURE BUSINESS LEADERS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT: LESSONS FROM A POLISH-GERMAN-CZECH SUMMER SCHOOL

**Jarosław Tomaszewski**
Academic Lecturer
WSB Merito University in Wrocław
Wroclaw, Poland

This paper presents the key findings and methodology of the “Farsighted: EU Climate Challenges on the Example of the Ecological Disaster in the Jizera Mountains, a German-Polish-Czech Perspective – Summer School” project. The project aimed to raise students' awareness of climate challenges and sustainable development by analyzing a historical ecological disaster and current EU climate strategies. The summer school, a collaboration between universities from Poland, Germany, and the Czech Republic, demonstrated that an interdisciplinary, experience-based education is crucial for fostering pro-environmental attitudes and developing the managerial competencies of future entrepreneurs.

The Role of Education for Sustainable Development

By analyzing the historical consequences of environmental degradation in the "Black Triangle" and contemporary EU strategies (e.g., the "Europe 2050" package), students were able to develop concrete, innovative solutions, such as the "Greens For Teens" and "Green Trees Celebrating Holidays" projects. This experience proves that international education in this field, which considers historical and economic contexts, is essential for preparing a new generation of leaders ready to implement the principles of just transition and build a low-carbon economy.

Conclusions and Potential Impact

The "Farsighted" project shows that practical, inclusive teaching methods (workshops, debates, study visits) not only increase environmental awareness but also develop key soft skills and business competencies. The project's results, confirmed by positive evaluation surveys, indicate the high effectiveness of this educational format in promoting sustainable development. The initiative can serve as a model for training future generations of entrepreneurs.

**Key words:** climate challenges, sustainable development, environmental awareness

# დესტრუქციული ინოვაცია-თანამედროვე მენეჯმენტის გამოწვევა

**გიორგი ქათამაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

დესტრუქციული ინოვაცია, როგორც კონცეპტუალურ მიდგომებზე დაფუძნებული თანამედროვე მენეჯმენტში პრაქტიკული მექანიზმი, მკაცრ, ხისტ, ამასთანავე სწრაფ და რისკების ღრმად გაანალიზებულ მიდგომას მოითხოვს. ის ანგრევს სტაგნაციურ და რუტინაზე დაფუძნებულ სისტემას.

თანამედროვე პროგრესული, ღია მართვის პრინციპები, მნიშვნელოვნად ცვლის ორგანიზაციების მართვის სტილს და სტრატეგიულ მიდგომებს. ტექნოლოგიური განვითარება და გლობალიზაცია ზრდის ინოვაციური ცვლილებების ინტენსივობას, რის შედეგადაც ტრადიციული ბიზნეს-მოდელები ხშირად ან ფუნქციურად ვეღარ რეაგირებენ გამოწვევებსა და მოთხოვნებზე, ან მთლიანად ცვლიან თავის არსებობის ფორმას.

დესტრუქციული ინოვაციები არა მხოლოდ ქმნიან ახალ შესაძლებლობებს, არამედ წარმოშობენ სერიოზულ პრობლემებსაც, კერძოდ თანამედროვე ორგანიზაციებს უწევთ სწრაფი ადაპტაცია, რესურსების ეფექტური განაწილება და პროცესების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს ინოვაციური ცვლილებების ინტეგრაციას.

ნაშრომის ძირითადი თეორიული ჩარჩო, ეფუძნება მიდგომებს, რომლებიც ორ ნაწილად ფორმულირდება: კრეატიული დესტრუქცია და დესტრუქციული ინოვაცია.

შუმპეტერის (Schumpeter, 1942) მიხედვით, კრეატიული დესტრუქცია არის პროცესი, სადაც ინოვაციები ანგრევენ ძველ სტრუქტურებს და ქმნიან ახალ პროდუქტებს, პროცესებსა და სერვისებს, რაც აძლიერებს ეკონომიკის განახლებასა და კონკურენტუნარიანობას. დესტრუქციული ინოვაცია (Christensen, 1997) თავდაპირველად ფოკუსირებულია ბაზრის მცირე ან უგულებელყოფილ სეგმენტზე და დროთა განმავლობაში შესაძლოა შეცვალოს არსებული ლიდერები, გარდაქმნას ინდუსტრია და შექმნას ახალი სტანდარტები.

ჩვენი კვლევის მიზანია ინოვაციური პროცესებისა და მენეჯმენტის მიდგომების გააზრება დესტრუქციული ინოვაციის პერსპექტივიდან. ხოლო კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ინოვაციური თუმცა ხისტი მიდგომების კომპლექსური შესწავლით. West და Bogers (2014) ხაზს უსვამენ ღია ინოვაციების მნიშვნელობას თანამედროვე მენეჯმენტში, რაც აძლევს კომპანიებს შესაძლებლობას სწრაფად განახორციელონ დესტრუქციული ცვლილებები.

მენეჯმენტში დესტრუქციული ინოვაცია წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ასევე სტრატეგიულ შესაძლებლობას. ორგანიზაციებს, რომლებიც წარმატებით ახერხებენ დესტრუქციული ინოვაციების ადაპტაციას, ასევე მიისწრაფვიან მდგრადი განვითარებისაკენ.

დესტრუქციული ინოვაცია წარმოადგენს თანამედროვე განათლების სექტორში მნიშვნელოვან ფენომენს, რომელიც ქმნის ახალი შესაძლებლობებს და მენეჯერულ გამოწვევებს ერთდროულად. მასში იგულისხმება არსებული სასწავლო პროცესების, ადმინისტრაციული სტრუქტურების და ტექნოლოგიური მიდგომების რადიკალური შეცვლა ახალი, ინოვაციური გადაწყვეტილებების საშუალებით, რაც წარმოშობს საჭიროებას ორგანიზაციული და სტრატეგიული ადაპტაციისთვის.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციის ოთხ ძირითად ასპექტს:

- ახალი ღირებულებების შეთავაზება;
- ახალი გადაწყვეტილებების საჭიროება;
- ძველი ბიზნეს-მოდელების ჩანაცვლება;
- ტექნოლოგიური ან ბიზნეს პროცესების გარდაქმნა;

დესტრუქციული ინოვაცია წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ასევე სტრატეგიულ შესაძლებლობას საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტის გაუმჯობესება-გაძლიერების მიმართულები. მისი ინტეგრირება ზრდის კონკურენტუნარიანობას, აუმჯობესებს სწავლების ხარისხს, უზრუნველყოფს სტუდენტთა კმაყოფილებას და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

**საკვანძო სიტყვები:** დესტრუქცია, ინოვაცია, მენეჯმენტი

# ქართული კომპანიების სტრატეგიული მენეჯმენტის გამოწვევები ციფრულ ეკონომიკაში


**დავით ქათამაძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**გულიკო ქათამაძე**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**თამილა ქარცივაძე**

დოქტორანტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო



**აბსტრაქტი**

პრობლემის აქტუალობა. თანამედროვე ეკონომიკის გაციფრულების პირობებში ბიზნესის ტრადიციული ფორმით მმართველი ქართული კომპანიები აწყდებიან ახალ, სპეციფიკურ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია ციფრულად მოვაჭრე კომპანიების მხრიდან, საქონლის ონლაინ-გაყიდვების, ონლაინ-გადახდის და სახლში მიტანის სერვისის განვითარების შედეგად, ღირებულებათა ჯაჭვის შესაბამის რგოლებში დანახარჯების შემცირების გამო, ტრადიციული ფორმით გასაყიდი საქონლის ფასთან შედარებით, ონლაინ-გასაყიდი საქონლის გაიაფებითა და, შესაბამისად, ტრადიციული ფორმით გაყიდული საქონლის ფასობრივი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებით. შედეგად მცირდება იმ კომპანიების სავაჭრო ბრუნვის მოცულობა, შესაბამისად, შემოსავლებისა და მოგების ოდენობა, რომლებიც გაყიდვების ფორმად მხოლოდ ტრადიციულ ვაჭრობას ინარჩუნებენ.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია მომხმარებელთა მხრიდან საქონლის ტრადიციულიდან ონლაინ-შესყიდვებზე გადართვის პირობებში ტრადიციულად მოვაჭრე ქართული კომპანიების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვის რგოლების რაციონალიზაციის გზით.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული იქნა დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდები. დაკვირვების მეთოდი გამოყენებულ იქნა ტრადიციულად მოვაჭრე ქართული კომპანიების მენეჯმენტის წინაშე არსებული გამოწვევების გამოსავლენად, ხოლო ანალიზის მეთოდი კი - ამ პრობლემების გადაჭრის და გაყიდვების გაციფრულების გზების დასახვის მიზნით.

კვლევის შედეგები. ჩვენი კვლევის დაინტერესების სფეროდ იქცა ბაზრებსა და ბაზრობებზე ტრადიციულად მოვაჭრე კომპანიების მიერ საქონლის გაყიდვების მოცულობის კლება. ბაზრებსა და ბაზრობებზე ტრადიციულად მოვაჭრე კომპანიების საქმიანობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მათი საქონლის ტრადიციული არხებით გაყიდვების მოცულობა დინამიკაში სულ უფრო კლების ტენდენციით ხასიათდება და ამის მიზეზია საქონლი საზღვარგარეთიდან ონლაინ-გამოწერების მოცულობის ზრდა. საქონლის გაყიდვების ტრადიციული ფორმატიდან ონლაინ-ფორმატში ინტენსიურად გადატანამ შეამცირა ბაზრებსა და ბაზრობებზე საქონლის ტრადიციულ ფორმატში

გაყიდვების მოცულობა. ყოველივე ეს განაპირობა თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებამ.

საქონლის ონლაინ-რეალიზების წინაპირობად იქცა შეკვეთების მიღების, ანგარიშსწორების სისტემის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტ-ტექნოლოგიების გაერთიანება, რაც იწვევს მკვეთრ ცვლილებებს კომპანიების ბიზნესის სტრატეგიულ მენეჯმენტში. ასეთ პირობებში საქონლის გაყიდვების ონლაინ-პლატფორმაზე გადატანა ტრადიციულად მოვაჭრე ქართული კომპანიების შემცირებული ბიზნესის გადარჩენის უმთავრეს წინაპირობად იქცა. ყოველივე ეს ქართული კომპანიებისაგან მოითხოვს ბიზნესის გაციფრულებას.

საქონლის გაყიდვების სისტემის ონლაინ-პლატფორმაზე გადასასვლელად საჭიროა ქართულმა კომპანიებმა შექმნან ელექტრონული ბიზნეს-პლატფორმა, შესაბამისი ელექტრონული ბიზნეს-მოდელებითა და სტრატეგიებით, რომელიც მოიცავს კომპანიის ვებ-გვერდის შექმნას, ელექტრონული მაღაზიით, საქონელ-განთავსებული შესაბამისი ელექტრონული თაროებით, საქონლის გამოწერისა და საფასურის გადახდის შესაბამისი ონლაინ-სისტემით, საქონლის მომხმარებლამდე ზუსტად დროში მიწოდების უზრუნველმყოფი, გამართული სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემით და ა. შ. მაგრამ ტრადიციულად მოვაჭრე კომპანიებში გაყიდვების ონლოაინ-სისტემის დანერგვა საჭიროებს მისი მართვის უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის ფლობას. ამ უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ქართული კომპანიების პერსონალს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგ-კურსები.

ტრადიციულად მოვაჭრე ქართული კომპანიების მიერ პროდუქციის გაყიდვების ორგანიზების გაციფრულება ახალ შესაძლებლობებს შექმნის მათი ბიზნესის სტრატეგიულ მენეჯმენტში. საქონლის ციფრული გაყიდვების ორგანიზება ქართულ კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს კონკურენტუნარიანი გახდნენ გლობალურ დონეზე. მომხმარებელთან ურთიერთობის ახალი ფორმების (ონლაინ მომხმარებელთა მომსახურების ცენტრების, ჩატის ოთახების და სინქრონული ინტერნეტ კომუნიკაციების) გამოყენება მნიშვნელოვნად სრულყოფს ქართული კომპანიების მიერ მომხმარებელთან დამყარებულ კომუნიკაციას.

დასკვნა. ამდენად, ტრადიციულად მოვაჭრე ქართული კომპანიების სტრატეგიული მენეჯმენტის გამოწვევების გადაჭრა დამოკიდებულია მათი მენეჯმენტის მიერ საქონლის გაყიდვების ონლაინ-პლატფორმის შექმნის უნარზე. მათი საქონლის გაყიდვების ონლაინ-ფორმატში გადასატანად არაა საკმარისი მხოლოდ ინტერნეტ-რეკლამის განთავსება ან ციფრული მარკეტინგის განვითარება, არამედ ის მოითხოვს კომპანიის ვებ-გვერდის, ელექტრონული მაღაზიის შექმნას, მის მუდმივ რედიზაინს (სრულყოფას), ციფრული პლატფორმის უწყვეტად, დინამიურად მართვას, ონლაინ-ანგარიშწორების სისტემის, მიწოდების ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის შექმნასა და მუდმივ სრულყოფას, ანუ ციფრული სერვისების მთელი კომპლექსის განვითარებას. ყოველივე ეს კი შექმნის ციფრულ სამყაროში საქართველოს ინტეგრაციის დაჩქარების, ციფრულ ბიზნესში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ქართული პროდუქციის ონლაინ-გაყიდვისა და ღირებულებათა ჯაჭვში დანახარჯების შემცირების წინაპირობებს. ეს ხელს შეუწყობს ციფრული ინფრასტრუქტურის შექმნას. ქართული კომპანიების პროდუქციის რეალიზებაში ციფრული კომპონენტების დანერგვა ხელს შეუწყობს მათი შემოსავლებისა და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ზრდას.

**საკვანძო სიტყვები:** ღირებულებათა ჯაჭვი, ციფრული ბიზნეს-მოდელი, ტრანსფორმაციული ციფრული სტრატეგია, ინტერნეტ-რეკლამა, ელექტრონული კომერციის გაყიდვები, ელექტრონული მაღაზია.

# მაღალი რისკის პირობებში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების ხერხები

**პაატა აროშიძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**მაია თოიძე**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

არსებობს სფეროები, სადაც პროფესიული საქმიანობა მაღალი რისკის შემცველია. ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტისა და Business insider-ის რანჟირების მიხედვით ცხრაასი პროფესიიდან გამოყოფილია ის სპეციალობები, სადაც მაღალია ტრამვის მიღებისა და ფატალური დასასრულის ალბათობა. კვლევის მიზანია განვსაზღვროთ ფაქტორები, რაც განაპირობებს მაღალი რისკის პირობებში დასაქმებულთა მოტივაციას. ფული, როგორც მოტივატორი, ამ შემთხვევაში არ მონაწილეობს. საინტერსოა ის სტიმულები, რაც უბიძგებს დასაქმებულებს გააქრძელონ საქმიანობა მაღალი რისკის პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** რისკები, დასაქმებულთა მოტივაცია, არამატერიალური მოტივაციის წყაროები

# თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ტრადიციული მედიის ბიზნეს მოდელებზე

**გურანდა შამილიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

ასისტენტ-პროფესორი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**ინგა შამილიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, თანამედროვე მას-მედია რევოლუციურ ცვლილებებს განიცდის. ტრადიციული ბეჭდური მედია და ტელევიზია ვეღარ უზრუნველყოფს მონოპოლიას საინფორმაციო ბაზარზე. ინტერნეტი ჟურნალისტებისთვის ახალ შესაძლებლობებს ხსნის და ცვლის მედიის ბიზნეს მოდელებს. წარმოდგენილ კვლევაში განვიხილავთ, თუ როგორ მოქმედებს ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები ჟურნალისტიკის პრაქტიკასა და ბიზნეს მოდელებზე.

ინტერნეტისა და სოციალური მედიის განვითარებით, ინფორმაციის გავრცელება გაცილებით მარტივი და სწრაფი გახდა. ადამიანებს შეუძლიათ რეალურ დროში გააზიარონ სიახლეები, ფოტოები და ვიდეოები, რამაც განაპირობა სამოქალაქო ჟურნალისტიკის გაჩენა. ნებისმიერს შეუძლია მოვლენის მოწმე გახდეს და ონლაინ გამოაქვეყნოს იგი. ინტერნეტი აუდიტორიის წევრებს საშუალებას აძლევს, გახდნენ ახალი ამბების პროცესის ნაწილი. მკითხველებს შეუძლიათ დატოვონ კომენტარები, დასვან კითხვები და შექმნან საკუთარი კონტენტიც კი. ეს ზრდის აუდიტორიის ჩართულობას და ეხმარება მედია საშუალებებს უკეთ დააკმაყოფილონ თავიანთი სამიზნე აუდიტორიის ინტერესები.

ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, მედია საშუალებებს შეუძლიათ შეაგროვონ მეტი მონაცემი თავიანთი აუდიტორიის შესახებ. ეს საშუალებას აძლევს მათ პერსონალიზირება გაუკეთონ კონტენტსა და რეკლამას, რაც მას უფრო მიმზიდველს ხდის მკითხველებისა და რეკლამის განმთავსებლებისთვის. ანალიტიკა ეხმარება ჟურნალისტებსა და რედაქტორებს იმის გაგებაში, თუ რომელი კონტენტია ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი.

ინტერნეტმა ასევე შეცვალა ჟურნალისტიკის ბიზნეს მოდელები. ტრადიციული მედია აწყდება გამოწვევებს, რაც გამოწვეულია რეკლამის დამკვეთთა ონლაინ რეკლამაზე გადასვლით. ამავდროულად, გაჩნდა შემოსავლის ახალი წყაროები, როგორიცაა კონტენტის გამოწერა და სპონსორობა. ბევრი გამოცემა გადადის კომბინირებულ ბიზნეს მოდელებზე. ინტერნეტისა და სოციალური მედიის განვითარებასთან ერთად, წარმოიშვა ყალბი ამბებისა და დეზინფორმაციის პრობლემა. ეს ქმნის ინფორმაციის წყაროების კრიტიკული შეფასებისა და მედიაწიგნიერების ტრენინგის საჭიროებას.

ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები არა მხოლოდ ცვლის ჟურნალისტიკის პრაქტიკას, არამედ ქმნის ახალ შესაძლებლობებსაც. ჟურნალისტები უნდა მოერგონ ამ ცვლილებებს, შეიმუ-

შაონ ახალი უნარები და ბიზნეს მოდელები, რათა დარჩნენ აქტუალურები ციფრული ჟურნალისტიკის ეპოქაში.

ეს არის გამოწვევა, მაგრამ ასევე შესაძლებლობა მომავალში ჟურნალისტიკის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები ჟურნალისტებს ასევე აძლევს შესაძლებლობას, ჩაატარონ მოვლენების უფრო სიღრმისეული კვლევა და ანალიზი. დიდი რაოდენობით მონაცემებსა და ინფორმაციაზე წვდომა საშუალებას იძლევა შეიქმნას ინტერაქტიული ინფოგრაფიკა, მულტიმედიური მასალები და ვირტუალური რეალობაც კი, რაც ამდიდრებს ინფორმაციის შინაარსს და მას უფრო ხელმისაწვდომს ხდის აუდიტორიისთვის.

თუმცა, ამ ახალ შესაძლებლობებს თან ახლავს გამოწვევები. ონლაინ გარემოში კონკურენცია მაღალი რჩება და ჟურნალისტებს სხვადასხვა წყაროებს შორის მკითხველის ყურადღების მისაპყრობად კონკურენცია უწევთ. ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები მედიისათვის ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს ქმნის. ეს ცვლილებები პრაქტიკისა და ბიზნეს მოდელების გადახედვას იწვევს, თუმცა ასევე კარს უხსნის უფრო ფართო აუდიტორიას და აუმჯობესებს საინფორმაციო შინაარსის ხარისხს. ციფრული რევოლუციის ეპოქაში ჟურნალისტიკის მომავალი საინტერესო და დინამიური იქნება.

ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ ასევე შეცვალა ჟურნალისტებსა და მათ აუდიტორიას შორის ურთიერთქმედება. მკითხველები აქტიურად ჩაერთნენ საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში და საკუთარი სიახლეების შექმნაშიც კი. ეს ხაზს უსვამს ჟურნალისტებსა და მკითხველებს შორის უკუკავშირისა და დიალოგის მნიშვნელობას და მოითხოვს, რომ ჟურნალისტები ფლობდნენ ინფორმაციის გაფილტვრისა და გადამოწმების უნარს, რადგან როგორც სანდო სიახლეები, ასევე დეზინფორმაცია ადვილად ვრცელდება ონლაინ რეჟიმში.

ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების აღზევებასთან ერთად, მრავალი ტრადიციული მედია საშუალება, როგორიცაა გაზეთები და ჟურნალები, მომხმარებელთა ჩვევების შეცვლასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგას. ონლაინ პლატფორმები და სოციალური მედია უზარმაზარ ინფორმაციასა და სიახლეებს გვაწვდის, რომლებზეც წვდომა უფასოდაა შესაძლებელი. ეს ამცირებს ტრადიციულ ბეჭდურ მედიაზე მოთხოვნას და აიძულებს მათ შეიმუშაონ ახალი სტრატეგიები მკითხველების შესანარჩუნებლად და რეკლამის განმთავსებლების მოსაზიდად. ასეთი დიალოგი ხელს უწყობს აუდიტორიის ინტერესებთან უკეთ ადაპტაციას და უფრო გამჭვირვალე საინფორმაციო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ნაშრომი იკვლევს ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გავლენას თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაზე. ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური ქსელების სწრაფი განვითარების კონტექსტში, გაანალიზებულია ტრადიციული მედიის წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. ასევე განხილულია აუდიტორიასთან ურთიერთქმედება სოციალური ქსელების საშუალებით და ამ დიალოგის გავლენას საინფორმაციო პრაქტიკაზე. კვლევაში წარმოდგენილია ინტერნეტის მიერ ჟურნალისტიკაში შემოტანილი ძირითადი ცვლილებების მიმოხილვა და ის ასპექტები, რომლითაც ინდუსტრია ადაპტირდება საინფორმაციო სივრცის ახალ რეალობასთან.

**საკვანძო სიტყვები:** მასმედია, ინტერნეტსივრცე, ჟურნალისტიკა, ციფრული ტექნოლოგიები, ბიზნეს მოდელები, სოციალური ქსელები, აუდიტორია, ადაპტაცია

# ბიზნესის ეკოლოგიური ტრანსფორმაციის სტრატეგიული ასპექტები კონკურენტუნარიანობის პერსპექტივაში

**ლევან კიკილაშვილი**
დოქტორანტი
ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

გლობალური ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად იქცა გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ბიზნესის განვითარების სტრატეგიებში. კლიმატის ცვლილების, არაეფექტიანი ენერგომოხმარების და ბუნებრივი რესურსების შემცირების პირობებში, ეკოლოგიური ტრანსფორმაცია აღარ წარმოადგენს მხოლოდ გარემოსდაცვით ვალდებულებას, არამედ იქცა ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელად. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) დომინანტურ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებაში.

ნაშრომის მთავარი ჰიპოთეზაა, რომ საქართველოში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შექმნისა და მათი ბაზარზე წარმატებული პოზიციონირების გზით. ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა თვისებითი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნებოდა სიღრმისეულ ინტერვიუებს მეწარმეებთან, პოლიტიკის შემვებლებთან და დარგის ექსპერტებთან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მწვანე ინიციატივების ინტეგრირება ბიზნესში ერთდროულად ქმნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სარგებელს. კომპანიები, რომლებმაც დანერგეს ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიები, შეძლეს საოპერაციო ხარჯების შემცირება და რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება, ხოლო ეკო-სერტიფიცირებულმა საწარმოებმა მოიპოვეს გლობალურ ბაზრებზე მონაწილეობის შესაძლებლობა და გააფართოვეს საექსპორტო პორტფელი.

თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია პორტერის „დაიმონდის მოდელი“, რომლის ოთხი კომპონენტი — ფაქტორული პირობები, მოთხოვნის პირობები, სტრატეგია და კონკურენცია, ასევე დაკავშირებულია დამხმარე ინდუსტრიებთან — მწვანე ეკონომიკის პირობებში ახლებურად განიხილება. საქართველოს შემთხვევაში, ფაქტორული პირობები გულისხმობს განახლებადი ენერგიის პოტენციალის ათვისებას; მოთხოვნის პირობები — მომხმარებელთა მზარდ ინტერესს ეკო-მეგობრული პროდუქციისადმი; სტრატეგია და კონკურენცია — ინოვაციურ მიდგომებს ბაზარზე შესასვლელად; ხოლო დამხმარე ინდუსტრიების განვითარება ეფუძნება კლასტერულ თანამშრომლობასა და ცოდნის გავრცელებას.

სტრატეგიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკოლოგიური ტრანსფორმაცია ვერ მიაღწევს სრულ შედეგს მხოლოდ ცალკეული ინიციატივების დონეზე. ის მოითხოვს ინტეგრირებულ, სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს:

ფინანსური მექანიზმების გაძლიერებას — იაფი კრედიტებისა და საგრანტო პროგრამების ხელმისაწვდომობის გზით;

ინოვაციების ხელშეწყობას — კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულებით ინვესტიციების ზრდით;

რეგულაციური ჩარჩოს დახვეწას — ESG სტანდარტებთან თანხვედრაში;

მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებას — საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით;

კლასტერებისა და პარტნიორული ქსელების შექმნას — რაც ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას და მასშტაბურ ეფექტს.

მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ეკოლოგიური ტრანსფორმაცია წარმოადგენს არა მხოლოდ მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას, არამედ საქართველოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული რესურსიცაა. შესაბამისად, სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და აკადემიური წრეების ერთობლივი ძალისხმევა გადამწყვეტია, რათა მწვანე ტრანსფორმაციის პროცესი გადაიქცეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ინოვაციური განვითარებისა და გლობალურ ეკონომიკაში ეფექტიანი ინტეგრაციის საფუძვლად.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგიური ტრანსფორმაცია, კონკურენტუნარიანობა, სტრატეგიული ასპექტები, SMEs, მწვანე ბიზნესი, მდგრადი განვითარება

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეკოლოგიური ასპექტები და მათი გამოწვევები მდგრად ბიზნესში

**ლია ბერიძე-ზანაქიძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი
მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეკოლოგიური მიმართულებების მნიშვნელობა და როლი მდგრად ბიზნესში, თანამედროვე პირობებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ განიხილება როგორც ბიზნესისათვის დამატებით საქმიანობის სფერო, არამედ ხშირად წარმოადგენს კომპანიის გრძელვადიან წარმატებასა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა განვითარების კუთხით არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალურ და ეთიკურ მიმართულებით, რადგან ეკოლოგიური პასუხისმგებლობა მოიცავს კომპანიების ვალდებულებას გამოიჩინონ პასუხისმგებლობა გარემოს და კლიმატურ ცვლილებების მიმართ, რაც გულისხმობს რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური დაბინძურების შემცირებას და ბუნებრივი გარემოს დაცვას.

თანამედროვე მსოფლიოში გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გლობალურ გამოწვევად იქცა, გამომდინარე აქედან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიაზრება როგორც სოციალურ ისე ეკოლოგიური მიზნების მიღწევის საშუალებად, აღნიშნულ კონტექსტში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანიის მიერ მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება წარმოადგენს აუცილებელ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას გარემოსდაცვითი მიმართულებით.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე კომპანიების ეკოლოგიური პოლიტიკა და ეკოლოგიური მიმართულებების გამოწვევები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეკოლოგიური მიმართულების ეფექტიანი განხორციელება თანამედროვე ბიზნესში კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით თანამშრომელთა ჩართულობის ნაკლებობის გამო ეკოლოგიური ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის თანახმად, მიუხედავად იმისა რომ ბიზნეს აქვს მზარდი მოტივაცია ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მიმართ, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან გამჭვირვალე კომუნიკაცია, სტრატეგიული დაგეგმვა და ეკო-ინოვაციების მხარდაჭერა, რადგან აღნიშნული მნიშვნელოვან როლს ასრულებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიებში, რაც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი მდგრადობის გაზრდას და კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეკოლოგიური ასპექტების რეალიზება ხშირად დაკავშირებულია ფინანსურ და ტექნოლოგიურ სირთულეებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს გააზრებული აქვს ეკოლოგიურ პასუხისმგებლობის სტრატეგიული

მნიშვნელობა, აღნიშნული მიმართულებით პროგრესის მისაღწევად აუცილებელია კომპლექსური და ინტეგრირებული მიდგომა.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; ეკოლოგიური პასუხისმგებ-ლობა; მდგრადი განვითარება; ეკო-ინოვაციები, თანამშრომელთა ჩართულობა.

# სტრესის მართვა სამუშაო ადგილზე: პრაქტიკული მეთოდები და ინსტრუმენტები

**თეონა გოგიაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

**მიზანი:** კვლევის ძირითადი მიზანია სამუშაო ადგილზე სტრესის მართვის ეფექტური სტრატეგიების იდენტიფიცირება და პრაქტიკული ინსტრუმენტების შეფასება. კვლევა ფოკუსირებულია სამუშაო სტრესის ძირითადი წყაროების ანალიზზე, არსებული მართვის მეთოდების ეფექტურობის შესწავლაზე და ინოვაციური მიდგომების შემუშავებაზე. სპეციფიკური მიზნები მოიცავს: ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ სტრეს-ფაქტორებს იდენტიფიცირებას, სხვადასხვა პროფესიული ჯგუფისთვის მორგებული სტრესის მართვის ტექნიკების შედარებას, ხანგრძლივვადიანი ზეგავლენის შეფასებას პროდუქტიულობაზე და თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე, ასევე ხელმძღვანელებისთვის და HR სპეციალისტებისთვის პრაქტიკული გზამკვლევის შემუშავებას ორგანიზაციული სტრესის შესამცირებლად.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევაში გამოყენებულია კომპლექსური მიდგომა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს. რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს 250 რესპონდენტზე ჩატარებულ ონლაინ კვლევას 12 სხვადასხვა დარგის ორგანიზაციაში, სადაც გამოყენებულია ვალიდირებული ინსტრუმენტები: პერცეპტიული სტრესის შკალა (PSS), მასლაჩის გადაწვის ინვენტარი (MBI) და სამუშაო მოთხოვნა-კონტროლის კითხვარი (JDC). ექსპერიმენტული ნაწილი შეიცავს კონტროლირებულ ინტერვენციას 120 მონაწილესთან, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ოთხ ჯგუფად: მინდფულნეს ტექნიკები, კოგნიტური-ბიჰევიორული თერაპია, ფიზიკური აქტივობის პროგრამა და კონტროლი ჯგუფი. თვისობრივი მეთოდები მოიცავს 35 ჩაღრმავებულ ინტერვიუს სხვადასხვა დონის მენეჯერებთან და 12 ფოკუს ჯგუფს თანამშრომლებთან. დამატებით, განხორციელდა 8 თვიანი ლონგიტუდური კვლევა მიღებული მეთოდების ხანგრძლივვადიანი ეფექტურობის შესაფასებლად.

**ჰიპოთეზა:** კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მულტიკომპონენტური, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სტრესის მართვის ინტერვენციები მნიშვნელოვნად უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთი მეთოდის გამოყენება. კონკრეტულად, მოველით რომ: კომბინირებული მიდგომა (მინდფულნეს + კოგნიტური ტექნიკები + ორგანიზაციული ცვლილებები) 40-50%-ით შეამცირებს სუბიექტურ სტრესს; ფიზიოლოგიური მაჩვენებლები (კორტიზოლის დონე, არტერიული წნევა) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ინტერვენციის შემდეგ; სამუშაო ეფექტურობა 25-35%-ით გაიზრდება მონაწილე ჯგუფებში.

**დასკვნები:** კვლევის შედეგებმა ნაწილობრივ დაადასტურა ძირითადი ჰიპოთეზა და გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი. მულტიკომპონენტურმა ინტერვენციამ 38% შეამცირა სუბიექტიური სტრესი ($p<0.001$) და 31% გაზარდა სამუშაო კმაყოფილება. ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა კომბინირებული მიდგომა მინდფულნეს ტექნიკებისა (ყოველდღიურად 15 წუთი) და კოგნიტური რესტრუქტურიზაციის ტრენინგისა. ფიზიოლოგიურმა მაჩვენებლებმა აჩვენა 23% შემ-

ცირება კორტიზოლის დონეში და 18% გაუმჯობესება ძილის ხარისხში. კვლევამ ასევე გამოავლინა 6 კრიტიკული ფაქტორი წარმატებული სტრეს-მენეჯმენტისთვის: ორგანიზაციული მხარდაჭერა, ინდივიდუალური მორგება, რეგულარული პრაქტიკა, სოციალური მხარდაჭერა, ლიდერთა ჩართულობა და გრძელვადიანი მონიტორინგი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორგანიზაციული კულტურის როლი - კომპანიებში, სადაც ხელმძღვანელობა აქტიურად უჭერდა მხარს სტრესის მართვის ინიციატივებს, ეფექტურობა 45% მაღალი იყო. კვლევამ ასევე დადგინა, რომ ROI სტრეს-მენეჯმენტის პროგრამებისა შეადგენს 1:4.2 - ყოველ ინვესტირებულ ლარზე ორგანიზაციები ღებულობენ 4.2 ლარის სარგებელს შემცირებული აბსენტეიზმის, გაზრდილი პროდუქტიულობისა და დაბალი ფლუქტუაციის სახით.

**საკვანძო სიტყვები:** სტრესი, მართვა, მეთოდი, სამუშაო ადგილი

# კომპანიებში Agile მეთოდის დანერგვის აუცილებლობა და საბაზრო გამოწვევების შესაბამისად ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება

**ირმა ჩხაიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**ნაზი ბარათაშვილი**

მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

სტატიაში შესწავლილია Agile მეთოდის ეფექტიანობა, რაც სწრაფად ცვალებად საბაზრო პირობებში კომპანიებს ეხმარება კონკურენციული უპირატესობის მოპოვებაში და დინამიური შესაძლებლობების შენარჩუნებაში.

განხილულია კომპანიებში მთავარ პრიორიტეტად დასახელებული ,სწრაფი მართვის" მეთოდის ტრანსფორმაცია, რომელიც ხორციელდება საბაზრო გამოწვევების შესაბამისად ეტაპობრივად და ეფუძვნება ორგანიზაციის იერარქიული სტრუქტურის ცვლილებას, თანამშრომლებში შესაძლებლობების შესაბამისად ფუნქციების გადანაწილებას პროფესიონალი გუნდების შექმნის მიზნით. შესაბამისად კვლევის მიზანია ქართულ კომპანიებში სწრაფი მართვის სტრატეგიის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება.

კვლევის შედეგებით ჩამოყალიბდა სწრაფი მართვის მეთოდზე კომპანიების გადასვლის ძირითადი შემაფერხებელი მიზეზები: ორგანიზაციული კულტურის და მენემენტის დაბალი დონე, ცვლილებებისადმი რთულად ადაპტირება, არამოტივირებული გუნდი და გუნდის წევრთა დაბალი უნარები.

კვლევის პროცესში სწრაფი მართვის დანერგვის გამოწვევებად დასახელდა: საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვება; IT Agile-ის გამოყენების მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება; ტრადიციული მეთოდით მომხმარებლების მოთხოვნებთან შეუსაბამო ინოვაციების დანერგვა.

სწრაფი მართვის მეთოდის დადებით მხარეებად შეფასდა: ცვლილებებზე სწრაფი ადაპტირება, მომხმარებლებთან თანამშრომლობა, ინკლიმენტალური ინოვაციების განხორციელებით ინოვაციების დანარგვა საქონელსა და მომსახურებაში მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, რასაც საფუძვლად უდევს ბაზარზე ლიდერული პოზიციების შენარჩუნება ან მოპოვება.

კვლევებით დადგინდა თანამედროვე მართვის მეთოდების ეფექტიანობა, რომლებიც ეფუძნება: მოტივირებულ გუნდს და გუნდურობის პრინციპებით მოქმედებას, გუნდში და გუნდებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, შედეგებზე ორიენტირებული კონტროლის პროცესის ამოქმედებას, თავისუფლებას და ცვლილებებისადმი მეტ მოქნილობას, მაღალ ნდობას, მომხმარებლებთან უკუკავშირს და ა.შ.

სწრაფი მეთოდის ეფექტიანობად განისაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ერთი მხრივ კომპეტენტური გუნდის შექმნას, შენარჩუნებას და მეორეს მხრივ მომხმარებლებთან მუდმივ თანამშრომლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნეს სტრატეგიები. ეფექტიანი მართვის მეთოდები: Agile, waterfal, Scrum, Scrumban, Kanban, Lean Startup, XP.

# ციფრული მენეჯმენტის სტრატეგიული მოდელები და მათი გავლენა ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე

**თეა მუნჯიშვილი**
დოქტორის კანდიდატი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**ირაკლი გაზდელიანი**
დოქტორის კანდიდატი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**ლუკა გაზდელიანი**
დოქტორის კანდიდატი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ეკონომიკური სისტემები ფუნქციონირებენ მზარდი ტექნოლოგიური ტრანს-ფორმაციისა და გამწვავებული გეოპოლიტიკური გაურკვევლობის პირობებში, რაც განსაზღვრავს მათი განვითარების ახალი ლოგიკის აუცილებლობას. ასეთ კონტექსტში, ციფრული მენეჯმენტის სტრატეგიული მოდელები წარმოადგენს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ არქიტექტურულ კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სისტემურ ადაპტაციას, ისე ოპერატიულ ეფექტიანობას.

კვლევის მიზანია არსებული სტრატეგიული მოდელების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, მათი ფუნქციური მახასიათებლებისა და გამოყენების კონტექსტების სისტემური ანალიზი. ამავდროულად, შეფასებულია ამ მოდელების ზეგავლენა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ტემპზე, სტრუქტურულ დინამიკასა და მდგრადობის პოტენციალზე, როგორც მიკროეკონომიკურ, ისე მაკროეკონომიკურ ჭრილში.

კვლევაში განხილულია ციფრული მენეჯმენტის რიგი სტრატეგიული მოდელები, რომელთაგან თითოეული ასახავს ორგანიზაციული მართვის განსხვავებულ თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ მიდგომებს. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ მენეჯმენტს (Technology-Driven Management), ინფორმაციულად მართული მმართველობის სისტემებს (Information-Centric Governance), აგილური სტრატეგიული ჩარჩოებს (Agile Digital Frameworks) და ხელოვნურ ინტელექტზე ინტეგრირებულ გადაწყვეტილებების მოდელებს (AI-Augmented Decision-Making). აღნიშნული მოდელები გაანალიზებულია ეკონომიკური განვითარების ფაზების - კრიზისის, აღდგენისა და მდგრადი ზრდის - ჭრილში, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს მათი ადაპტაციური პოტენციალი და ტრანსფორმაციული ეფექტიანობა.

ნაშრომი ეფუძნება შედარებით ანალიტიკურ მიდგომას და მიზნად ისახავს ციფრული მენეჯმენტის სტრატეგიული მოდელების ეფექტიანობის მრავალდონიან შეფასებას საერთაშორისო

პრაქტიკის მაგალითების საფუძველზე. გაანალიზებულია ევროკავშირის ციფრული ეკონომიკის ინტეგრირებული სტრატეგიები, რომლებიც ემყარება კოორდინირებული მმართველობისა და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის სისტემურ ჩარჩოებს.

კვლევის ლოგიკური მათემატიკური მოდელი გვთავაზობს ინტეგრირებული სტრატეგიული მოდელის კონსტრუქციას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მოდელის ძლიერ მხარეებს და ქმნის ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის, ისე ორგანიზაციული სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნული მოდელი წარმოდგენილია ინდექსის ფორმატში და ეყრდნობა ოთხ ძირითად პარამეტრს:

(1) ციფრული მმართველობის სიმწიფეს (Digital Governance Maturity), რომელიც ასახავს ინსტიტუციური სტრატეგიების სინქრონიზაციის ხარისხს;

(2) ტექნოლოგიური ინტეგრაციის მასშტაბს (Technological Integration Intensity), რომელიც ზომავს მოწინავე ციფრული ტექნოლოგიების პროცესულ ინტეგრაციას;

(3) ეკონომიკურ მოქნილობას (Economic Resilience & Flexibility), რაც გამოხატავს გარემოს ცვლილებებზე ადაპტაციისა და სტრუქტურული გარდაქმნის შესაძლებლობებს;

(4) მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების წილს (Data-Driven Decision-Making), რომელიც ასახავს ანალიტიკური მენეჯმენტის ხარისხს და ინტელექტუალური სისტემების ჩართულობის დონეს.

აღნიშნული კომპონენტების სინთეზი უზრუნველყოფს ციფრული მენეჯმენტის სტრატეგიული ეფექტიანობის რაოდენობრივ შეფასებას და ქმნის მრავალსექტორული პოლიტიკის ოპტიმიზაციის საფუძველს. ინდექსის გამოყენება შესაძლებელია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, რითაც იგი იქცევა სასარგებლო ინსტრუმენტად ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის მონიტორინგისა და მიზნობრივი მართვისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული მენეჯმენტი, სტრატეგიული მოდელები, ეკონომიკური ტრანსფორმაცია, კომპოზიტური ინდექსი, პოლიტიკის ოპტიმიზაცია.

# ტალანტების მართვის თანამედროვე მიდგომები და მათი გავლენა ორგანიზაციულ წარმატებაზე

**ნუნუ ქიქოძე**

საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

**დიანა ბიბილეიშვილი**

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ორგანიზაციული გარემო, რომელიც ხასიათდება გლობალიზაციით, ტექნოლოგიური პროგრესითა და შრომის ბაზრის დინამიური ცვლილებებით, ორგანიზაციებს აყენებს ახალ გამოწვევების წინაშე. ამ კონტექსტში, ტალანტების სტრატეგიული მართვა იქცევა ორგანიზაციული წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად. სტატია მიზნად ისახავს ტალანტების მართვის თანამედროვე მიდგომების ანალიზს და მათი გავლენის შეფასებას ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე, ინოვაციურობაზე, თანამშრომელთა მოტივაციასა და კონკურენტუნარიანობაზე.

სტატიის თეორიული ნაწილი ეფუძნება ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც თანამშრომლები განიხილებიან როგორც ორგანიზაციის ყველაზე ღირებული რესურსი. განხილულია ტალანტების მართვის ძირითადი კომპონენტები: იდენტიფიცირება, მიზნობრივი რეკრუტინგი, პროფესიული განვითარება, მენტორობა, მოტივაცია და შენარჩუნება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლიდერობის განვითარებას, თანამშრომელთა ჩართულობის ზრდას და ორგანიზაციულ კულტურაში მათი ინტეგრაციის პროცესს.

სტატიაში წარმოდგენილია საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები, როგორებიცაა Google-ის People Analytics სისტემა, Unilever-ის გლობალური ტალანტების მართვის პლატფორმა, IBM-ის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პროგნოზირებისთვის და Netflix-ის „Freedom and Responsibility" კულტურა. ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ტალანტების სტრატეგიული მართვა არ არის მხოლოდ HR დეპარტამენტის ფუნქცია, არამედ წარმოადგენს ორგანიზაციული სტრატეგიის ცენტრალურ ელემენტს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ რეალობას, სადაც ტალანტების მართვის სისტემები ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. განხილულია კერძო და საჯარო სექტორის ძირითადი გამოწვევები, როგორიცაა კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ბიუროკრატიული პროცედურები, კარიერული განვითარების სისტემის ნაკლებობა, ანაზღაურებისა და მოტივაციის პრობლემები, ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის საჭიროება და თაობათა განსხვავებები. სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გამოწვევების ეფექტიანად გადალახვას: ანაზღაურებისა და სოციალური პაკეტების გაუმჯობესება, შერჩევის პროცესის გამარტივება, კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა, ინოვაციური სამუშაო კულტურის შექმნა და რეგიონული პოლიტიკის გაძლიერება.

დასკვნის სახით, სტატია ხაზს უსვამს, რომ ტალანტების სტრატეგიული მართვა წარმოადგენს ორგანიზაციული მდგრადობის, ინოვაციურობისა და გრძელვადიანი წარმატების საფუძველს. მისი ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს სისტემურ, პერსონალიზებულ და ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც ადაპტირებულია როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ კონტექსტზე.

**საკვანძო სიტყვები:** ტალანტები, სტრატეგია, ადამიანური კაპიტალი, პერსონალიზებული მიდგომა, კარიერული განვითარება.

# CLASSIFICATION OF DIGITAL TOOLS FOR ENHANCING THE EFFICIENCY OF CONSULTING SERVICES

**Halyna Fyliuk**
Doctor of Economics
Professor, Faculty of Economics
Taras Shevchenko National University of Kyiv
Kyiv, Ukraine
**Ihor Prytula**
PhD Student
Taras Shevchenko National University of Kyiv
Kyiv, Ukraine

**Abstract**

Digitalization is radically transforming the business models and operations of consulting firms: from the platformization of services and crowdsourcing of expertise to the combined use of automation, generative AI, and cloud infrastructure [1; 2; 3].

A systematic review of digital transformation (DT) in management consulting identifies layers of change (platforms, crowdsourcing, new client-consultant matching mechanisms) and introduces the CIMO framework for explaining transformations [1].

Research on business models of management consulting firms (MCF) demonstrates innovations driven by digitalization (reorientation of value propositions, servicization, productization) [2].

McKinsey's technology outlooks structure trends into categories (GenAI, data/infrastructure, computing/connectivity, engineering, "business reinvention"), offering a useful "meta-taxonomy" for grouping tools [3; 4].

Parallelly, the market is massively adopting intelligent automation (RPA + AI), confirmed by industry surveys and literature reviews [5; 6].

Insights into proprietary tools of Big4 illustrate significant productivity shifts in knowledge-intensive consulting work [7; 8], though public debate remains skeptical about the pace of large-scale GenAI gains.

The proposed classification is an integrated three-axis classification of digital tools for consulting, which simultaneously:

1. Consulting value chain stages (V):
   - V1. Presales & business development (CRM, ABM, marketing automation, sales engineering);
   - V2. Project management & resourcing (PSA, utilization tracking, margin monitoring);
   - V3. Analytics & research (BI, data engineering, knowledge retrieval, GPT-based agents);
   - V4. Solution design & modeling (low/no-code, process modeling, digital twins);
   - V5. Delivery & client interaction (collaboration tools, workshop platforms, client portals);
   - V6. Post-project support & monitoring (dashboards, change management, observability).
2. Capability stack (C):
   - C1. Data & knowledge (data warehouses, vector databases, knowledge bases);
   - C2. Automation (RPA/IPA, workflow orchestration);

- C3. Analytics & intelligence (BI, ML/AutoML, generative AI/RAG agents);
- C4. Collaboration & content (document management, design/slide generation, co-authoring);
- C5. Integration & security (iPaaS/ESB, API gateways, IAM/compliance).

3. Deployment models (D):
    - D-A. Proprietary internal platforms (e.g., McKinsey Lilli RAG assistant) [7; 8];
    - D-B. Standard corporate SaaS/cloud solutions (CRM/PSA/BI/RPA) [3; 5; 6];
    - D-C. Client-facing platforms/shared workspaces (data rooms, portals, co-build environments) [1; 2].

This V×C×D classification provides a coherent lens for portfolio evaluation, helps avoid redundancies, and links tool effects to specific consulting stages and capabilities.

Efficiency Metrics and Expected Effects

- Knowledge operations speed: reduced time for research/synthesis (e.g., Lilli improves research efficiency and content quality) [7; 8].
- Operational project efficiency: higher utilization, better budget adherence through PSA and RPA [5; 6].
- Solution quality: more reproducible analyses and traceability (data lineage, version control) [3; 4].
- Client experience: interactive delivery through collaborative environments (greater stakeholder engagement, higher NPS) [1; 2].
- Risk management: secure deployment of GenAI tools (IAM, data policies) [3; 4; 7].

Despite promising cases, media reports highlight a "hype gap" - inflated expectations from GenAI without broad, measurable ROI in some firms. The proposed classification reduces this risk by systematically linking tools to value stages and effect types (speed, quality, risk, experience) and aligning them with deployment models.

**Keywords:** digital transformation, management consulting, business models, automation, artificial intelligence, generative AI, cloud platforms, CIMO framework, Big4, knowledge management, client experience, risk management, innovation.

# 8 წამის ეფექტი: TikTok მარკეტინგის ახალი წესები

**გელა მამულაძე**
ეკონომიკის დოქტორი
პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**ნინო მამულაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

TikTok-ი დღეს ბიზნესისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პლატფორმაა, თუმცა საქმიანობის წარმართვა არც ისე მარტივია. ეს არ არის მხოლოდ ვირუსული ტრენდის გამეორება და მოკლე ვიდეოების გამოქვეყნება. ის მოითხოვს გააზრებულ სტრატეგიას, კრეატიულობასა და მუდმივ ანალიზს. მას მილიარდობით აქტიური მომხმარებელი ჰყავს მთელ მსოფლიოში და უნიკალურ შესაძლებლობებს სთავაზობს ბიზნესებს, რომ გააფართოვონ აუდიტორია და გაზარდონ ცნობადობა. ეს აუდიტორია მოიცავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებიც ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სეგმენტია. პლატფორმაზე ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი ატარებს დროს, რაც ბიზნესისთვის მომხმარებელთან კავშირის უნიკალური შესაძლებლობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ TikTok-ის ალგორითმი ხელს უწყობს ზრდას და იგი გამორჩეულია, რადგანაც იდეალურად ახდენს მომხმარებლის ინტერესების იდენტიფიცი¬რებას და შესაბამისი კონტენტის შეთავაზებას. სხვა პლატფორმებისაგან განსხვავებით, სადაც ვიდეო რგოლების ნახვადობა ძირითადად დამოკიდებულია გამომწერების რაოდე¬ნობაზე, TikTok-ზე შესაძლოა ვიდეო ვირუსული გახდეს, თუნდაც არც ერთი გამომწერი არ გყავდეთ. ეს კი მცირე ბიზნესისთვის არის შანსი, მოხვდეს მილიონობით ადამიანის ,,For You" (თქვენთვის) გვერდზე და სწრაფად გაზარდოს ცნობადობა.

TikTok-ი მუდმივად ქმნის ახალ ტრენდებს, რომლებიც მოიცავს სიმღერებს, ცეკვებს, გამოწვევებს და ფილტრებს. ბიზნეს შეუძლია მარტივად ჩაერთოს ამ ტრენდში და შექმნას სახალისო, კრეატიული კონტენტი, რომელიც ვირუსულად გავრცელდება. ეს მიდგომა უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული რეკლამა.

გარდა ამისა, TikTok-ს აქვს მომხმარებლის ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი. მისი კონტენტი დინამიური და მოკლემეტრაჟიანია, რაც მომხმარებლის ყურადღებას დიდხანს იპყრობს. მომხმარებლები აქტიურად ურთიერთობენ კონტენტთან, რაც გამოიხა¬ტება მოწონებებში, კომენტარებში და გაზიარებებში. ბიზნეს შეუძლია გამოიყენოს ეს ჩართულობა, რათა შექმნას მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტი, რაც ბრენდის მიმართ ნდობას და ლოიალურობას ზრდის.

აღნიშნულ უპირატესობებთან ერთად მნიშვნელოვანია მკაფიოდ გავაანალიზოთ მისი მომხმარებელზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი გარემოებებიც. Microsoft-ის კვლევამ აჩვენა, რომ საშუალო ყურადღების ხანგრძლივობა 8 წამამდე შემცირდა - ეს ,,8 წამიანი წესი" გულისხმობს იმ

დროს, რამდენ ხანსაც შეუძლია ადამიანს კონცენტრაცია შეინარჩუნოს ერთ კონკრეტულ გარემოებაზე. TikTok აქტიურად იყენებს „8 წამის წესს". როგორ მოვახდინოთ ეფექტი მომხმარებელზე TikTok-ზე 8 წამში? TikTok წარმატების მთავარი გასაღები პირველი 3 წამია. ეს არის კრიტიკული პერიოდი, როდესაც მაყურებელი წყვეტს, გააგრძელოს თუ არა ვიდეოს ყურება. თუ ამ დროში ვერ მოხერხდა მომხმარებლის დაინტერესება, ისინი უბრალოდ გადავლენ შემდეგ ვიდეოზე.

როგორ გავხადოთ კონტენტი მაქსიმალურად ეფექტური? დაიწყეთ კაუჭით - ვიდეოს პირველ წამებში უნდა იყოს ისეთი გარემოება წარმოჩენილი, რომელიც მომხმარებლის ყურადღებას მიიპყრობს. ეს შეიძლება იყოს მაგალითდ კითხვა - იცით რა არის ყველაზე დიდი შეცდომა? გაოცების მომენტი - რაიმე მოულოდნელი ან შოკისმომგვრელი, ან შეშფოთება და სხვა; ტექსტი ეკრანზე - მსხვილი, თვალშისაცემი ტექსტი, რომელიც აჯამებს ვიდეოს მთავარ იდეას, მაგალითად, „3 გზა იმისათვის, რომ დაზოგოთ ფული". TikTok-ის კონტენტი სწრაფი ტემპით უნდა იყოს შექმნილი. მნიშვნელოვანია არ იქნეს გამოყენებული ხანგრძლივი შესავალი ან უმოქმედო კადრები. ვიდეო დინამიური უნდა იყოს. აუცილებელია სწრაფი გადასვლები და მონტაჟი, რათა იგი მუდმივად მიმზიდველი დარჩეს.

ტრენდული სიმღერების და ხმების გამოყენება ზრდის ვიდეოს ნახვადობას და იგი აღქმადი ხდება იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც ამავე ხმით გადაღებულ სხვა ვიდეოებს უყურებენ. ასევე მნიშვნელოვანია ვიდეო არ იყოს გადატვირთული ინფორმაციით და მოხდეს ერთ კონკრეტულ იდეაზე ან გზავნილზე ფოკუსირება, რათა ის მარტივად გასაგები იყოს.

ტექსტისა და სუბტიტრების გამოყენება კიდევ უფრო მეტად გაზრდის აღქმადობას, რადგანაც ადამიანების დიდი ნაწილი უხმო რეჟიმში უყურებს ვიდეოებს. მოქმედებისკენ მოწოდება - ვიდეოს ბოლოს მომხმარებლის მოწოდება რომ დაალაიქოს, დააკომენტაროს, გააზიაროს ვიდეო ან გადავიდეს პროფილზე ზრდის ჩართულობას და ხელს უწყობს გვერდის ცნობადობის გაზრდას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის ბიზნესმა სწრაფად მოიპოვოს ცნობადობა, მიაღწიოს ახალ აუდიტორიას და შექმნას ძლიერი, საინტერესო, ორგანული კავშირის მომხმარებლებთან ტრადიციული მარკეტინგის მეთოდებისაგან განსხვავებით უფრო საინტერესო და კრეატიული გზით.

**საკვანძო სიტყვები:** TikTok პლატფორმა, კონტენტის შექმნა, მომხმარებლის ჩართულობის ზრდა, ყურადღების მიპყრობის სტრატეგიები

# გადაწყვეტილების მიღების ემოციური კომპონენტი დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებში: მარკეტინგული სტრატეგიების ზეგავლენა მომხმარებელზე და მისი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე

**თამთა ბერიძე**

დოქტორანტი

ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**ბექა სხირტლაძე**

დოქტორანტი

ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ემოციური მარკეტინგი ავიაციის სექტორში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მომხმარებლის მიერ ავიაკომპანიის არჩევა ხშირად ემყარება არა მხოლოდ ფასს ან სერვისის ხარისხს, არამედ იმ ემოციურ გამოცდილებას, რომელსაც ბრენდი ქმნის. ნეირომარკეტინგული კვლევები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ემოციური რეაქციები (EEG სიგნალები, თვალის მოძრაობის ტრაექტორიები, კანის გალვანური რეაქციები) უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრენდისადმი ნდობასა და ერთგულებასთან, ვიდრე ფასის შედარებითი უპირატესობა.

წინამდებარე კვლევა აგებულია ნეირომარკეტინგულ და ფსიქოლოგიურ მოდელებზე (Dual System Theory, Affective Decision-Making, Self-Congruity Theory, Narrative Transportation) და ეფუძნება საერთაშორისო შემთხვევების ანალიზს, როგორიცაა Ryanair, AirAsia, easyJet, Scoot და IndiGo. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კამპანიები, რომლებიც მიმართულია თავისუფლების, თავგადასავლების ან ოჯახური ფასეულობების თემებზე, იწვევს უფრო ძლიერ ემოციურ რეაქციას და ამაღლებს ბრენდის აღქმის ალბათობას.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ემოციური მარკეტინგის ინტეგრაცია პირდაპირ მოქმედებს ტურიზმის დინამიკაზე: იგი ზრდის მოგზაურობის სურვილს, აძლიერებს ტურისტულ ნაკადებს და ქმნის ქვეყნის ეკონომიკაზე ფინანსურად გაზომვად გავლენას. ეს მიანიშნებს, რომ ემოციური მარკეტინგი ავიაციაში არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც შემოქმედებითი სტრატეგია, არამედ როგორც ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, ნეიროტექნოლოგიებსა და ეკონომიკურ განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** ემოციური მარკეტინგი, ბრენდის აღქმა, ბრენდისადმი ერთგულება

# მომსახურების ხარისხის შეფასების მექანიზმები

**სალომე მჟავანაძე**
დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

XXI საუკუნის გლობალური ეკონომიკის ტრანსფორმაციის ფონზე მომსახურების სექტორი გახდა ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტული უპირატესობის მთავარი წყარო. Vargo & Lusch-ის (2016) მომსახურების-დომინანტური ლოგიკის თეორიის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკა გადავიდა მატერიალური პროდუქტებიდან არამატერიალურ მომსახურებაზე ორიენტირებულ მოდელზე, რაც ქმნის ახალ გამოწვევებს ხარისხის შეფასების სფეროში.

თანამედროვე ციფრული ეპოქა მომსახურების ხარისხის შეფასების სფეროში ახალ პარადიგმას ქმნის (Devenport et al., 2020). ხელოვნური ინტელექტის, მანქანური სწავლების, დიდი მონაცემების ანალიტიკისა და IoT ტექნოლოგიების ინტეგრაცია საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს გადავიდნენ პასიური ხარისხის კონტროლიდან პრევენციული ხარისხის კონტროლზე. ეს ტრანსფორმაცია მოიცავს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინსტრუმენტების განახლებას, არამედ მთლიანი მეთოდოლოგიური მიდგომების რადიკალურ ცვლილებას.

თემის აქტუალობა - მომსახურების სექტორი გახდა გლობალური ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობა განიცდის ინტენსიურ ზრდას(Our world data 2024), რაც ასახავს მომსახურების ეკონომიკისკენ მსოფლიო ტრანსფორმაციას. ციფრული ეპოქა ქმნის ახალ პარადიგმას მომსახურების ხარისხის შეფასების სფეროში. ხელოვნური ინტელექტის, მანქანური სწავლების და დიდი მონაცემების ანალიტიკის ინტეგრაცია რადიკალურად ცვლის ტრადიციულ მიდგომებს. AI ინვესტიციების ზრდა მარკეტინგის სფეროში, მოწმობს ამ ტექნოლოგიების სტრატეგიულ მნიშვნელობას (Our world data 2024). საერთაშორისო სერვისების ზრდა ქმნის ახალ გამოწვევებს ხარისხის შეფასების სისტემებისთვის, სადაც უნდა გათვალისწინდეს კულტურული, ენობრივი და რელიგიური განსხვავებები. სერვისების უნიკალური მახასიათებლები - არამატერიალურობა, განუყოფელობა, ცვალებადობა - ქმნის კომპლექსურ გარემოს, სადაც ტრადიციული შეფასების მეთოდები აღარ არის საკმარისი. ორგანიზაციებს სჭირდებათ ეფექტური ინსტრუმენტები კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად მომსახურების ეკონომიკის პირობებში. ხარისხის შეფასების თანამედროვე მექანიზმების გააზრება და მათი სწორი იმპლემენტაცია გადამწყვეტია ბიზნეს წარმატებისთვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია თანამედროვე ბაზარზე მომსახურების ხარისხის არსის, ტიპოლოგიის და მექანიზმების განსაზღვრა, არსებული პრობლემების და მარკეტინგის თავისებურებების გამოვლენა, კვლევის ამოცანებად კი დასმულია შემდეგი საკითხები: მომსახურების მარკეტინგის თეორიული საკითხების შესწავლა; მომსახურების ხარისხის და მარკეტინგის თავისებურებების განხილვა; მომსახურების ხარისხის შეფასების განსაზღვრა და გამოყენება; რეკომენდაციების ჩამოყალიბება მომსახურების ხარისხისა და მარკეტინგული მიდგომების გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომის თეორიული საფუძვლები და განხილული პრაქტიკული თუ თეორიული საკითხები საყურადღებოა ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისთვის და თემით დაინტერესებული სხვა პირებისთვის. ჩატარებული კვლევების შედეგები და წარმოდგენილი მასალები დაეხმარება ორგა- ნიზაციებს საქმიანობის წარმატებით წარმართვაში. სტუდენტებისთვის კი ეს იქნება თეორიული ცოდნის წყარო.

**საკვანძო სიტყვები:** მომსახურების სექტორი, მომსახურების ხარისხის შეფასება, მარკეტინგული მიდგომები, კონკურენტული უპირატესობა

# არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგი და მისი როლი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში

**ნანული მახარაძე**

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

0000-0002-2322-0052

maxaradze.nanuli@bsu.edu.ge

**გვანცა თურმანიძე**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

0009-0003-4765-7376

gvantsa.turmanidze@bsu.edu.ge

**აბსტრაქტი**

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა, განსაკუთრებით გლობალიზაციისა და კულტურული მრავალფეროვნების პირობებში. ამ პროცესში არაკომერციული ორგანიზაციები, ისეთი როგორიცაა: კულტურული (მუზეუმები, თეატრები...), საქველმოქმედო ფონდები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვ. ასრულებს სტრატეგიულ როლს, რადგან მათი მთავარი მიზანი არა მოგების მიღება, არამედ საზოგადოებაში ღირებულების გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება და აქტიური ჩართულობის სტიმულირებაა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XXI საუკუნეში სამყარო გაციფრულდა, ალბათ არ არსებობს ბრენდი/პროდუქტი, რომელიც ინტერნეტ სივრცეში არ მოიპოვება. თუ წლების განმავლობაში მაგ, მუზეუმები ებრძოდნენ სმარტფონებს და ვიზიტორებს მოუწოდებნენ, რომ ტექნოლოგიები გვერდზე გადაედოთ და თვალწინ არსებულ სურათებსა და არტეფაქტებზე მოეხდინათ კონცენტრირება, დღეს არაკომერციული ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა იმ მიზნით, რომ საზოგადოების ინტერესებს აუწყოს ფეხი და არ ჩამორჩეს ციფრულ ტენდენციებს აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რა თქმა უნდა, მისგან სარგებელსაც იღებენ.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგის სპეციფიკასა და მის სტატეგიულ გამოყენებაზე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ციფრულ მარკეტინგს, სოციალურ მედიას, საზოგადოებრივი კამპანიების დაგეგმვას, განათლებასთან ინტეგრირებულ ინიციატივებსა და კულტურული ბრენდინგის მოდელებს.

მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომებს: თეორიული ანალიზი - არაკომერციული მარკეტინგის, მდგრადი ტურიზმისა და კულტურული მემკვიდეობის მენეჯმენტის მოდელების შესწავლა; სტატისტიკის, ქეისების ანალიზი - მუზეუმების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, ICOM, UNWTO) გამოცდილების მაგალითზე. აჭარის რეგიონ-

ში განხორციელებული მარკეტინგული კვლევით გამოვლინდა ვიზიტორთა მოტივი, თუ რა განაპირობებს მათ ინტერესსა და ვიზიტს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას მომსახურების ისეთი პროდუქტი, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს მომხმარებლის/დამთვალიერებლის მოთხოვნებს, ინტერესს და შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და მის შემდგომ კომერციალიზაციას.

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მუზეუმების/თეატრების როლი თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. საზოგადოების წარმოდგენა, რომ მუზეუმში მხოლოდ კოლექციები ინახებოდა, შეცვალა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული როლის მქონე დაწესებულებამ, ხოლო თანამედროვე მოტივებით წარმოდგენილი თეატრალური წარმოდგენები სულ უფრო მეტ ახალგაზრდა მაყურებელს იზიდავს თეატრებში. შესაბამისად, არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგი იქცევა მდგრადი ტურიზმისა და კულტურული იდენტობის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

**საკვანძო სიტყვები:** არაკომერციული ორგანიზაცია, მარკეტინგი, კულტურული მემკვიდრეობა, მდგრადი ტურიზმი.

# საშემოსავლო გადასახადი, როგორც ფისკალური ინსტრუმენტი და მისი გავლენა სოციალურ გარემოზე


**ვაჟა ვერულიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**ეკატერინე შაინიძე**

ფინანსების დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო



**აბსტრაქტი**

საშემოსავლო გადასახადი ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. საქართველოში აღნიშნული გადასახადის მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილის (დაახლოებით 28%) მობილიზება. ამასთან, იგი ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 85%-ს. ფისკალური პროგნოზი საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში ყოველთვის სრულდება, ამდენად, იგი ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების სტაბილურ წყაროს წარმოადგენს.

საშემოსავლო გადასახადი საქართველოში მნიშვნელოვანი ფისკალური ინსტრუმენტია, თუმცა, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფონზე, ასევე, მნიშვნელოვანია მისი გავლენის შესწავლა სოციალური გარემოზე, ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნების უმეტეს ნაწილში საშემოსავლო გადასახადი პროგრესულია, არსებობს დაუბეგრავი მინიმუმი და საგადასახადო ტვირთი განსხვავებულია მაღალი და დაბალშემოსავლიანი დასაქმებული პირებისათვის. ამიტომ ამ მიმართულებით საქართველოს მაგალითზე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- საშემოსავლო გადასახადის პროპორციული განაკვეთი არათანაბარი საგადასახადო ტვირთის პირობებში აყენებს მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან გადამხდელებს;
- დაბალშემოსავლიანი გადამხდელები მაღალი საგადასახადო ტვირთის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დასაქმების გზებს და ხელს უწყობენ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდას;
- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებული თანხები მონაწილეობს განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში, რითაც დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

ამრიგად, საშემოსავლო გადასახადის არსებული მექანიზმი საქართველოში ზრდის სოციალურ უთანასწორობას, ასტიმულირებს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებს დამალონ შემოსავლები და შესაბამისად, გადასახადები, რითაც გარკვეულწილად იზღუდება მისი დადებითი გავლენის ზრდის შესაძლებლობა სოციალურ გარემოზე. თუმცა, ამ გავლენას დიდი პოტენციალი გააჩნია, რომლის ზრდაც შესაძლებელია მოქნილი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი მექანიზმის შემუშავებით.



**საკვანძო სიტყვები:** საშემოსავლო გადასახადი, ფისკალური ინსტრუმენტი, სოციალური გარემო.

# DIGITAL TRANSFORMATION OF TAX RELATIONS IN THE CONTEXT OF GLOBAL CHALLENGES

**Oksana Vinnytska**
PhD., Associate Professor
Associate Professor of the Department of Finance, Accounting and Economic Security
Pavlo Tychyna Uman State Pedagogical University
Uman, Ukraine
**Liudmyla Chvertko**
PhD., Associate Professor
Associate Professor of the Department of Finance, Accounting and Economic Security
Pavlo Tychyna Uman State Pedagogical University
Uman, Ukraine

**Abstract**

In today's environment of global challenges and large-scale transformations, sustainable development is becoming one of the top priorities of public policy and economic processes. Achieving the Sustainable Development Goals (SDGs) proclaimed by the UN requires a comprehensive approach that integrates economic, social and environmental factors. An important tool for their implementation is digitalization, in particular in the field of tax relations.

The key to the digital transformation of the tax sector is the modernization of the State Tax Service of Ukraine. Today, the State Tax Service is gradually building a modern model of operation that is transparent, technologically advanced and focused on the needs of taxpayers. This allows us to improve the quality of tax and fee administration, expand the range of electronic services and ensure zero tolerance to corruption [1].

In recent years, the State Tax Service has demonstrated significant progress in implementing the state's tax policy, especially in terms of digital transformation. Drawing on international experience, the Service has carried out large-scale automation of key business processes and introduced innovative digital services that improve the efficiency of administration and the level of taxpayer service.

Among the significant achievements is the full-fledged operation of the Electronic Taxpayer's Office, which was used by more than 5 million users in 2024. This service provides round-the-clock access to registers, reporting, monitoring of tax liabilities, electronic correspondence with tax authorities, and verification of data on business partners. The introduction of the ACS, the My Tax Service mobile application, integration with the Diia platform and the use of QR codes for tax payments confirm the service's focus on innovative solutions and user convenience [2].

An important step was the expansion of opportunities for individuals and small businesses. The mobile application provides quick access to personal information, allows filing tax returns, paying taxes and communicating with tax authorities. At the same time, the electronic document flow covers more than 130 million documents daily, which demonstrates the scale of digital processes.

Projects implemented with the support of international partners, in particular the EU4PFM program, play a significant role. This helped modernize the infrastructure of the STS Contact Center, improve the quality of taxpayer service and ensure multichannel communication. A unified interface for the workplace of

a contact center employee was also created, which increased the speed and quality of response to citizens' appeals.

In the area of fiscalization, an important result is the widespread introduction of software-based payment transaction recorders (PTRs), the number of which has already exceeded the number of traditional PTRs by 2.5 times. This simplifies the process of accounting for payment transactions and reduces business costs [3].

The introduction of digital technologies in tax processes has increased their transparency, reduced the level of shadow transactions and improved tax discipline. This has provided the state with more stable sources of revenue in the difficult wartime environment, turning digitalization into an important driver of the country's financial stability.

Thus, the digitalization of tax relations is an effective tool for achieving economic, social and environmental goals of sustainable development. An efficient and fair tax system ensures stable financing of key areas such as education, healthcare, and environmental programs and contributes to the welfare of the population.

In addition, digitalization strengthens social justice by increasing transparency and equal access to tax services. E-declaration and automated control mechanisms reduce the risk of tax evasion, especially by high-income individuals, making the tax burden more equitable. The development of electronic services increases the accessibility of tax information even for residents of remote areas and groups with limited mobility, which helps to strengthen equality before the law, reduce corruption risks and build trust in government institutions.

The digital transformation of the tax sphere also stimulates the development of the IT sector, innovative infrastructure and digital competencies of tax officials and taxpayers. This contributes to the growth of digital literacy of the population, the creation of new jobs in the digital economy, and creates favorable conditions for investment. As a result, the digitalization of the tax system is becoming a key factor in socio-economic progress and a tool for building an efficient, transparent and responsible state.

**Keywords:**. Sustainable development; Digitalization; Tax relations; State Tax Service of Ukraine; Electronic services; Financial stability.

# ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბუღალტრული პროფესიის მომავალზე

**ბესიკ ბაუჩაძე**
ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

დღევანდელ სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში, ციფრული ტექნოლოგიები ცვლის ორგანიზაციების მუშაობის, კომუნიკაციისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების წესს. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესია ყოველთვის ვითარდებოდა ტექნოლოგიებთან ერთად, რეესტრებიდან ცხრილებამდე და საწარმოს რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემებიდან რობოტული პროცესების ავტომატიზაციამდე (RPA). დღეს ჩვენ კიდევ ერთი მონუმენტური ცვლილების ზღვარზე ვდგავართ, რაც ბუღალტერიაში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის აღზევებას უკავშირდება. საქმე მხოლოდ არსებული ამოცანების ავტომატიზაციას არ ეხება; საქმე ეხება ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტების აქამდე წარმოუდგენელი შესაძლებლობებით გაძლიერებას, რაც ფუნდამენტურად ცვლის ინდუსტრიას.ციფრული ტრანსფორმაციების კონტექსტში ბუღალტრული აღრიცხვის კომპეტენციების საკითხებზე პუბლიკაციების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიუხედავად, ამ პრობლემის მრავალი ასპექტი კვლავ ღიად რჩება. ეს სტატია უზრუნველყოფს ბუღალტერიაში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ყოვლისმომცველ შესწავლას, დეტალურად აღწერს, თუ რა არის ის, რა არის მისი ღრმა მნიშვნელობა. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემთხვევების აღრიცხვა, გენერაციული ხელოვნური ინტელექტის აღრიცხვის ხელშესახები სარგებელი და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის აღრიცხვის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც უნდა გადაიჭრას. კვლევის მსვლელობისას ფორმალიზდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ბუღალტერიას შორის ურთიერთობა.

სტატიაში დეტალურად არის აღწერილი ხელოვნური ინტელექტის კონცეფცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ტენდენციები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, მოვახდინეთ ხელოვნური ინტელექტის ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენების SWOT ანალიზი.ონლაინ გამოიკითხა საქართველოში 50 ზე მეტი პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი რომლებიც ძირითადად ბიზნეს სექტორში მუშაობენ,კითხვარი ეხებოდა შემდეგი საკითხების: აღრიცხვის მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნას, ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შეფასებას; შეხედულებებს ხელოვნური ინტელექტის მიმართ და მომავალში მოსალოდნელ ეფექტებს(გამოკითხვის დეტალები მოცემულია სტატიაში) კვლევამ აჩვენა რომ , ბუღალტრის ფუნქციების მრავალფეროვნებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნის გამო, ამ პროფესიის სარგებლიანობა მეწარმეებისთვის დიდია. ცოდნა და უნარები თანამედროვე ბუღალტერს აქცევს ეკონომიკისა და ფინანსების სფეროს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად და შეუცვლელ თანამშრომლად, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასა და რელევანტური მოქმედებების განხორციელების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ გენერაციული ხელოვნური ინტელექტის აღრიცხვის ამ გზას თან ახლავს გა-

მოწვევები, მათ შორის მონაცემთა მართვა, ეთიკა და კვალიფიკაციის უწყვეტი გაუმჯობესების საჭიროება, წარმატებული დანერგვის ჯილდოები უზარმაზარია. ბიზნესები, რომლებიც სტრატეგიულად აითვისებენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ აღრიცხვას, ისარგებლებენ გაზრდილი სიზუსტით, გაუმჯობესებული ეფექტურობით, ოპტიმიზირებული ხარჯებით და, რაც მთავარია, ნედლი მონაცემების ქმედით ინტელექტად გადაქცევის უნარით. ხელოვნური ინტელექტით აღრიცხვის მომავალი არ არის ბუღალტრის ჩანაცვლება, არამედ მისი როლის გაფართოება და ამაღლებაა.

**საკვანძო სიტყვები:**მართვა, ხელოვნური ინტელექტი, დიგიტალიზაცია, ბუღალტრული აღრიცხვა, ბლოკჩეინი, გლობალიზაცია, პროცესების ავტომატიზაცია, პროგნოზირების ოპტიმიზაცია;

# ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების ზოგიერთ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით

**გურამ უფლისაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ასოცირებული პროფესორი,

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

საქართველოს საგადასახადო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მიმართულება არის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივება. ეს საკმაოდ პრობლემური საკითხი იყო საქართველოს საგადასახადო სისტემის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის ადრეული რედაქციით, საგადასახადო ორგანოს ზედმეტობის დაბრუნებისათვის 3 თვიანი ვადა ჰქონდა შემოსაზღვრული. 2015 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შესული ცვლილებით კი ამისათვის განისაზღვრა 1 თვის ვადა. უკვე მომდევნო 2016 წლიდან ამოქმედდა ზედმეტად გადახდილი თანხის ავტომატურად დაბრუნების სერვისი, რომელიც არსებითად მაინც გულისხმობდა შემთხვევების ინდივიდუალურ შესწავლას.

ამავე დროიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების ჩართულობით დაიწყო სამუშაოები, რომელთა შედეგად 2019 წლის თებერვლიდან ამოქმედდა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა. ის ითვალისწინებდა რისკების მართვის თანამედროვე მიდგომებს და უზრუნველყოფდა დღგ-ის თანხების დაბრუნების გამარტივებულ პროცედურებს. ამ სისტემის ამოქმედების შედეგად, შესაძლებელი გახდა სისტემის მიერ შემოწმებულ დეკლარაციებზე თანხის დაბრუნების ვადის 2 დღემდე შემცირება. 2019 წლიდან მოყოლებული დაბრუნებული ზედმეტობების მეტი წილი უკვე ავტომატური სისტემით მეშვეობით ბრუნდებოდა.

2020 წლის ნოემბრიდან დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების სისტემა გახდა სრულად ავტომატიზირებული. რისკის შესაბამისი მოდულის მიერ შესწავლილი დღგ-ის თანხები ავტომატურად უბრუნდება გადამხდელის საბანკო ანგარიშზე. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსშიც. ამ რეფორმის მიზანი იყო საინვესტიციო გარემოს გააუმჯობესება, სადავო შემთხვევების შემცირება და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გამარტივება.

ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების სისტემის გამარტივებას მოჰყვა ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხების მოცულობების მასშტაბური ზრდა. თუკი 2015 წელს გადამხდელებს დაუბრუნდათ 129 მლნ ლარის ზედმეტობა, 2024 წლისათვის დაბრუნებული თანხების ჯამურმა მოცულობამ 2547 მლნ ლარს გადააჭარბა, რომლის 95%-მდე დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების სრულად ავტომატიზირებული სისტემით განხორციელდა. ავტომატიზირებული სისტემის ჩამოყალიბებიდან 2024 წლის ბოლომდე, ბიზნესს სულ 9.4 მილიარდ ლარზე მეტი დაუბრუნდა. მკვეთრად გაიზარდა დაბრუნებული თანხების არამარტო აბსოლუტური მოცულობა, ასევე მისი პროცენტული თანაფარდობა ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებთან.

ამასთან, ამ მასშტაბურმა რეფორმამ საგადასახადო ორგანოები საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე დააყენა. საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა ჯერ კიდევ არ იყო სინქრონიზირე-

ბული ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივების საფრთხეებთან. ცალკეული პირები ფიქტიური გარიგებების ამსახველი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის გზით ცდილობდნენ დიდი ოდენობის ჩასათვლელი ყალბი აქტივების შექმნას და შემდეგ მის დაბრუნებას ავტომატური დაბრუნების წესით ანდა გამოყენებას სხვა საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად. შესაბამისი საგადასახადო სამართალდარღვევების მკვეთრი ზრდა დასტურდება აღნიშნული წლების სტატისტიკური მონაცემებითაც.

სიტუაციამ მოითხოვა დამატებითი შრომითი და დროითი რესურსები მზარდი ოდენობის ასეთი შემთხვევების სამართავად. საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე პირობებში, საგადასახადო მონაცემების გაციფრულობის მაღალი ხარისხი აადვილებს კონტროლს, მაგრამ საგადასახადო ორგანოებს უკვე დამდგარი სამართალდარღვევების შედეგების აღმოფხვრაზე უწევდათ მუშაობა. საჭირო გახდა პრევენციული მექანიზმების შექმნა აღნიშნული რისკების შესამცირებლად.

საგადასახადო რისკების მართვის გაძლიერების მიზნით, ამოქმედდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები, რაც გულისხმობს ადრეულ ინფორმირებას საგადასახადო სუბიექტების საქმიანობის შესაძლო შეუსაბამობების შესახებ და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების პრევენციულ გამოყენებას. ასევე შემუშავდა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ის ჩათვლის განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დღგ-ის შესაბამისი თანხა უკვე გადახდილია ბიუჯეტში. ამ ღონისძიებათა მიზანია, დღგ-ის ჩათვლის და ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების უკანონო გამოყენების შესაძლებლობების შეზღუდვა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს საგადასახადო სისტემა, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პროცედურები, საგადასახადო რისკები, საგადასახადო სამართალდარღვევა

# THE IMPACT OF DIGITISATION ON IFRS: APPROACHES TO ACCOUNTING FOR STABLECOINS AS DIGITAL ASSETS

**Svetlana Drobyazko**
Doctor of Economic Sciences,
Professor, European Academy of Sciences Ltd,
London, United Kingdom
svetlana.drobyazko@yahoo.com
**Besik Bauchadze**
Academic Doctor of Business Administration
Associate Professor, Faculty of Economics and Business
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

**Abstract**

Stablecoins, as a hybrid form of digital asset, challenge traditional IFRS principles by operating at the intersection of financial instruments, intangible assets, and cash regulation. This article systematises potential approaches to accounting for stablecoins under IFRS and analyses the impact of the digital transformation on the evolution of the standards. Digitisation is undermining established concepts of “cash”, “financial asset”, and “intangible asset”, which constitutes the core issue of this paper. The methodology is based on an analysis of classification uncertainties and a forecast of potential directions for the development of the regulatory framework. In conclusion, the paper justifies the necessity for developing a separate standard or interpretation that considers the specifics of stablecoin collateral and circulation. This is crucial for ensuring the reliability and comparability of financial statements within the digital economy.

**Keywords**: IFRS, stablecoins, digital asset accounting, asset classification, digital economy, financial instruments, cash.

# ბარტერული გარიგების დღგ-ს გადასახადით დაბეგვრის თავისებურებები სამშენებლო ბიზნესში

**პაატა ბოლქვაძე**

ეკონომიკის მაგისტრი

მოწვეული მასწავლებელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ითვლება, რომ ბარტერული გარიგება კომპანიებისათვის საკმაოდ მომგებიანი ოპერაციაა ფინანსური რესურსების სიმცირის პირობებში. ამავდროულად საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ბარტერული გარიგებები იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. ოპერაციის დღგ-ს გადასახადით დაბეგვრის მოქმედი რეჟიმი ხასიათდება რიგი თავისებურებებით და ხშირად ქმნის სერიოზულ გამოწვევებს. მიუხედავად იმისა რომ ბარტერული ოპერაციების დროს ფულადი სახსრები არ მოძრაობს კომპანიები ვალდებულნი არიან დაადეკლარირონ და დაგაიხადონ დღგ-ს გადასახადი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილება N195 გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე, უძრავი ნივთის მიწოდებისას განმარტავს გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხს, როდესაც ამ გარიგების ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება. აღნიშნული საჯარო გადაწყვეტილების თანახმად:

- გარიგება, რომლის დროსაც, საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურება ხორციელდება ნაწილობრივ არაფულადი (საქონლის/მომსახურების) ან/და ნაწილობრივ ფულადი სახით, წარმოადგენს ბარტერულ ოპერაციას
- დღგ-ის მიზნისთვის, მხარეების მიერ ბარტერის საგნის (საქონლის/მომსახურების) ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახით
- გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში უძრავი ნივთის მიწოდების შემთხვევაში, ოპერაციის თითოეული მხარისთვის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მისაღები საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით, დღგ-ის გარეშე
- ბარტერული ოპერაციის მონაწილე პირი დღგ-ის ჩათვლას ახორციელებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების მიხედვით
- 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებულ ბარტერულ გარიგებებზე, თუ ანაზღაურება (ფულადი ან არაფულადი სახით) სრულად ან ნაწილობრივ მიღებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, ანაზღაურების (როგორც, ფულადი, ისე არაფულადი) შესაბამისი დღგ-ის თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ანაზღაურების საანგარიშო პერიოდში

თემის აქტუალობა

ბარტერული ოპერაციის შემთხვევაში მიწოდებული საქონელი/მომსახურება უნდა დაიბეგროს სანაცვლოდ მიღებული/მისაღები ანაზღაურების (სანაცვლოდ მიღებული საქონლის/მომსახურების) დღგ-ის გარეშე საბაზრო ფასის შესაბამისად. თუმცა, კვლავ ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩევა

რამოდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი: კერძოდ იმასთან დაკავშირებით თუ დროის რა მომენტისთვის არსებული საბაზრო ფასი უნდა იქნეს გამოყენებული დღგ-ით დაბეგვრისთვის: საბაზრო ფასი დროის იმ მომენტისთვის როდესაც ბარტერის ხელშეკრულება გაფორმდა; თუ იმ მომენტისთვის როდესაც ბინების საჯარო რეესტრში გადაფორმება მოხდა; თუ მაშინ როდესაც ბინები შევიდა ექსპლუატაციაში და დადგა მიწოდების ოპერაციის დაბეგვრის მომენტი. დროის ზემოაღნიშნულ სამივე მომენტში მიწის საბაზრო ფასი, შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს უძრავი ქონების ბაზარზე არსებული ფასების დინამიკიდან გამომდინარე და შესაბამისად ამ უკანასკნელმა ფაქტმა არსებითი გავლენა მოახდინოს დასაბეგრი ოპერაციის მოცულობაზე. ახალ 48(3)-ე მუხლში ვკითხულობთ რომ სანავლოდ მიღებული საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი გამოიყენება თუ გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება. აღნიშნული კი აჩენს კითხვებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოხდება დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრა იმ შემთხვევაში, როდესაც ბარტერული ოპერაციის ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ ხდება მოძრავი ქონების ან სულაც მომსახურების მიწოდება. ცვლილების მიხედვით ბუნდოვანია ამ შემთხვევაშიც დღგ-ით დაბეგვრის იგივე წესები გავრცელდება თუ დაბეგვრა მოხდება უძრავი ქონების დაბეგვრისგან განსხვავებული წესით.

დასკვნის სახით საგადასახადო კანონმდებლობის ბუნდოვანი ნორმები მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის როგორც ბიზნესისათვის ასევე სახელმწიფოსათვის. მიღებული საჯარო გადაწვეტილება ქმნის მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას რის შედეგადაც ერთი და იგივე ეკონომიკური გარიგება სამართლებრივად შეიძლება განსხვავებულად შეფასდეს როგორც გადასახადის გადამხდელის ასევე საგადასახადო ორგანოს მიერ.

ბარტერული გარიგებების დღგ-თი დაბეგვრის პრობლემები ძირითადად მომდინარეობს გადასაცემი ან/და მისაღები ღირებულების განსაზღვრის სირთულიდან. მიგვაჩნია, რომ გამოსავალია საჯარო გადაწყვეტილების მიღება, სადაც უფრო მკაფიოდ იქნება განსაზღვრული დასაბეგრი ოპერაციის თანხა და დრო.

**საკვანძო სიტყვები:** ბარტერი, ბარტერული ოპერაცია, დასაბეგრი ოპერაციის თანხა, საბაზრო ღირებულება.

# კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში აუდიტორული შემოწმების ჩატარების თავისებურებები

**ია მესხიძე**

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ბათუმი

**ნაზი ბარათაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მოწვეული მასწავლებელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ბათუმი

**აბსტრაქტი**

კოვიდ 19-ის დამანგრეველი გავლენა ბევრმა დარგმა იწვნია, მ.შ. ისეთმა დარგებმაც, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილით გამოირჩეოდა. საწარმოებისთვის ეს დარტყმა მოულოდნელი აღმოჩნდა, რამაც ბევრი მათგანის გაჩერება (დროებით მაინც) გამოიწვია, თუმცა ყველა მათგანი ცდილობდა თავის გადარჩენას, გარკვეული რისკების ფასადაც. ბევრი ეკონომიკური ან სხვა სახის გადაწყვეტილების მიღება ხშირად აუდიტორის კომპეტენტურ დასკვნას ეყრდნობა, შესაბამისად აღნიშნულ სტატიაში განხილული იქნება ის ხერხები და მეთოდები, რომელიც კოვიდ 19-ის პირობებში სამუშაოდ იქნა მიღებული აუდიტორული დასკვნის სანდოობისთვის, აუდიტორის პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და აუდიტორული შემოწმების პრაქტიკული ნაწილის სრულყოფის მიზნით ქვეყნებში არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე.

აუდიტორული შემოწმებისას ხშირად დგებოდა მოცემულობა, რომლის გაუთვალისწინებლობაც ან დაწესებული რეგულაციების დარღვევად ჩაითვლებოდა, ან ასს-დან გადახვევად. სწორედ აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე 2020 წლის მაისისთვის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოიცა და შემდეგ ქართულ ენაზე ითარგმნა ,,კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში აუდიტორული დასკვნის მომზადების თავისებურებები“. ეთიკის კოდექსის მოთხოვნებიდან შესაბამისად, აუდიტორები მხოლოდ პროფესიონალები კი არა, თანამედროვე საზოგადოების ისეთივე წევრები არიან, როგორც სხვა პროფესიის ადამიანები, ამიტომ ამ დაშვებით მათ მიეცათ საშუალება კოვიდ 19-ის პირობებში გაეთვალისწინებინათ საწარმოთა წინაშე მდგარი ის პრობლემები, რომელსაც ქმნიდა პანდემია და რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ აუდიტორული დასკვნის სიზუსტეზე.

აქვე აღსანიშნავი, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ ცვლის და არ ამცირებს ასს-სა და მგსს-ებს, არ წარმოადგენს მათ შემცვლელ დოკუმენტს. ის შემუშავდა აუდიტორული შემოწმების პრაქტიკულ ნაწილთან მიმართებაში, პანდემიის შედეგად შექმნილ გარემოებებს გავლენა რომ არ მოეხდინა აუდიტორულ დასკვნასა და შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესახებ გაცემულ მიმოხილვის დასკვნაზე, მათ შორის:

- აუდიტორს მოსაზრებების მოდიფიცირება, რაც განპირობებული იქნება ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის არსებობით, ან საკმარისი, ან შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობით.
- სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა.
- აუდიტორის დასკვნაში ,,აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილის ან/და მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცის დამატება.
- გავლენა შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესახებ გაცემულ მიმოხილვის დასკვნაზე, როდესაც ფინანსური ანგარიშგების აუდიტორი იმავდროულად ატარებს შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვასაც.

**საკვანძო სიტყვები:** კოვიდ-19, აუდიტორული დასკვნა, აუდიტორის პასუხისმგებლობა, ეთიკის კოდექსი

# სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახაზინო მომსახურებაზე გადასვლის დადებითი და უარყოფითი მხარეები: საერთაშორისო გამოცდილების და საქართველოს კონტექსტის ანალიზი

**მელანო აბაშიძე**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახაზინო მომსახურებაზე გადასვლა წარმოადგენს თანამედროვე საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას, ფინანსური დისციპლინის განმტკიცებას და სახელმწიფო რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. საერთაშორისო გამოცდილება, განსაკუთრებით ესტონეთის მაგალითი, ცხადყოფს, რომ ერთიანი ხაზინის სისტემა შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტი საოპერაციო ხარჯების შემცირებისთვის, ფინანსური ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად და ელექტრონულ აუდიტთან ინტეგრაციის გასამარტივებლად.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ რეფორმის განხორციელებას ახლავს გარკვეული გამოწვევები. სახაზინო მომსახურების მოდელი ხშირად ზღუდავს საწარმოების ფინანსურ მოქნილობას, ართულებს სწრაფ ოპერაციულ გადაწყვეტილებებს და ზრდის ბიუროკრატიულ ტვირთს. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სახელმწიფო საწარმოებს უწევთ საბაზრო კონკურენციაში მონაწილეობა ან სწრაფად რეაგირება ეკონომიკურ ცვლილებებზე.

საქართველოს შემთხვევაში რეფორმა მიმდინარეობს ეტაპობრივად, ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. არსებული კანონმდებლობით, 2027 წლის 1 იანვრიდან სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული ყველა სახელმწიფო საწარმო სრულად გადავა სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე. ამ პროცესში უკვე გამოიკვეთა პოზიტიური შედეგები, როგორიცაა საჯარო ზედამხედველობის გაძლიერება, ბიუჯეტთან მჭიდრო ინტეგრაცია და ფინანსური დისციპლინის გაუმჯობესება. თუმცა, არსებობს რისკი, რომ ფინანსური მოქნილობის შეზღუდვამ და ტექნიკურ-ადმინისტრაციულმა ბარიერებმა შესაძლოა შეაფერხოს სისტემის სრულფასოვანი ეფექტიანობა. სწორედ ამიტომ, საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტაცია ადგილობრივ რეალობაზე, ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება და მენეჯმენტის უნარების გაუმჯობესება.

ამრიგად, სახაზინო მომსახურებაზე გადასვლა შეიძლება შეფასდეს როგორც ძლიერი ინსტრუმენტი საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებისთვის, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტიანად მოხდება სისტემის დადებით და უარყოფით მხარეთა დაბალანსება. საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ გამჭვირვალობისა და დისციპლინის განმტკიცების, არამედ ფინანსური მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი საფუძვლადაც.

**საკვანძო სიტყვები:** სახაზინო მომსახურება; სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები; საჯარო ფინანსები; გამჭვირვალობა; ფინანსური დისციპლინა; ბიუროკრატია; ესტონეთი; საქართველო

# DIGITAL TRANSFORMATION AND TAX POLICY CHALLENGES FOR BUSINESS MANAGEMENT IN KAZAKHSTAN

**Kanash Abilpeissov**
PhD Candidate in Business Administration
International University of the Kyrgyz Republic
Bishkek, Kyrgyz Republic

**Abstract**

The rapid transformation of the global economy increasingly demands that states modernize their regulatory frameworks, while businesses adapt management strategies to ensure sustainable growth. In Kazakhstan, business management is currently shaped by two key processes: large-scale digital transformation and the forthcoming tax reform planned for 2026. These dynamics are especially relevant for small and medium-sized enterprises (SMEs), which constitute 39,3% of the country's GDP and employ 47,5% of the workforce, thus playing a crucial role in the country's economic diversification and resilience.

Digitalization has already significantly influenced business management practices. The introduction of platforms such as eGov, eOtinish, and the widespread adoption of online cash registers have simplified interaction with tax authorities, improved transparency, and reduced compliance costs. For business managers, these innovations create opportunities to optimize accounting procedures, enhance financial planning, and integrate digital tools into everyday decision-making processes. Furthermore, digitalization facilitates access to government services, expands possibilities for e-commerce, and improves data-driven management. Nevertheless, digital transformation also imposes new requirements, including continuous investments in cybersecurity, systematic staff training, and adaptation to constantly updated technological standards. For SMEs with limited resources, this digital shift often creates both opportunities for growth and challenges related to capacity-building.

At the same time, Kazakhstan is preparing a comprehensive tax reform scheduled for 2026, which will affect both corporate and individual entrepreneurs. The reform introduces a progressive personal income tax system, revises dividend taxation, and seeks to broaden the tax base. From the perspective of business management, these changes imply the reconfiguration of financial strategies, the search for more efficient corporate structures, and reconsideration of outsourcing, cost control, and investment policies. While the reform aims to increase fiscal sustainability and align with international standards, it may create short-term challenges, especially for SMEs with limited financial resilience. Managers will be required to navigate an environment of increased compliance obligations and design new approaches to mitigate tax-related risks.

In the broader context of sustainable development, the intersection of digital transformation and tax policy reform defines the future trajectory of business management in Kazakhstan. Managers must not only comply with regulatory changes but also leverage them as opportunities for innovation and competitiveness. Adopting digital platforms, introducing automated financial control, enhancing tax risk management, and restructuring business models are essential steps toward resilience in a rapidly changing environment.

The paper argues that successful adaptation to these challenges requires a dual approach: (1) proactive digital integration into business processes to increase transparency and efficiency, and (2) strategic financial planning under the new tax framework to ensure long-term sustainability. The synergy of these measures

will allow Kazakhstani businesses to improve operational efficiency, strengthen governance systems, and align with global standards of sustainable economic development, thereby reinforcing the country's role in the regional and global economy.

**Keywords:** Digitalization, tax reform, sustainable development

# გაკოტრების პროგნოზირების მეთოდების ადაპტაციისა და შეფასების თავისებურებები საქართველოს სამშენებლო სექტორში

**ნინო წივწივაძე**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი**

სტატიის მიზანია გაკოტრების პროგნოზირების ფართოდ გამოყენებული მოდელების: ალტმანის, სპრინგეიტისა და ზმიევსკის ადაპტაციისა და პრაქტიკული გამოყენების თავისებურებების ანალიზი საქართველოს სამშენებლო სექტორის კომპანიებში. კვლევისათვის შერჩეული იქნა 42 პირველი და მეორე კატეგორიის სამშენებლო კომპანია, რომელთა 2020–2023 წლების ფინანსური ანგარიშგებები აღებულია www.reportal.ge ანგარიშგების პორტალიდან.

გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელების პირდაპირი გამოყენება ყოველთვის ვერ იძლევა სანდო შედეგებს საქართველოს რეალობაში, თუმცა მათი სინთეზური გამოყენება ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს და ქმნის საფუძველს უფრო სანდო ფინანსური შეფასებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** გაკოტრება, ალტმანის მოდელი, სპრინგეიტის მოდელი, ზმიევსკის მოდელი, სამშენებლო სექტორი, ფინანსური მდგრადობა.

# მომსახურების ხარისხის შეფასება სასტუმროებში (ქ. ბათუმის სასტუმროების მაგალითზე)

**ეკატერინე ბახტაძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ასოცირებული პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

**ნატალია რობიტაშვილი**
ბიზნესის მართვის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**ნარგიზ ფალავანდიშვილი**
ბიზნესის მართვის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

**აბსტრაქტი**

სასტუმრო ინდუსტრიაში მომსახურების ხარისხის მართვა რთული და მნიშვნელოვანი პროცესია, რაც განპირობებულია მომსახურების ისეთი თავისებურებებით, როგორიცაა მომსახურების არახელშესახებობა, პერსონალის მომსახურებისგან განუყოფელობა და მომსახურების ხარისხის ცვალებადობა. აღნიშნული მახასიათებლები მოითხოვს მომსახურების ხარისხის მუდმივ შეფასებასა და კონტროლს. სტატიაში განხილულია როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მიდგომები, რომლებიც აპრობირებულია სასტუმრო ინდუსტრიაში, მათ შორის Service Blueprinting, SERVQUAL, შენიშვნების ბარათები, იდუმალი სტუმარი, კრიტიკული სიტუაციების ანალიზი, „დაკარგული მომხმარებლის" კვლევა, მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსი (CSI), Net Promoter Score (NPS), ბენჩმარკინგი, ონლაინ მიმოხილვების ანალიზი, თანამშრომელთა უკუკავშირი და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მონიტორინგის ინსტრუმენტები. კვლევის მიზანს წარმოადგენს მომსახურების ხარისხის შეფასების მეთოდების თეორიული განხილვა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა. შესწავლილი იქნა ქალაქ ბათუმში მოქმედი სასტუმროები, აღსანიშნავია, რომ საშუალო ზომის სასტუმროებისთვის ხარისხის კვლევა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. მომსახურების ხარისხის შეფასება, კონტროლი და მართვა პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთა კმაყოფილების და მათი ლოიალურობის გაზრდასთან.

**საკვანძო სიტყვები:** სასტუმრო ინდუსტრია, მომსახურების ხარისხის შეფასება, ხარისხის კონტროლი

# მწვანე ტრანსფორმაცია ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში: გლობალური ტენდენციები და გამოწვევები

**მაია აზმაიფარაშვილი**

ეკოლოგიის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა,

ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორი, საქართველო

**აბსტრაქტი**

მწვანე განვითარება თანამედროვე ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში ერთ-ერთ წამყვან ტენდენციად მიიჩნევა. მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმის როლის ზრდამ წარმოშვა საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი მდგრადობის ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროს განვითარება. გაეროს მოხსენებაში „მწვანე ეკონომიკისაკენ" აღნიშნულია, რომ ტურიზმი - ეს არის მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ძალა. მდგრადი ტურიზმის კონცეფცია პასუხისმგებელი მოგზაურობის აუცილებელი კომპონენტი გახდა. თანამედროვე ეპოქაში მდგრადი აზროვნების მქონე მოგზაურთა რიცხვი სწრაფად იზრდება. ტურიზმის დარგს აქვს დიდი პერსპექტივა წვლილი შეიტანოს მდგრადი პასუხისმგებლიანი მწვანე ინდუსტრიის შექმნაში. მსოფლიოში გამორჩეული მწვანე სასტუმროები, ცნობილი, როგორც ეკოლოგიურად სუფთა მდგრადი სასტუმროები, თავიანთ ოპერაციებში პრიორიტეტს ანიჭებენ გარემოსდაცვით მდგრადობას. სასტუმროების მიერ მიღებული მწვანე პრაქტიკა კონკურენტულ უპირატესობას უქმნის განთავსების ბიზნესს, ხარჯების ოპტიმიზაციის, მომსახურების ინოვაციური შეთავაზების, ოპერაციული მენეჯმენტის ეფექტურობის, ჭკვიანი ტექნოლოგიების დანერგვის, მომხმარებლის მოზიდვის და სხვა მრავალი პროცესების მხრივ.

საქართველოში ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს შორის, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიას, რაც თანამედროვე პირობებში ახალ მასშტაბებს იძენს. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად სათანადო პირობების შექმნა, სოციო-ეკონომიკური განვითარება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ტურიზმის დარგის განვითარების ხედვა გარემოსთან ურთიერთობაში. სხვადასხვა თვალსაზრისით საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევა დღემდე გამოწვევად რჩება. ნაშრომში იდენტიფიცირდა ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის წინაშე მდგარი ეკოლოგიური ეკონომიკის გამოწვევები, სასტუმრო ინდუსტრიის საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების კომპლექსური პრობლემები. განვიხილეთ რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, ინდუსტრიის მწვანე ტრანსფორმაციის ინიციატივები, მწვანე უნარები, მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები, სექტორისთვის ახალი საბაზრო შესაძლებლობები, უფრო მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშესაწყობად. შესწავლილი იქნა მსოფლიოში ცნობილი სასტუმროების მწვანე პრაქტიკა და კრიტერიუმები. წარმოდგენილია მოსაზრებები ტურიზმის დარგის გლობალურ მიზნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ასევე, მიდგომები მწვანე ეკონომიკური განვითარების გასაძლიერებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის დარგს

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში საიმედო მოთამაშის პოზიცია დაიკავოს როგორც გლობალურ ასევე ადგილობრივ ბაზრებზე. მწვანე განვითარებით ტურიზმის ეკოსისტემა არა მხოლოდ უფრო სუფთა და ჯანსაღი გარემოთი ისარგებლებს, არამედ მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება, რომელიც წვლილს შეიტანს კლიმატისადმი ნეიტრალური ქვეყნების საერთო მიზნების მიღწევაში. გამოკვლევებით დგინდება, რომ სასტუმროები სულ უფრო მეტად განიხილავენ მწვანე პრაქტიკის დანერგვის საკითხებს თავიანთ ბიზნეს მოდელებსა და სტრატეგიებში, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით დარგი არ არის მკაფიოდ მიმართული სამომავლო მდგრადი ტენდენციებისკენ. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომელიც ეფუძვნება სამაგიდო მიმოხილვას და ანალიზს, განხილულია პრობლემები, გადაჭრის სტრატეგიები და ანალიტიკური ნაშრომები.

**საკვანო სიტყვები:** მწვანე, ტრანსფორმაცია, ტურიზმი, მდგრადი, საბაზრო შესაძლებლობები.

# „მდგრადი ტურიზმის“ განვითარება მწვანე ეკონომიკის პირობებში

**მადონა გელაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რასაც ამ სექტორის წილის მუდმივი ზრდაც მოწმობს. საქართველოსთვის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ინდუსტრიის სწორად განვითარება, რაც მდგრადი ტურიზმის განვითარებას გულისხმობს. ეს არის მცდელობა, აღიარებულ იქნას ტურიზმის ყველა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენებიც. მიზანია უარყოფითი ზეგავლენის მინიმიზაცია და დადებითის მაქსიმიზაცია. ტურისტულ დანიშნულების ადგილზე უარყოფითი ზეგავლენა მოიცავს როგორც ეკონომიკურ დანაკარგებს, ასევე გარემოსდაცვით ზიანსაც რაც ხალხმრავლობით არის განპირობებული.

სტატიაში განხილულია თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ტურიზმსა და ინდუსტრიის მთავარ მიმართულებებს ეროვნული ეკონომიკისათვის. რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია „მწვანე ტურიზმის“ განვითარება „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპებიდან გამომდინარე, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის და მათ შორის ტურიზმის მდგრად განვითარებას გულისხმობს.

საქართველოს განვითარების წინაშე არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სწორედ ინკლუზიური და მწვანე ზრდის პოტენციალის ამოქმედება ქვეყანაში, რომელიც უხვადაა დაჯილდოვებული კულტურული, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით, და რომელიც, ინოვაციებით გაძლიერების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს მწვანე ეკონომიკის რეგიონალური ცენტრი. მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და იმავდროულად უზრუნველყოფს, რომ ეს აქტივები არ შეწყვეტენ იმ რესურსებისა და მომსახურების მოწოდებას, რასაც ემყარება ჩვენი კეთილდღეობა.

კვლევის მეთოდოლოგია. მოცემული ნაშრომის კვლევა ჩატარდა თვისობრივი კვლევის ფორმის ლიტერატურული მიმოხილვის, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, კვლევებისა და ანგარიშების შესწავლით. კვლევის შედეგები გაანალიზდა ანალიზი-სინთეზის, შედარებით-ანალიტიკური კვლევის მეთოდებით, რამაც საშუალება მოგვცა დადგენილიყო მდგრადი ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მდგრადი ტურიზმი, მწვანე ტურიზმი, მწვანე ზრდა, კეთილდღეობა.

# ტურისტული ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში

**გოდერძი შანიძე**
ბიზნესისა და მართვის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში ტურიზმი იქცა ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ სექტორად, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირი შემოსავლის წყაროა სახელმწიფოებისთვის, არამედ ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურულ განვითარებას და აჩენს ინოვაციური ბიზნესმოდელების საჭიროებას. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ტურიზმის სწორად განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეგიონების გაძლიერებასა და სოციალურ ჩართულობას, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც კულტურული და ბუნებრივი რესურსები მრავალფეროვანი და უნიკალურია.

საქართველო, როგორც კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყანა, გამოირჩევა გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, კულინარიული ტრადიციებითა და სტუმართმოყვარეობის მაღალი ხარისხით. ეს თავისებურებები ქვეყანას აძლევს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე. თუმცა, ამ პოტენციალის სრულად გამოყენება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იდენტიფიცირებულია და ანალიზს ექვემდებარება ტურისტული ბიზნესის ხელშემწყობი ძირითადი და დამატებითი ფაქტორები.

გარდა ამისა, თანამედროვე ტურისტების გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ინფორმაციული წყაროების სანდოობა და ხარისხი. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მასალები და პიარ კამპანიები ქმნის ქვეყნის იმიჯს და გავლენას ახდენს ტურისტების ქცევაზე. ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ მარკეტინგის თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის ბრენდინგის და საერთაშორისო პოზიციონირების კონტექსტშიც.

ტურისტული ბაზარი წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სეგმენტს, სერვისებსა და პროდუქტებს. მისი წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბაზრის მოთხოვნაზე, მომხმარებელთა ქცევაზე და გლობალურ ტენდენციებზე.

ტურისტული ბაზრის სტრუქტურა ძირითადად მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- დასვენების და გართობის ტურიზმი
- კულტურული ტურიზმი
- ეკოტურიზმი
- მოკლევადიანი და ბიზნეს ტურიზმი
- გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი

ტურისტული ბაზრის დინამიკა, ანუ მისი ცვლილების ტემპი და მიმართულება, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: მოთხოვნაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და გლობალურ ტენდენციებზე. პანდემიის შემდეგ ბაზრის დინამიკა მკვეთრად შეიცვალა — გაიზარდა მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა და ნაკლებად ხალხმრავალ ლოკაციებზე, ხოლო მასობრივ ტურიზმთან დაკავშირებული რისკებისადმი დამოკიდებულება შემცირდა.

სახელმწიფოს მხრიდან, ტურიზმის მიმართულებით, გარდა ეკონომიკური და სამართლებრივი მხარდაჭერისა, თანამედროვე ტურისტული პოლიტიკა მოითხოვს მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაციას. სახელმწიფოს როლი უნდა მოიცავდეს ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გრძელვადიან ტურისტულ სტაბილურობას და ერთგვარ სოციალურ ლეგიტიმაციას ადგილობრივ მოსახლეობაში .

სახელმწიფო პოლიტიკამ პრიორიტეტულად უნდა შეაფასოს ის რეგიონები, რომელთაც გააჩნიათ ჯერ კიდევ აუთვისებელი ტურისტული პოტენციალი – იქნება ეს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, თუ აგროტურიზმის მიმართულებით. ამ რეგიონების განვითარებისთვის საჭიროა ეკონომიკური მოტივატორების ამოქმედება – მაგალითად, საგადასახადო შეღავათები ტურისტული ბიზნესებისთვის, ადგილობრივი ინიციატივების დაფინანსება გრანტებით, მეწარმეთა საინფორმაციო მხარდაჭერა და მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ პროექტებში. ასევე, მიზანშეწონილია რეგიონებში ტურისტული განვითარების სააგენტოების ჩამოყალიბება, რომლებიც ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფენ კოორდინაციას, ინოვაციების გავრცელებას და სტანდარტების დაცვას.

საქართველო ჯერ კიდევ არ იყენებს სრულად საკუთარ უნიკალურ ტურისტულ ღირებულებებს გლობალურ ბრენდად. საჭიროა ერთიანი ეროვნული ბრენდის ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებს ეკოტურიზმს, კულტურულ მემკვიდრეობას, სამთო-სათავგადასავლო ტურიზმს და ადგილობრივ სტუმართმოყვარეობის უნიკალურ ელემენტებს. ამ ბრენდმა უნდა განსაზღვროს საქართველოს ადგილი გლობალურ ტურისტულ რუკაზე და მისცეს საერთაშორისო ტურისტებს კონკრეტული ასოციაციები – ბუნება, ღვინო, ისტორია, სტუმართმოყვარეობა. ეფექტური ბრენდინგი უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული მარკეტინგული კამპანიებით, უფრო მეტ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე მონაწილეობით და მედია პლატფორმების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** ტურისტული ბაზარი, კონკურენტური უპირატესობა, სახელმწიფო პოლიტიკა, ეროვნული ბრენდი

# THE ROLE OF RESPONSIBLE TOURISM IN TOURISM DESTINATION MANAGEMENT

**Iryna Kyryliuk**
PhD in Economics
Associate Professor of the Department of Hotel, Restaurant, and Tourism Business
Kherson State Agrarian and Economic University
Kropyvnytskyi, Ukraine
**Oksana Lytvyn**
Ph.D.
Associate Professor of the Department of Hotel, Restaurant, and Tourism Business
Kherson State Agrarian and Economic University
Kropyvnytskyi, Ukraine
**Natalia Kyrychenko**
PhD in Economics
Associate Professor of the Department of Management, Marketing, and Information Technology
Kherson State Agrarian and Economic University
Kropyvnytskyi, Ukraine

**Abstract**

In modern conditions, tourism plays a key role in solving socio-economic problems and can simultaneously be both a powerful tool for development and a potential threat to the environment, cultural heritage, and local communities. On the one hand, tourism stimulates economic growth, creates jobs, and promotes infrastructure development and intercultural dialogue. On the other hand, uncontrolled tourist flows and disregard for environmental standards lead to the degradation of natural resources, the destruction of the historical and cultural environment, and social tensions in host communities.

These problems are particularly acute at the level of tourist destinations. Therefore, the issue of managing the development of destinations based on responsible tourism is one of the key areas for ensuring their competitiveness and sustainability. Currently, the search for new solutions for effective destination development management should be aimed at ensuring sustainable growth and recovery that takes into account the interests of both current and future generations, with an emphasis on resource conservation, environmental responsibility, and social justice.

Responsible tourism is an effective tool for the balanced development of tourist destinations. Its key principles are focused on preserving the natural and cultural environment, respecting local traditions, involving local communities in management decisions, and ensuring the fair distribution of economic benefits. Applying the concept of responsible tourism in destinations allows: minimizing the negative impact on ecosystems and cultural heritage; improving the quality of tourism products, focusing on the needs of not only tourists but also local residents; stimulate the development of local entrepreneurship, especially small and medium-sized businesses; create a positive image of the territory; expand cooperation between government, business, and the public for tourism development planning.

The effectiveness of implementing the concept of responsible tourism for the development and preservation of destinations depends on systemic changes in the functioning, management, and cooperation with all stakeholders. Cooperation between international organizations, governments, the scientific commu-

nity, the private sector, civil society, and other structures is an effective tool for promoting responsible initiatives, addressing global challenges, and implementing innovative solutions for the development of tourist destinations. An important aspect of the development and preservation of destinations is the expansion of economic opportunities and the involvement of local communities and stakeholders in the management process, which contributes to the development of tourism and a more equitable distribution of economic benefits, increased responsibility, and protection of the environment for future generations.

Educational initiatives are also an effective tool for raising environmental awareness among tourists and promoting responsible management of tourist destinations. The introduction of specialized educational programs, the implementation of projects, training courses, and marketing initiatives aimed at increasing understanding of the environmental and social aspects of tourism are key elements in shaping environmental awareness and raising awareness among tourism stakeholders. Tourists' awareness of environmental restoration issues motivates them not only to minimize their own impact on the environment, but also to actively use responsible practices while traveling. Such multilateral interaction allows for the mobilization of resources and knowledge to develop and implement responsible approaches to the conservation and development of destinations, as well as to reduce the social, economic, and environmental impacts of tourism.

The study shows that responsible tourism is not only a tool for preserving the resource base of destinations, but also an effective management mechanism. The integration of responsible tourism principles into the destination management system is an important condition for their sustainable development, preservation of natural and cultural potential, and improvement of the well-being of local communities.

**Keywords:** responsible tourism, sustainable development, tourist destination, local communities, competitiveness.

# ხელოვნური ინტელექტის როლი ჭკვიანი ტურიზმის განვითარებაში

**გიული გიგუაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი
პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო
**მარიამ სადაღაშვილი**
ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ტურიზმი მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და სწრაფად მზარდი სექ-ტორია. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭო (WTTC) 2025 წლის ეკონომიკური ზემოქმე-დების კვლევის (EIR) მიხედვით, მიმდინარე წელს, მოსალოდნელია, რომ მოგზაურობა და ტურიზმი გლობალურ ეკონომიკაში 11,7 ტრილიონი აშშ დოლარის წვლილს შეიტანს, რაც გლობალური მშპ-ს 10,3%-ს შეადგენს. WTTC-ს 2035 წლის პროგნოზი კიდევ უფრო შთამბეჭდავია - ტურიზმიდან შემოსავალი 16.5 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება და გლობალური მშპ-ს 11.5%-ს მიაღწევს.

თანამედროვე პირობებში ტურისტული სექტორის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრაცია. ბოლო წლებ-ში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო „ჭკვიანი ტურიზმის" კონცეფციამ, რომელიც გულისხ-მობს მონაცემებზე, ინოვაციებზე და ტექნოლოგიურ პლატფორმებზე დაფუძნებულ მართვას, მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზაციასა და სერვისების ოპტიმიზაციას. ამ პროცესში ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებს ხელოვნური ინტელექტი (AI), რომლის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ცვლის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მომავალს. AI-ს შეუძლია მოახდინოს მომხმარებელთა ქცევის ანალიზი, პროგნოზირება, მომსახურების პერსონალიზაცია, რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება და ოპერაციული ხარჯების შემცირება. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ტურიზმის სფეროში მოიცავს არა მხოლოდ შესაძლებლობებს, არამედ გამოწვევებსაც: მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა, ეთიკური დილემები და ტექნოლოგიური უთანასწორობა ქვეყნებს შორის კვლავ მკვლევართა ყურადღების ცენტრშია.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2024 წელს მოგზაურობიდან (ტურიზმი-დან) მიღებულმა შემოსავლებმა რეკორდული მოცულობა - 4,425.4 მილიონი აშშ. დოლარი შეად-გინა, რაც წინა წელთან 7.3%-ით მეტია (4.1 მილიარდი აშშ დოლარი). საქართველოს ეკონომიკაზე ტურიზმის სექტორის მზარდი გავლენა დღის წესრიგში აყენებს მისი შემდგომი განვითარებისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობის საკითხს.

სამეცნიერო ნაშრომი განიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის მიმდინარე გამოწვევებს, ხელოვნუ-რი ინტელექტის როლის განსაზღვრას ჭკვიანი ტურიზმის კონცეფციის ფარგლებში, მისი ძირითადი მიმართულებების, შესაძლებლობებისა და რისკების გამოვლენას. კვლევის ამოცანებია: (1) ჭკვიანი

ტურიზმის ძირითადი კომპონენტებისა და ტექნოლოგიური მიდგომების ანალიზი, (2) ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების შესწავლა, როგორიცაა რეკომენდაციების სისტემები, ვირტუალური ასისტენტები, ოპტიმიზებული მარშრუტიზაცია და ინფრასტრუქტურის მართვა, (3) ხელოვნური ინტელექტის ეფექტურობის შეფასება მომსახურების პერსონალიზაციასა და ტურისტული ნაკადების მართვაში და (4) გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, და (5) რეკომენდაციების შემუშავება ხელოვნური ინტელექტის მდგრადი ტურიზმის სტრატეგიებში ინტეგრირებისთვის.

სტატიაში, სამაგიდო კვლევების, პოლიტიკის დოკუმენტების და სტატისტიკური მონაცემების ღრმა ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა ტურიზმის სექტორის ძირითადი გამოწვევები: მაღალი ხარისხის ინტერნეტის პრობლემა, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების ციფრული უნარების განვითარების არასაკმარისი დონე, ტურიზმის სექტორის ციფრული მზაობის დაბალი ინტერესი და ა. შ. საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ციფრული გარემოს განვითარება, კვლავ დაბალია სოციალური მედიის გამოყენების დონე.

საქართველოში ტურიზმის გაციფრულების მხარდამჭერის პოლიტიკა, ქმნის ახალ შესაძლებლობებს ქვეყანაში არსებული გამოწვევების დასაძლევად და ტურისტული სერვისების განვითარებაში უახლესი ტექნოლოგიების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის დასანერგად. AI-ის ინტეგრაცია საქართველოს ტურიზმის სექტორში კი თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის ჭკვიანი ტურისტული მომსახურების ხარისხსა და ეფექტიანობას, რაც აისახება მომხმარებელთა კმაყოფილებაში, ოპერაციულ ეფექტიანობაში და ტურისტული ნაკადების ოპტიმიზაციაში.

სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტურიზმის ინდუსტრიაში, კერძოდ: ჩატ-ბოტების და ხმოვანი ასისტენტების მეშვეობით, შესაძლებელია კლიენტების დახმარება მოგზაურობის დაჯავშნაში; შესაძლებელია პერსონალიზებული მოგზაურობის ვარიანტებისა ან აქტივობების შეთავაზება; ბაზრის ტენდენციების შესახებ მონაცემების გაანალიზებით, შესაძლებელია ფასწარმოება და აქციების შექმნა; VR და AR ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვირტუალური ტურების შესაქმნელად, სასტუმროების დასათვალიერებლად, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეისწავლოს ადგილი მოგზაურობის დაჯავშნამდე; ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია პროგნოზირებადი ანალიტიკისთვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტურიზმის ინდუსტრიის სამომავლო ტენდენციების პროგნოზირებისთვის და სხვა.

ამრიგად, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მთლიანად გარდაქმნას ტურიზმის ინდუსტრია, ხელი შეუწყოს ჭკვიანი ტურიზმის განვითარებას, თუმცა, მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, ის გამოყენებული უნდა იქნეს უდიდესი პასუხისმგებლობით.

**საკვანძო სიტყვები:** ჭკვიანი ტურიზმი, ხელოვნური ინტელექტი, საქართველო

# აგრარული ტურიზმი საქართველოში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

**ანზორ დევაძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტის
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
**ლელა დევაძე**
ეკონომიკის დოქტორი
ასისტენტ -პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტის
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამ გამოწვევების გადაწყვეტის აუცილებელ პირობას ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება, კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება წარმოადგენს, რაშიც მთავარი როლი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის.

დღეისათვის საქართველო დგას რეგიონული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მკაფიო განსაზღვრის წინაშე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წელს შემუშავებული სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, სადაც ქვეყნის ეკონომიკური დარგებიდან პრიორიტეტულ მიმართულებებად მიჩნეული იყო სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება, გარემოს დაცვა და ტურიზმი, რომლებიც წამყვან როლს თამაშობენ რეგიონების ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების საქმეში.

აგრარული ტურიზმი შედარებით ახალი მოვლენაა საქართველოში. ის ორიენტირებულია საქართველოს ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სოფლის მეურნეობის რესურსების გამოყენებაზე და მათ სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი ტურისტული პროდუქტის შექმნაზე. აღნიშნული მიმართულება ითვლება საკმაოდ პერსპექტიულად ტურიზმის განვითარების საქმეში, ვინაიდან საქართველოს გააჩნია დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი, რაც წარმოადგენს აგრო-ტურიზმის ფორმირებისა და ფუნქციონირების საფუძველს.

საქართველოს ცალკეულ რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო, სვანეთი, კახეთი, ქვემო ქართლი) აგრო-ტურიზმის, როგორც ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილის, განვითარების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრო-ტურიზმი, პირველ რიგში, საჭიროებს შესაბამის მხარდაჭერას როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონულ დონეებზე. ამავე დროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყველა დაინტერესებული მხარის (პროექტის ორგანიზატორების, განთავსების ობიექტების მფლობელების, სარეკლამო-საინფორმაციო მომსახურების, ფინანსური ორგანიზაციების, ტურისტული საწარმოების კომპლექსების) ძალისხმევის გაერთიანება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამ სტრუქტურების ურთიერთმოქმედებით შესაძლოა უზრუნველყოფილი იქნას რეგიონებში აგრო-ტურიზმის ეფექტური, კომპლექსური და პროგრესული განვითარება.

საქართველოში აგრო-ტურიზმის განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაგვაჩნია მნიშვნელოვანი რესურსები მისი განვითარებისათვის, მაგრამ ისინი არასაკმარისად მოთხოვნადია. აქედან გამომდინარე, აგრო-ტურიზმის განვითარების ძირითად ამოცანებად მიგვაჩნია ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორებიცაა: აგრო-ტურიზმის ბაზრის შესწავლა, ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებზე და შესაბამისი დახმარების გაწევა მოსახლეობაზე საერთო მიზნის - აგრარული სექტორის განვითარების - მისაღწევად.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სწრაფი მოგების მიღების მიზნით ამჟამად საქართველოში მთლიანობაში აღინიშნება ტაქტიკის პრიორიტეტი სტრატეგიის საზიანოდ. ცალკეული რეგიონების ტურისტული პოტენციალის შეფასების დროს კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა ნაკლებად გასაგებია, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი სოციოკულტურული ასპექტი ხშირად გადადის მეორე პლანზე. აგრო-ტურიზმის ობიექტების შერჩევის დროს აუცილებელი მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს მოცემულ ტერიტორიებზე არა მოდის სწრაფ ცვლილებებს და სხვა ტაქტიკურ მოსაზრებებს, არამედ ისტორიულ-კულტურულ, სოციოკულტურულ, ეკოლოგიურ და სხვა უნიკალურ ასპექტებს, რაზედაც აიგება ეკონომიკურად პერსპექტიული ტურისტული სტრატეგია.

მსოფლიო პრაქტიკაში აგრარული ტურიზმი ხდება გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადანაწილებას წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროში და რომლის ამოცანასაც წარმოადგენს აგრარული რეგიონებისა და მათი მოსახლეობის შემდგომი განვითარებისათვის შესაბამისი იმპულსის მიცემა ადგილობრივი ეკონომიკის ახალი სექტორის ჩამოყალიბების ორგანიზაციის გზით.

მოცემულ სტატიაში გაანალიზებული საქართველოს აგრო-ტურისტული რესურსები, აგრო-ტურიზმის განვითარების არსებული მდგომარეობა და ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია თეორიული და მეთოდური დებულებები, ასევე პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოში აგრო-ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური და მუნიციპალური ორგანოების, ასევე საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციების მიერ ქვეყანაში აგრარული ტურიზმის განვითარების პროგრამის შედგენის მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული ტურიზმი, ტურისტული პოტენციალის შეფასება, აგრო-ტურისტული რესურსები

# ქალები ტურიზმის ინდუსტრიაში

**თამარ ბერიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც ამა თუ იმ ქვეყანაში დიდწილად განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს. რამოდენიმე წელია აქტუალური გახდა საკითხი ქალის ჩართულობა ტურიზმის განვითარებაში. ქალები თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ტურიზმის განვითარებაშიც, თუმცა კვლევები ადასტურებს, რომ მათი წვლილი, ძირითადად, შეუმჩნეველი რჩება. ერთი მხრივ, ქალები თავიანთ თავს ძალიან იშვიათად აღიქვამენ მეწარმეებად და თავიანთ შრომას ოჯახურ მოვალეობად მიიჩნევენ. მეორე მხრივ, კონკრეტულ საზოგადოებებში არსებული ბარიერები, მათ შორის ცუდად განვითარებული ინფრასტრუქტურა, შინამეურნეობის სირთულეები, სატრანსპორტო საშუალებებზე და თანამედროვე ენერგორესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა თუ სტერეოტიპები ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას აფერხებს.

ჩვენი კვლევის საგანს საქართველოში ქალის როლი ტურიზმის განვითარებაში წარმოადგენს. საინტერესოა რა ვითარებაა ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ: რამდენად დაცულია გენდერული თანასწორობა საკანონმდებლო დონეზე, დასაქმებულთა გენდერული თანაფარდობა და ანაზღაურება.

სოფლად მრავლად მოიძებნებიან აქტიურად მშრომელი ქალბატონები , რომლებიც არ უფრთხიან გამოწვევებს და კრეატიულ საქმიანობას უპირობო შეუპოვრობით აგრძელებენ. დაკისრებული ვალდებულებების ვრცელი ჩამონათვალის პარალელურად, ქალები კვლავ არ კარგავენ ფოკუსს პროგრესსა და განვითარებაზე, სარგებლობენ არსებულით ან ქმნიან ახალ შესაძლებლობებს, სწავლობენ და მაინც აღწევენ სასურველ მიზანს, ჰქონდეთ საკუთარი ტურისტული ბიზნესი.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ქალთა ჩართულობა, გენდერული თანასწორობა

# PROBLEMS AND PROSPECTS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE TOURISM INDUSTRY: GLOBAL AND UZBEK CONTEXT

**Gaibnazarova Zumrat Talatovna**
University of science and technologies
Vice rector for scientific affairs and innovations
doctor of economic sciences, professor
**Saydalieva Mubina Golib kizi**
University of science and technologies
Undergraduate Student, specialty Tourism and Hospitality

**Abstract**

This article examines the issue of insufficient sustainability in domestic tourism, which is relevant both globally and within the Republic of Uzbekistan. The study analyzes the main causes of seasonal fluctuations in tourist flows and the underdevelopment of remote regions, as well as the consequences resulting from the lack of a comprehensive approach to infrastructure development, marketing strategies, and institutional support. Drawing on international experience and the specific context of Uzbekistan, the article offers concrete recommendations and strategies aimed at enhancing the resilience of the tourism sector and maximizing the economic and social benefits of domestic tourism. The findings may be useful for professionals, researchers, and government officials involved in tourism development.

**Keywords:** tourism, sustainable development, domestic tourism, tourism infrastructure, tourism marketing, ecotourism, Uzbekistan, seasonality in tourism, regional development, tourism digitalization.

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **გუნა სამნიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.03.2026
ფიზიკური თაბახი 10,2
ტირაჟი 50

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12